# დროშა

6C9
1962



ეროვნული
ბიბლიოთეკა



რა დრო უდგათ, რა დარები...
ბაგე კიჭებს ვერა ჰფარავს.
ილიმიან პატარები
ჩვენი გულის გასახარად.

თვალში შუქი უკრთით თითქოს
ცისეული, მზისეული.
სიცოცხლეა ყველა თვითონ,
იმედია თვითეული.

სულ ხარობდნენ მუდამ ასე,
არ დაჰკარგონ გზა რჩეული.
ილხინოდნენ ლხენით სავსე,
მხოლოდ ღიმილს დაჩვეულნი.

წინ აღუდგა ბუქსაც, ქარსაც,
ფიქრი სათნოდ სატარები,
რომ არასდროს ქვეყნად არსად
არ ატირდნენ პატარები.

ფოტო ო. თურქიასი

# იხარე მწვანე ჯეჯილო



კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. უტიაშვილი


**ვ. უჯიაშვილი**

გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე


მან კომპლექსური მეთოდით დაამუშავა 150 ჰექტარი ხიმინდის ფართობი, მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივად დათესა, ორჯერ ჩაატარა ჯვარედინი კულტივაცია, შეიტანა სასუქი, დროულად მორწყა და ერთგულად უპატრონა. „მინდვრის დედოფალი" არნახულად გაიზარდა, მკლავის სიგრძე ტაროები გამოისხა და ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვალი მოგვცა.

ხიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ცნობილ მექანიზატორთან ერთად დაწინაურდნენ მერგოლეურები შუშანა გოგოლაშვილი, თენგიზ ლიბერტაშვილი, ოსებ მინდორაშვილი, ანზორ ყოჩიაშვილი, ალექსი შაოშვილი. წლეულს თვითეული მათგანის რგოლმა ვალდებულება იკისრა ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტი ხიმინდის მარცვლის მიღება.

ხიმინდის შარშანდელმა მოსავალმა საფუძველი ჩაუყარა მეცხოველეობის პროდუქტების ზრდასაც. ამ ძვირფასმა საკვებმა აამაღლა ხორცისა და რძის წარმოება. გასულ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოვწველეთ 1500 ლიტრი რძე. წელს მოვწველით 1700 ლიტრზე მეტს. ამის საწინდარია ხიმინდის დიდი მოსავალი, მაღალხარისხოვანი სილოსი, კომბინირებული საკვები. რძის წარმოების გადიდებასთან ერთად, ვიბრძვით თვითეული ლიტრი რძის თვითღირებულების შემცირებისათვის. მის თვითღირებულებას ერთი-ორად შეამცირებს ბარდა. ეს კულტურა კახეთში წელს პირველად შემოვიდა. ამ გაზაფხულზე ჩვენმა კოლმეურნეობამ ბარდას 10 ჰექტარი დაუთმო.

ბარდამ საოცრად გაიხარა, გაიხარა და ჩვენი თვალი და გულიც გაახარა. ლამაზად აბიბინებული ჯეჯილი არნახულ მოსავალს გვპირდება. თვითეულ ჰექტარზე 10 ცენტნერ მუხუდოს მარცვალს მივიღებთ. ამ მარცვალს სათესლედ გამოვიყენებთ, ნაწვერალზე 80 ჰექტარს დავთესავთ და ბარდის მეორე მოსავალს მოვიწევთ. გიო ბუაძის ბრიგადა, რომელიც ბარდას ამუშავებს, მალე შეუდგება „მინდვრის მეფის" აღებას.

ჩვენი კოლმეურნეობა რომ გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობად ითვლება, ამაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი არტელის წევრებს, დამსახურება მიუძღვის კოლმეურნეობის გამგეობასაც.

სამი წლის წინათ ჩუმლაყელები სამარცხვინოდ ჩამორჩებოდნენ. წლიდან წლამდე დაბალ მოსავალს იღებდნენ. ან რა ბარაქას დასდებდა ჰექტარზე მოწეული თითო-ოროლა ცენტნერი მარცვლეული, ბოსტნეული ან ყურძენი. გულგატეხილი გლეხები უხალისოდ ეკიდებოდნენ საქმეს, აინუნში არ იგდებდნენ აგროწესებს, არ ზრუნავდნენ მიწის განოყიერებაზე, არ იყენებდნენ არტელის მდიდარ რეზერვებს.

ახალმა გამგეობამ პირველად სწორედ კადრების ჯეროვნად განაწილებას მიაქცია ყურადღება. აამოქმედა სპეციალისტები, ბრიგადირებად გამოცდილი მუშაკები შეარჩია, მერგოლეურებად კი დაწინაურებულ იქნენ საქმისადმი ერთგული, გამრჯე კოლმეურნეები. სოციალისტური შრომის გმირი, დამსახურებული აგრონომი მიხეილ არჩევნიშვილი გადავიდა მევენახეობის ბრიგადაში. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძნის მიღება. დამსახურებული აგრონომი ქსენია ჰიპაშვილი სათავეში ჩაუდგა მემინდვრეობის ბრიგადას. ამ ბრიგადამ გადაწყვიტა წელს თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი ხიმინდის მარცვლის მიღება. აგრონომმა ხანდრო ბაზარაშვილმა მებაღეთა ბრიგადის ხელმძღვანელობა ითავა. ზოოტექნიკოსი ნათელა ოსოშვილი მეფრინველეობის ფერმის გამგედ დადგა, ხოლო ზოოტექნიკოსი ელგუჯა შაოშვილი — მეცხვარეობის ფერმის გამგედ. ასე რომ, კოლმეურნეობის ათივე სპეციალისტი უშუალოდ უწევს ხელმძღვანელობას საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებს. წესრიგში მოვიყვანეთ კოლმეურნეობის სამანქანო-სატრაქტორო პარკი, მთლიანად აღვადგინეთ და გავაფართოეთ მანამდე მიტოვებული სარწყავი სისტემა, მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში შევიტანეთ ათეულ ტონობით სასუქი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხიმინდს. ქსენია ჰიპაშვილის ინიციატივით, შარშანწინ პირველად დაითესა „თეთრნახევარკბილა" ჯიშის ხიმინდი და საუცხოო მოსავალი მოგვცა. ეს ჯიში გასულ წელს დათესილი იყო 240 ჰექტარზე. ნათესიდან მთელს რაიონში მოყვანილი ხიმინდის ერთი მეხუთედი — 1500 ტონა მარცვალი მივიღეთ.

ხიმინდის უხვი მოსავლის მოწევაში განსაკუთრებით ისახელა თავი რესპუბლიკაში სახელგანთქმულმა მექანიზატორმა ზაქარია არჩევნიშვილმა.



ბარდა ჰყვავის

მაგრამ ჩუმლაყელებისათვის მარტო ხიმინდი და ბარდა როდია სიმდიდრის წყარო. 295 ჰექტარზე გადაშენებულ საკოლმეურნეო ზვრებში შარშან ჰექტარზე 66 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, წელს კი 80 ცენტნერს მოვკრეფთ. 880 ჰექტარზე ხორბალი გვითესია, 20 ჰექტარზე — ხეხილის ბაღებია გაშენებული. 80 ჰექტარი ბაღჩეულს უკავია.

ნელ-ნელა წელში გაიმართა კოლმეურნეობა, გამრავლდა მისი დოვლათი. საკოლმეურნეო შემოსავალი 200 ათასი მანეთიდან 650 ათას მანეთამდე გაიზარდა. ვვარაუდობთ, რომ წელს საერთო შემოსავალი კიდევ 250 ათასი მანეთით გადიდდება. თუ შარშან შრომადღეზე 1 მანეთი და 80 კაპიკი გავეცით, წელს ალბათ 2 მანეთსა და 50 კაპიკს გავანაწილებთ.

ამასთან კოლმეურნეობის გამგეობას არასოდეს არ დავიწყებია ჩვენი სოფლის ადამიანების კულტურულ ცხოვრებაზე ზრუნვა: ავაშენეთ საბავშვო ბაგა, გავაფართოვეთ აბანო, სატელეფონო ქსელი, ავაგეთ საზაფხულო თეატრი, სკოლის შენობას დამატებით მივუშენეთ 5 საკლასო ოთახი, მოვაასფალტეთ 8 კილომეტრი საუბნო გზა, დამატებით გამოვიყვანეთ სასმელი წყალი. საექიმო პუნქტთან გავხსენით ლაბორატორია და კოლმეურნეებს აღარ უხდებათ გურჯაანში ჩასვლა. ამ ლაბორატორიას შეფობას უწევს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გივი სალარიძე. მან ჩვენი სოფლის ახალგაზრდებიდან სპეციალური კადრი მოამზადა. მალე დამთავრდება ელექტროწისქვილის, მექანიზებული სახელოსნოსა და კულტურის სახლის მშენებლობაც. ვაზის ნამყენი ნერგის გამოსაყვანად ავაშენეთ სათბური, ახალი საფრინველე, სასბოძე, საძროხე და მრავალი სხვა სამეურნეო ნაგებობა.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ გვაქვს კიდევ გასაკეთებელი. შორს არ არის ის დრო, როცა ჩუმლაყი საბოლოოდ შეიცვლის სახეს და გუშინდელი სოფელი ქალაქის ტიპის სოფლად გადაიქცევა.

ამისათვის საჭიროა უფრო მეტი გარჯა, საქმისადმი უფრო მეტი გულის დადება. დაე, მუდამ უყვავილობდნენ ბაღები, სხარობდნენ ვენახები, ღაღანებდნენ და ბიბინებდნენ მწვანე ჯეჯილები.

მევენახეობის ბრიგადირი ვ. მამათელაშვილი (მარჯვნივ) და მექანიზატორი ვ. ომარაშვილი.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 6 (131) ივნისი, 1962 წ.

გამოცემის XII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



დდ 31

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომელიც ერთხმად მოიწონა და დაამტკიცა ჩვენი დიადი პარტიის ოცდამეორე ყრილობამ, ჩამოყალიბებულია კომუნიზმის მშენებლობის მორალური კოდექსი, ახალი საზოგადოების ეთიკური ნორმები, მისი ზნეობრივი ცნებები.

ოცდამეორე ყრილობის გადაწყვეტილებებსა და პარტიის ახალ პროგრამაში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი. თავის პოლიტიკაში კომუნისტური პარტია ემყარება იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, არსის ლენინურ განსაზღვრას. იმპერიალიზმთან განუყრელადაა დაკავშირებული ომები, ნგრევები, მსოფლიოს დაქუცმაცებისა და გადანაწილების, ხალხთა დამონებისთვის ბრძოლა.

უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მდგომარეობა განისაზღვრება სოციალიზმის სისტემის სწრაფი განვითარებით. ისტორიულმა ჯებენ წინ კომუნიზმის გზაზე მარქსის, ენგელსისა და ლენინის მიერ დასახული მიზნით.

საბჭოთა სახელმწიფო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყოველთვის მტკიცედ ადგა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. ამ პრინციპს თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გვახსოვს რა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ვერაგობანი, ჩვენი პარტია კვლავაც განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას, სამხედრო უძლეველობას, მტკიცედ დაიცავს კომუნიზმის მონაპოვარს, ყოველი საბჭოთა ადამიანის მშვიდობიან, შემოქმედებით შრომას.

პარტიას საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობა მიაჩნია მთელი მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ხალხების მიერ კომუნისტური საზოგადოების აშენების შემადგენელ ნაწილად.

სოციალისტური რევოლუციები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს ხდება. ამ ქვეყნების ეკონომიური და კულტურუ-

# ჩვენი ცხოვრების დროშა პროგრამა

სინამდვილემ დაამტკიცა, რომ ეს სისტემა უფრო მძლავრია, რომ ამ სისტემის პირობებში მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალმა დარგმა უკან ჩამოიტოვა კაპიტალისტური სამყაროს განვითარების დონე. სწრაფად ვითარდება და უახლოეს ხანში უკან ჩამოგვრჩება ყველაზე მეტად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მატერიალური დოვლათის წარმოების დონეც. იმპერიალიზმს უკვე აღარ შეუძლია თავისი ნება-სურვილი უკარნახოს ერთ დროს მის უღელქვეშ მგმინავ ქვეყნებს.

იმპერიალიზმს თანდათან უძნიმს განახორციელოს აგრესიული პოლიტიკა, დაუსჯელად გააჩაღოს სამხედრო ავანტიურები. მის დამპყრობლურ მისწრაფებებს აბრკოლებს ჩვენი დიადი სამშობლოს, მსოფლიო სოციალისტური სისტემის მძლავრი ძალები. სოციალისტური ბანაკის ქვეყნები მტკიცედ მიაბი-

ლი დონე ერთნაირი როდია, მაგრამ „სოციალისტური სახელმწიფოს განვითარება სოციალიზმის ერთიანი მსოფლიო სისტემის შემადგენლობაში, ამ სისტემის კანონზომიერებათა და უპირატესობათა გამოყენება, უზრუნველყოფს მათთვის შესაძლებლობას შეამოკლონ სოციალიზმის მშენებლობის ვადები, სახავს პერსპექტივას, რომ ისინი მეტად თუ ნაკლებად ერთსა და იმავე დროს, ერთი ისტორიული ეპოქის ფარგლებში, გადავლენ კომუნიზმზე".

პარტიის პროგრამაში დასახულია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან თანამეგობრობის ამოცანები. აქვე დასახულია ეკონომიურ და კულტურულ დარგებში სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან თანამეგობრობის ამოცანები.

---

„წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიანი წლების ისტორიაში ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი. ქვეყანა მიიღებს უფრო მეტ რაკეტებს, საომარ მოწყობილობას, ახალი ტიპის სამხედრო ხომალდებს, რაკეტული თავდასხმის მოგერიების ახალ სისტემებს", — ასე დაახასიათა ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა" პრეზიდენტ კენედის 1962-63 საფინანსო წლის ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტში, თუ მის „შენიღბულ" მუხლებსაც ჩავთვლით, სამხედრო ხარჯები 80 პროცენტზე მეტია და 72 მილიარდ დოლარს აღწევს.

პრეზიდენტი კენედი არა ერთხელ გამოსულა სიტყვით მშვიდობისა და ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის შესახებ, მაგრამ ეს მშრალი ციფრები მჭევრმეტყველებს იმაზე, რომ ეიზენჰაუერის მემკვიდრის „ახალი კურსი" არაფრით განსხვავდება მისი წინაპარის პოლიტიკური გეზისაგან.

მაინც რას წარმოადგენს „ახალი კურსი"? ინტენსიურ შეიარაღებას არა მარტო ატომგულის იარაღით, არამედ „ჩვეულებრივი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებითაც", ვინაიდან, როგორც ეს სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა განაცხადა, „ატომური ჩიხის" პირობებში მოსალოდნელია „ლოკალური", ანუ ადგილობრივი ხასიათის ომები, სადაც ატომგულის იარაღის გამოყენება შეიძლება „ზედმეტი აღმოჩნდეს".

ხომ არ ნიშნავს ეს ატომგულის იარაღზე ხელის აღებას? რა თქმა უნდა, არა. საქმე იმაშია, რომ „ახალი კურსის" ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს იმის ცდა, რომ გამოყვანილ იქნას კრიზისულ მდგომარეობიდან შეერთებული შტატების სამხედრო მრეწველობის ის დარგები, რომლებსაც „გაკოტრება" მოელით „ატომგულის იარაღის აბსოლუტური უპირატესობის" გამო. აქედან „ახალი კურსის" პრაქტიკული შედეგია „ლოკალური" ანუ ადგილობრივი ომების გაჩაღება ლაოსში, ალჟირში, კონგოში და ახალი თავდასხმის მომზადება კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამით პრეზიდენტი კენედი იმედოვნებს ორი კურდღლის დაჭერას: ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების გადიდებას და სამხედრო მრეწველობის ამ დარგების შველას. ამავე დროს ახალი ქვეყნებისა და ბაზრების დაკაბალებას.

მარტო 1961 წელს კომპანია „ჯენერალ დაინემიკსმა" მიიღო მილიარდ 197 მილიონზე მეტი დოლარის შეკვეთა, „ნორტ ამერიკენ ავიეიშნმა" — მილირდ 197 მილიონ 400 ათასი დოლარის, „ბოინგმა" — 919 მილიონი დოლარისა და ა. შ. რას წარმოადგენენ აღნიშნული კომპანიები? პირველი ამზადებს რეაქტიულ თვითმფრინავებს, მეორე — ბომბდამშენებსა და რაკეტებს, მესამე — რაკეტებსა და ცნობილ ჯაშუშურ თვითმფრინავებს „უ-2". როგორც ფრანგული ჟურნალი „ფრანს ობსერვერი" აღნიშნავს, შეერთებულ შტატებში „კაპიტალდაბანდებათა გადიდება ჩვეულებრივი ტიპის იარაღის წარმოებაში ხდება ატომგულისა და რაკეტული შეიარაღებისათვის განკუთვნილი სახსრების შეუმცირებლად".

ახალი ომის გამალებული მზადება იყო და დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ქვაკუთხედად. უფრო მეტიც: ვაშინგტონი ყოველ ღონეს ხმარობს შეაიარაღოს თავისი მოკავშირეები ნატოდან, განსაკუთრებით დასავლეთი გერმანია, რომლის მესვეურნი ადენაუერი, შტრაუსი და კომპანია არაფერს არ ზოგავენ იმისათვის, რომ ნანგრევებიდან აღადგინონ ჰიტლერის სამხედრო მანქანა.

ახლა დასავლეთ გერმანიაში თოფქვეშ ნახევარ მილიონამდე ჯარისკაცი დგას. ამდენივე ჯარისკაცი მზადყოფნაში ყავს ინგლისს, იტალიას და თურქეთს, ხოლო საფრანგეთის ჯარების რაოდენობა მილიონს აღემატება.

მსოფლიოში ამერიკის შეიარაღებული ძალების განლაგების რუკა.






ბონელ მინისტრს კვლავ სურს ევროპის თავზე ჯარისკაცული ჩექმის აღმართვა. ისტორიის გაკვეთილებმა, როგორც ჩანს, მას ვერაფერი ასწავლა.



# კენედისეული „ახალ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ იცავს სოციალიზმის მონაპოვარს და მასებს მიუძღვება კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ. ჩვენი პარტია დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ კაცობრიობას ააცილოს ომები, დაიცვას იგი მუდმივი აგრესიებისაგან, რასაც ახორციელებდა და ახორციელებს იმპერიალიზმი. „სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი იყო და კვლავ არის საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გენერალური პრინციპი“, — ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში.

საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ იცავს პრინციპს, რომ მოხდეს საყოველთაო და სრული განიარაღება მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. იმპერიალისტური სახელმწიფოების მეთაურები ამ პრინციპს სასტიკად ეწინააღმდეგებიან. ამის მკაფიო დადასტურებაა პარტიის ოცდამეორე ყრილობის შემდეგ მოწყობილი ჟენევის თათბირი, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩატარებული ატომური აფეთქებები. მათ არ სურთ შეურიგდნენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობას. ისინი ვერ მალავენ თავის უგუნურ ზრახვებს — ომის საშუალებით მოსპონ ჩვენი ქვეყანა და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოები. „ეს ავალებს კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, ყველა ხალხს, გამოიჩინონ შეუნელებელი სიფხიზლე მშვიდობის მტრების აგრესიული ხრიკების მიმართ და მუდამ იყონ მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, მუდამ იყონ მზად თავიანთი სამშობლოს შეიარაღებული დაცვისათვის“. სანამ არსებობს იმპერიალიზმი, იარსებებს ომების საფრთხეც.

მსოფლიოს ხალხებს უდიდეს ტვირთად აწევთ სამხედრო ძალთა შენახვა. ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი ეწირება იმპერიალისტთა ბოროტ ზრახვებს. „საშინაო პირობების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირს არ ესაჭიროება არმია, მაგრამ რამდენადაც რჩება ომების საფრთხე, რომელიც იმპერიალისტური ბანაკიდან მომდინარეობს, მიღწეული არ არის სრული და საყოველთაო განიარაღება, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საჭიროდ მიაჩნია იქონიოს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება, მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოს გადამწყვეტი და სრული განადგურება ყოველი მტრისა, რომელიც გაბედავს ხელყოს საბჭოთა სამშობლო. საბჭოთა სახელმწიფო იზრუნებს იმისათვის, რომ მისი შეიარაღებული ძალები ძლიერი იყონ, ჰქონდეთ სამშობლოს დაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალებანი — ატომური და თერმოატომგულის იარაღი, მოქმედების ყველა რადიუსის რაკეტები, ჭეროვან სიმაღლეზე იქონიონ ყველა სახეობის სამხედრო ტექნიკა და იარაღი“, — ნათქვამია პროგრამაში.

„სოციალიზმი იმპერიალიზმს უპირისპირებს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობას“. სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკა მზარდ გავლენას ახდენს მსოფლიოს ვითარებაზე.

არა მარტო დიდ, არამედ პატარა სახელმწიფოებსაც, რომლებიც მშვიდობიანობის პოლიტიკას იცავენ, ეძლევათ საშუალება განახორციელონ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი.

„თანამედროვეობის ძირითადი საკითხი ომისა და მშვიდობის საკითხია, — ვკითხულობთ ახალ პროგრამაში, — ომის საფრთხის ერთად ერთი წყაროა იმპერიალიზმი. იმპერიალისტური ბანაკი ამზადებს ყველაზე საშინელ დანაშაულს კაცობრიობის წინაშე — მსოფლიო თერმოატომგულის ომს, რომელსაც შეუძლია უმაგალითო ნგრევა გამოიწვიოს მთელ ქვეყნებში, გაჟლიტოს მთელი ხალხები...

მთავარია თავიდან ავიცილოთ თერმოატომგულის ომი, საშუალება არ მივცეთ მას იფეთქოს და ეს ძალუძს ადამიანთა ახლანდელ თაობას“.

„დედამიწაზე შეიქმნა მშვიდობის ზონა“. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ერთად ამ ზონაშია ბევრი არასოციალისტური ქვეყანა, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან ომით.

ომის თავიდან აცილება შესაძლებელია... „კომუნიზმის ისტორიული მისიაა მოსპოს ომები, დაამკვიდროს დედამიწაზე მარადიული მშვიდობა... სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა ადამიანთა საზოგადოების ობიექტური აუცილებლობაა“ — ნათქვამია პროგრამაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი მტკიცედ იბრძოლებს ომის წინაღმდეგ. ჩვენს დიად პარტიას მაღლა ეჭირება მშვიდობისა და მეგობრობის დროშა.

---

ამ რუკაზე, რომელიც გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 1961 წელს გამოაქვეყნა სათაურით „აი სად არის განლაგებული მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები“, მარცხენა კუთხეში მოყვანილ დიაგრამაზე უჯრედებით დაფარული სექტორი გვიჩვენებს შეერთებული შტატების ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების რაოდენობას, დაწინწკლული სექტორი— „ოკეანეებსა და ზღვებში“ სამხედრო ფლოტის პირადი შემადგენლობის რიცხვს, დაშტრიხული კი — სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე მყოფ ჯარების ნაწილებს. რუკაზე აღნიშნული ამერიკის შეიარაღებული ძალების რაოდენობა დღეისათვის კიდევ უფრო გადიდდა და კარგა ხანია ორ მილიონ ექვსას ათასს აღემატება.

ყოველ წელს კაცობრიობა შეიარაღებაზე ხარჯავს 120 მილიარდ დოლარს. ეს თანხა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაბანდებული კაპიტალის ნახევარს აღემატება. აქედან ყოველ ათ წუთში ნატოს ქვეყნები ხარჯავენ ერთ მილიონ დოლარს. დასავლეთ გერმანიამ მარტო გასულ წელს ომის მზადებისათვის დახარჯა 3 მილიარდამდე დოლარი. ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად აწევს მშრომელ ხალხს, კიდევ უფრო აღატაკებს და აჩაჩანაკებს მუშებს, გლეხებს, წვრილსა და საშუალო ბურჟუაზიას.

იმ თანხით, რაც ერთი თანამედროვე ბომბდამშენის გაკეთებაზე იხარჯება, შეიძლება აიგოს 30 სკოლა ან 2 ელექტროსადგური: ელექტროენერგიით დაკმაყოფილდებოდა ორი ქალაქი 60 ათასიანი მოსახლეობით.

20 მილიარდი დოლარი დაჯდებოდა ბერინგის სრუტის გადაკეტვა 85 კილომეტრი სიგრძის კაშხალით, რომელიც შეაჩერებდა ყინულოვან ოკეანედან ცივი წყლის დინებას და დედამიწის უდიდეს სივრცეზე ჰავის შეცვლისა და ახალი მიწების ათვისების საშუალებას მისცემდა ადამიანს.

3 მილიარდი დოლარია საჭირო იმისათვის, რომ ცენტრალურ აფრიკაში აშენდეს კაშხალთა სისტემა და შეიქმნას ორი დიდი ტბა, რაც საჰარის უდაბნოს აყვავებულ ბაღად გადააქცევდა.

ამისათვის საჭიროა: ადამიანები არ ფიქრობდნენ ომზე; გაერთიანებული ძალებით გადაუღობონ გზა იმპერიალისტთა თავაწყვეტილ მხედრიონს, რომლის თვითეული ჯარისკაცი სიკვდილის ემბლემასავით ევლინება მშვიდობისმოყვარე ხალხებს.

ამერიკის შეერთებული შტატები და მისი სატელიტები ნატოდან კვლავ აჟღარუნებენ იარაღს, საჰარასა და შობის კუნძულებზე კვლავ ატომურ აფეთქებათა ბუმბერაზული სოკოები ჩნდება, მაგრამ ადამიანები ფხიზლად არიან. მათთვის ომს სიკვდილის, ტანჯვისა და ნგრევის გარდა არაფერი მოუტანია. ისინი არ დაზოგავენ ძალღონეს იმისათვის, რომ აღარ გამეორდეს წარსულის შემაძრწუნებელი სისხლის ღვრა, არ გადაიქცეს ჩვენი პლანეტა ადამიანთა სასაკლაოდ.

ლ. ალექსიძე



ნახ. მ. მურვანიძისა.



თბილისის კემპინგი

ფოტო გ. თიკანაძისა

# მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა!

მრავალ უცხოელ სტუმარს იზიდავს საქართველო. დადგება თუ არა ზაფხული, მსოფლიოს რომელი კუთხიდან არ გინდა კარი არ მოგვიკაკუნონ. ასობით და ათასობით ტურისტი ეცნობა ჩვენს მომხიბვლელ მხარეს, ასობით და ათასობით მოგზაურს მიაქვს თან დაუვიწყარი მოგონება ჩვენი ცხოვრების სიამტკბილობასა და ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობაზე.

ხელგაშლილი, გულგაშლილი ხვდება ჩვენი ქვეყანა შორეთიდან ჩამოსულებს; ხვდება და გულსა და სულს არ იშურებს მათთვის.

წელს ოცდახუთი ათასზე მეტი სტუმარი ეწვევა საქართველოს ტურისტულ ბაზებს. მარტო გუდაუთას ოქროს სანაპიროზე ყოველდღიურად 240 გერმანელ ტურისტს მიიღებენ. ახლახან ჩამოვიდნენ ტურისტთა პირველი ჯგუფები ჩინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ინგლისიდან



ამერიკის შეერთებული შტატების ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის დელეგაცია ჯვარზე.



ჩეხ მხატვარს ლუბოშ ტექნიკს ფუნჯი აღარ ჰყო შთაბეჭდილებათა გამოსახატავად. მან კინოაპარატი მოიშველია.







ელოდებიან ამერიკელი, ფრანგი, იტალიელი ტურისტების დიდ ჯგუფებს, აგრეთვე სტუმრებს მეგობრული სოციალისტური ქვეყნებიდან.

წელს განსაკუთრებით განვითარდება ავტოტურიზმი, კიდევ უფრო დაიტვირთება საქართველოს სამხედრო გზა და ტრასა თბილისი — განთიადი. ამ გზებზე უკვე გაიხსნა ბევრი ახალი რესტორანი. ავტოტურისტებისათვის დილომთან შენდება საგზაო სასტუმრო — მოტელი, რომელიც გათვალისწინებულია 100-120 კაცისათვის. მოტელში ტურისტს შეუძლია მოიმარაგოს ბენზინი, გარეცხოს მანქანა, ჩაატაროს მისი პროფილაქტიკა.

ჩვენს სტუმრებს უეჭველად გაახარებთ თბილისის იპოდრომსა და დილომის ახლოს აგებული კემპინგებიც. პირველში ერთდროულად დაისვენებს 200-ზე მეტი კაცი, მეორეში — 300-მდე. პატარა, კოხტა და ფერად-ფერადი კოტეჯები სამ-ოთხ კაცს იტევს. კოტეჯების წინ მანქანების სადგომი ადგილებია. ტურისტები აქ უზრუნველყოფილი იქნებიან თვითმომსახურების სამზარეულოებით, სასადილო-ბუფეტით, ყველა საჭირო პროდუქტით, ცივი და ცხელი შხაპებით. ღია ცის ქვეშაა კინო-თეატრი, საცეკვაო სპორტული მოედნები, ბიბლიოთეკა-სამკითხველო უცხოური ლიტერატურითა და ჟურნალ-გაზეთებით. აქვეა სუვენირების მაღაზია. ავტოტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ შეუფერხებლად ჩაატარონ მანქანების პროფილაქტიკაც.



საგზაო სასტუმროს—მოტელის მშენებლობა დილომთან.

კეთილი გულით მოსული უცხოელი ოდითგანვე სასურველი სტუმარი იყო ქართველი კაცისათვის, სასურველია მითუმეტეს ახლა, როცა ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა დღეის დღისა და მომავლის ქვაკუთხედად გადაქცეულა. მრავალი მოგზაური გვეწვევა წლეულს, კიდევ უფრო მეტი გვესტუმრება მერმისს და, ჩვენც გაშლილი ხელით და გულით შევეგებებით მათ:

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა!..



ფინელი ფილოლოგი კაი კაუპანენი და მისი მეუღლე აღფრთოვანებულნი არიან ქართული ხუროთმოძღვრებით.

# ქართველები კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში



XVI საუკუნის გერმანელი მისიონერის სალომონ შვეიგერის წიგნში „მოგზაურობა კონსტანტინეპოლსა და იერუსალიმში" (გამოიცა 1664 წელს) საქართველოს შესახებ მრავალ საყურადღებო ცნობებს წავაწყდი. მათი ნაწილი უკვე გავაცანი მკითხველებს (იხ. ჟურნალი „დროშა", 1961 წ. №11). ამ წერილში მინდა იმ ცნობების შესახებ მოგითხროთ, რომლებიც კონსტანტინეპოლსა და იერუსალიმში მცხოვრებ ქართველებს შეეხება.

სალომონ შვეიგერი ოთხი წელი იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში, შემდეგ კი იერუსალიმის გასაცნობად გაემგზავრა. ორივე ქალაქში დიდი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა თურქებისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხების ცხოვრებას, ეცნობოდა მათ სარწმუნოებას, ადათ-წესებს და პოლიტიკას.

გერმანელი მისიონერი კონსტანტინეპოლში შეხვდა ქართველთა ჯგუფს, რომელიც 150 კაცისაგან შედგებოდა. ამ ჯგუფს სამცხის ათაბაგი ყვარყვარე VI და მისი ძმა მანუჩარი ხელმძღვანელობდნენ.

შვეიგერი მოხიბლული დარჩა ქართველთა წარმოსადეგი გარეგნობით, მათი პირდაპირობით, გულადობითა და სიჩაუქით.

თავისი წიგნის 166-167 გვერდებზე შვეიგერი წერს იანიჩარების შესახებ. ისინი მეტად უშიშარი მებრძოლები ყოფილან. ავტორი აღნიშნავს, რომ თურქეთს გამობრძმედილი ჯარი ჰყავს ეგვიპტეში, სადაც მათ მამელუკებს უწოდებენ. „ყველა ეს მამელუკი, — გვამცნობს შვეიგერი, — განსაკუთრებით კოლხებისა და იბერიელების ქრისტიანი შვილები არიან".

შვეიგერს წიგნში მოუთავსებია თავისი ჩანახატი, რომელზეც ფეხოსანი და ცხენოსანი იანიჩარებია გამოხატული (სურ. 1).

საინტერესოა აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი წესით დასტირიან ქართველები თავიანთ მიცვალებულს: „მათ (ქართველებს) აქვთ განსაკუთრებული ჩვეულებანი (ცერემონიები), რომლებსაც მისდევენ მიცვალებულის დასაფლავების დროს. ისინი მიცვალებულს ჩვეულებრივ ნოხზე დაასვენებენ. მიცვალებული ჩაცმულია თავის ტანისამოსში; გვერდით აქეთ-იქით დაუდებენ მახვილსა და ისარს. შემდეგ შემოდიან იმისი ნათესავები, ნაცნობები და პატივისმცემლები და ხმამაღლა დასტირიან მოთქმით, აქებენ მას. განსაკუთრებით თუ იგი (მიცვალებული) მეომარია, მოსთქვამენ: რა უშიშარი გმირი იყავ შენ, როგორ გმირულად იქნევდი მახვილს და აკვირვებდი და აშინებდი . შენი მამაცობითა და ვაჟკაცობით მტერს, ახლა კი, როცა შენ აღარ შეგიძლია იარაღის ხმარება, რა დიდ სიხარულს იწვევ შენს მტრებში! ასეთი მოთქმით დასტირიან მიცვალებულს ყველანი და თვითეული მათგანი ცდილობს სხვაზე უკეთესად გამოსთქვას თავისი მწუხარება".

შვეიგერი დაწვრილებით აგვიწერს იმდროინდელ იერუსალიმს. მას ქალაქის სპეციალური რუკაც კი დაუმზადებია სხვადასხვა ეკლესიებისა და მნიშვნელოვანი ნაგებობების აღნუსხვით. ავტორი გვაწვდის ცნობებს იერუსალიმის მკვიდრთა ეროვნულ შემადგენლობაზე. „ბერძენი ქრისტიანები იერუსალიმში აღირიცხებიან 150 კომლად კოფტონები (?) 15 კომლად, სორიანები (?) 10 კომლად, ვორანიტები (?) 2 კომლად, ნესტორიანები 2 კომლად, ქართველები 5 კომლად, აბესინერები 5 კომლად, ებრაელები 90 კომლად და დანარჩენი ხალხნი არიან არაბები და თურქები და სხვა მტრები იესოს ჯვარისა".

შვეიგერი საკმაოდ ვრცლად აღწერს ქრისტიანებისათვის უძვირფასეს ადგილს — „ქრისტეს საფლავის" ტაძარს. წიგნის ავტორის მიერ შესრულებულ ჩანახატზე (სურათი №2) ეს ტაძარი გარე ხედითაა წარმოდგენილი. ორ დიდ გუმბათს შორის კარგად მოჩანს მომცრო, უგუმბათო თალი, რომლის თავზე მოთავსებულია ასო „C". სურათის წარწერაში შვეიგერი განმარტავს ტაძარში ამ ადგილას იდგა ჯვარი, რომელზეც აცვეს ქრისტე, შემდეგ კი წერს: „სწორედ ამ ადგილას (სადაც ჯვარი მდგარა) ქართველებს ჰქონიათ თავისი კაპელა". სალოცავი კაპელა სხვა ერის ქრისტიანებსაც ჰქონიათ. ყველა ისინი საეკლესიო წესს მხოლოდ თავიანთ კაპელაში ასრულებდნენ. ამ წესთან დაკავშირებით შვეიგერს მოჰყავს ერთი ინციდენტი: რომელიღაც იტალიელ ბერმონაზონს დაურღვევია ეს წესი, მლოცველებით თვითნებურად შესულა ქართველთა კაპელაში და ღვთისმსახურების წესი შეუსრულებია. ქართველებს ურიცხავთ [illegible] 1000 დუკატით დაუჯარიმებია.

ასეთია მოკლედ ის ძუნწი ცნობები, რომლებიც შვეიგერს ქართველების შესახებ შემოუნახავს იერუსალიმში ყოფნისას.

აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო რამდენიმე პიროვნებაზე, რომლებიც შვეიგერის ბიოგრაფიაში მის მეგობრებად არიან მოხსენებულნი. ერთ-ერთი მათგანია იოხიამ ფონ ზიტცენდორფი, შვეიგერის მფარველი და ოტომანის მთავრობასთან დანიშნული დესპანი (სხვათა შორის, ყვარყვარე ათაბაგს მან საჩუქრად მიართვა ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი „აუგსბურგის აღსარება"). შვეიგერის მეორე მეგობარია ბარონ ჰაინრიხ ჰერმან ფონ მილხლინგი, რომელიც შვეიგერზე ოცი წლით ადრე ყოფილა იერუსალიმში. და ბოლოს, მესამე—მარტინ გრუფიუსი. 1658 წელს მარტინ გრუფიუსმა საგანგებო სახოტბო ლექსი მიუძღვნა მოგზაურობიდან დაბრუნებულ შვეიგერს, მისივე თანამშრომლობით იმავე წელს გამოსცეს შვეიგერის მოგზაურობის „მოკლე, მაგრამ ზუსტი" ცნობები.

ადვილი დასაშვებია, რომ ამ პირთა ნაწარმოებებში (ცხადია, თუ კი ასეთი ნაწარმოებები არსებობს) შესაძლოა საქართველოს შესახებ ბევრ საყურადღებო და დღემდე უცნობ ცნობას წავაწყდეთ.

დღევანდელ ვითარებაში, ძნელი არ არის დავუკავშირდეთ ბერლინის ან ლაიპციგის უნივერსიტეტებს და ვთხოვოთ გამოგვიგზავნონ გერმანელ საზოგადო მოღვაწეთა წიგნი: **„Allgemeine deutsche Biographie, Bd. 33, leipzig. Vevlog von Duncker u Humblot, 1891.**

მათვე უნდა მივმართოთ შეკითხვით, თუ სად შეიძლება მივაგნოთ შვეიგერის მიერ მოგზაურობიდან ჩამოტანილ ჩანახატებს და როგორ მივიღოთ იმ სურათების ანაბეჭდები, რომლებსაც საქართველოსთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ

გ. ნათიძე



# განთიადის დედოფალი

ორდე დგებუაძე

მოთხრობა

როგორც ცნობილია, ასე იქცევიან მხოლოდ და მხოლოდ ისეთი აქციონები, რომელთაც დიდად საყვარელი და სანდო მემკვიდრე ჰყავთ.

ჩვენი აქციების სამი წლის დივიდენდმა სამ მილიონს გადააჭარბა.

ამ ქვეყანას ღრუბლებამდის აფრენილი არწივივით დავცქეროდი. დიდებული რომი თავისი რომანტიკით, მისი შადრევნებითა და ქანდაკებებით, გოტიკური ტაძრებითა და ხელოვნური ტბებით, ყველა მისი სიდიდით, თითქოს ჩემს საამებლად ყოფილიყო გაჩენილი. თითქოს ისინიც, ისე როგორც ჩემი ბარაქიანი ცხოვრება, უდრტვინველად დაიბადენ და გარდა ჩემებრ გააზიზებულ ადამიანთა გართობისა, სხვა დანიშნულება არა ჰქონოდათ. განებივრებულს, ჩემი „ბენცის" სპილოს ძვლის საჭე მაგრად მეჭირა ხელში და ჩემს ვარვარასთან ერთად ევროპის ქალაქებში თუ ოკეანეებისა და ზღვის სანაპიროებზე ცხოვრებას ვართმევდი ყოველივე კარგს. ათასების ფასად ვეძებდი საშუალებას, რომელსაც შეეძლო ჩემში ახალი, საამო გრძნობა აღეძრა. ჩემს თვალში წმინდა სისხლის ინგლისური თუ ანდალუზური ტაიჭები, პოლონური თუ არაბული ბედაურები ერთმანეთს სიკოხტავეში ეჯიბრებოდნენ.

მალე კარგი მხედარი გავხდი. დოღში ერთხელ ჯილდოც მივიღე. ამ სპორტმა გამიტაცა ერთ ხანს და მადრიდში ერთი შავი ულაყის საფასურად ასი ათასი დოლარი გადავიხადე. მის მწვრთნელს ერთი წლის განმავლობაში ხუთი ათას დოლარს ვუხდიდი თვეში.

დერეფნებზე თეთრი აბრეშუმის საფენები ქათქათებდა. ძვირფასი კაკლის ხის მოხატაულებულ კედლებს ფლამანდიის გობელინები და მსოფლიოს ყველა საუკუნის გამოჩენილი მხატვრების სურათები ამშვენებდა.

რომში ჩვენს ბაღს, სამოთხის ბაღს ეძახდნენ. ჩილის პალმების თვალუწვდენელ ხეივნის იქით, მზერა, ფორთოხლისა და ლიმონის ხეების ჩრდილში იკარგებოდა. ათასგვარი ხეხილის ხეებით გადაჭარგულ ბაღში, მრავალფერი იაპონური ფარნები პეპლის ფრთებივით ფარფატებდნენ. ხელოვნური ღელე ჩუხჩუხებდა წალკოტში. ცად ავარდნილი შადრევნები სადღაც თაიგულივით იშლებოდა და მერე ვერცხლისფერ წინწკლებად სცვიოდა დედამიწაზე.

ლასკალას საოპერო თეატრში წარმოდგენას ვესწრებოდით თუ არა, ჩვენ ლოჟაში სხვას არავის უშვებდნენ.

დრო გადიოდა. მე, ახალ-ახალ გასართობებს ვეძებდი. მე და ჩემმა მეუღლემ დიდი ხნით მოგზაურობა განვიზრახეთ. მთელი ქვეყნიერება შემოვიარეთ. ყველა ზღვებისა და ოკეანეების სანაპირო ქალაქები და კუნძულები მოვინახულეთ. ჩვენ კომფორტაბელურ, შავარდენივით სწრაფმავალ ორჩხომილს ნავსადგურებში ხალხი განცვიფრებაში მოჰყავდა. ყველგან წვეულებას ვმართავდი. ყველას ანცვიფრებდა ჩემი სუფრის მრავალფეროვნება, ჩვენი ხელგაშლილობა. ორი წლის მოგზაურობიდან დაბრუნებულმა იმდენი სამახსოვრო საჩუქრები ჩამოვიტანეთ, რომ მარტო ისინი გვეყოფოდა საცხოვრებლად მთელი საუკუნე.

ჩემებრ უთვისტომოსათვის კიდევ რა იყო საჭირო? მაგრამ ნუ იტყვით, ადამიანის გული შეუცნობი რამ ყოფილა. ამ, მუჭისოდენა საკორწიალოს, მკერდქვეშ ჭალივით რომ ჰკიდია, თურმე ისე, როგორც უძირო ოკეანეს, ვერა და ვერა, ვერ ჩახორგავ, ვერ აავსებ. მე, ბოშა ბიჭს, ერთ დროს ღვთის ანაბარად დარჩენილს, ახლა კი ამქვეყნიური სიამით გაყოყოჩებულს, უფრო მეტად მადიდგულებდა შეგნება იმისი, რომ ყველაფერი, რისი ნატვრაც შემეძლო, ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო. არ არის საიდუმლო, რომ ასე გაიაფებული ცხოვრება, ერთ დროს რა, რიგ სანატრელიც არ უნდა ყოფილიყო, ახლა გულს არ იზიდავდა. ნუთუ სიცოცხლე მომბეზრდა-მეთქი, არაერთხელ მიფიქრია შეცბუნებულს, მაგრამ ისევ ლხინი, ისევ დროსტარება.

ღრეობით გულდამძიმებულს ხშირად ამღვრებია სურვილები გაუგებარი, ამოუხსნელი.

ჩემი მეუღლე ჩემს ფერისცვალებას ამჩნევდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მეც კარგად ვხედავდი, რომ ეს ჭკვიანი თანამეცხედრე ცდილობდა ისეთი საქმისათვის მიეგნო, რომელიც ჩემში ინტერესს გამოიწვევდა. ზღვაოსნობის შესწავლ შემომთავაზა. დიდი გემი შევიძინოთ, შენ კაპიტანი იქნები და ზღვები და ოკეანეები ვსეროთო, მეუბნებოდა, მაგრამ ამ ხერხმა არ გასჭრა, გული ზღვისაკენ არ მიმიწევდა.

ვარვარას რომთან ახლოს დიდი მამული შეუძენია. საქონლისა და ფრინველის ფერმები მოუწყვია. გედებით გადაპენტილ ხელოვნურ ტბაში მრავალგვარი ჯიშის თევზი მოუშენებია. სამას ჰექტარამდე ტყეს რკინის ღობე ჰქონდა შემოვლებული. რას არ ნახავდა შიგ ადამიანის თვალი, შველი თუ ირემი, გარეული ღორი თუ თხა, ხოხობი თუ დურაჯი, ერთი სიტყვით ყველაფერი, რისი ნატვრაც კარგ მონადირეს შეეძლო. შუაგულ ტყეში შუა საუკუნის კოშკის მაგვარი სახლი აუშენებია, რომლის კოშკურიდან ტყის ყოველი კუთხე ჩანდა. კოშკის ქვედა სართულზე სხვადასხვა ჯიშისა და ფერის მონადირე ძაღლები ბინადრობდნენ.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ვარვარამ ამ მამულში წამიყვანა, დამათვალიერებინა და როცა მითხრა, რომ ყველაფერი ეს ჩვენი საკუთრება იყო, სიხარულისაგან ცას ვეწიე.

მთელი წელიწადი ამ მამულიდან ფეხი არ გამიდგამს. მოჯამაგირეებთან ერთად მეც შრომაში ჩავები. ვთევზაობდი, ვნადირობდი. ახალ-ახალი ჯიშის ცხოველებისა თუ ფრინველების, ძაღლებისა თუ თევზების ძებნაში ვიყავი და ვინ იცის სად არ ვგზავნიდი ხალხს მათ შესაძენად. ცხოვრება კვლავ თავს მაყვარებდა, გული ხალისით მევსებოდა...

ერთ დღეს რომიდან დაბრუნებული ვარვარა დავიდოვნა სიხარულისაგან დანამული თვალებით მომიახლოვდა, გადამეხვია, გულში ჩამიკრა და...

ფეხმძიმე მეუღლე შმაგივით ავიტაცე და არც კი მახსოვს თუ რამდენი ხანი დავარბენინებდი ფოთლებით მოფენილ ხეივანში. თუ აქამდი მე ეს ქალი, როგორც ჩემი კეთილის მსურველი და ერთგული ცოლი მიყვარდა, ახლა მე ის, მთელი ჩემი ცხოვრების იმედად მივიჩნიე. მე მას ისე ვუფრთხილდებოდი, როგორც ჩემი სიცოცხლის კალთით მატარებელს. ბედნიერების მოლოდინში, კიდევ უკეთესი მერმისისათვის სამზადისმა აღმაფრთოვანა.

არასოდეს არ დამავიწყდება ერთ უპოვართან შეხვედრა. ეს კაცი საღამო ჟამს ჭიშკართან დამიხვდა და მოწყალება მთხოვა. როცა ვერცხლის მონეტები ხელში უხვად ჩავუჩხრიალე, ამ ხანდაზმულმა გლახამ გამჭირდავად ჩაიცინა, ვერცხლის ფულებს წუნია თვალით შეხედა:

— ოქრო? — მომიბრუნდა, ამხედ-დამხედა, — ბუნებრივია დაგენანოს, ვერ გაიმეტო, — მერე მონეტები ჩანთაში ჩაყარა და მშვიდად განაგრძო, — ღმერთმა მემკვიდრე გიცოცხლოს, სახელოვანი ვაჟკაცი გაგიზარდოს, მაგრამ სხვა არაფერი? კიდევ რას მოისურვებ? ეს იყო შენი საბოლოო მიზანი?

კოპები შემეკრა.

— ახლა ყველაფერი გაქვს,—ჩანთიდან ხმელა პური ამოიღო, მოკბიჩა და განაგრძო. — სიმდიდრე, — უდრტვინველმა ცოლმა ჩაგაბარა. ბუნებამ თვალსაამო ემხით დაგაჯილდოვა. მალე პატარაც გაჩნდება და ოჯახს სიხარულით აგივსებს, მაგრამ მერე?

პასუხი არ გამიცია, ჭიშკარი შევაღე, ზღურბლს გადავალაჯე და რომ გაჩუმებულიყო, ოქროს მონეტა გადავუგდე.

ჩაიხითხითა, ფული ხელში შეათამაშა.

— აი, ამას შეუძლია ყველაფერი. იქნებ პოლიტიკას მოჰკიდო ხელი, ოქრო ბევრი გაქვს, სულ მალე შეგიძლია სახელი გაითქვა, გახდე სენატორი, მინისტრი, პრეზიდენტი. თანამდებობა სინამდვილეს გადაგავიწყებს, თორემ ამ ცხოვრებით გულშეჯერებულ ახალგაზრდა კაცს რა გაგაძლებინებს, სანამ სიკვდილი გეწვეოდეს. აა, რას იტყვი?

მეტის მოთმენა არ შემეძლო, მივუბრუნდი და უკმეხად ვუთხარი:

— ჭირივით მეზარებიან მოლაყბე ადამიანები.

—მართალი ხარ. პოლიტიკოსები მოლაყბენი არიან. — ისევ ჩაიხითხითა, ოქროს ფული ჩანთაში გადააგდო, —მაგრამ უამისოდ არ შეიძლება. ცხენოსანი ჯულარლოს იმიტომ მოეფარება ხოლმე და პირში ნატეხ შაქარსაც იმიტომ ჩაუდებს, რომ უნაგირი შეადგას და ზურგზე მოექცეს. იქნებ მწერლობა. მაგრამ გატყობ პირმოთნეობა არ გიყვარს...

მსახურს ვანიშნე კარი დაეხურა და მეც საჩქაროდ გავეცალე იქაურობას, მაგრამ ამ უპოვარის სიტყვები, ხორცმეტივით ამეკიდა, ვერ მოვიშორე. მერე კიდევ რა? ახალი, თორემ ის, რაც ნახული და განცდილია...

...ჩემმა სიცოცხლის გამგრძელებელმა თვალები გაახილა. ვაჟის მოლოდინში ქალის დაბადებით ვარვარა ერთხანს უკმაყოფილო იყო, მაგრამ მალე შევაგნებინე, რომ ის სცოდავდა, რომ ვაჟი თუ ქალი მშობლების სისხლხორცია.

იზრდებოდა ჩემი ლუსანა, თვალმცეცხლია, პირმთვარე. სვილისფერი გრძელი წამწამები, მაყვალივით შავ თვალებს უჩრდილავდა. ფართე შუბლს ხოჭოსავით შავი წარბები უმშვენებდა. ლალისფერ ბაგეზე მძინარესაც კი ნათელი ღიმილი დასთამაშებდა.

იმ საბედისწერო ღამეს კაზინოში რულეტკასთან არხეინად ვიჯექი, როცა ჩემი მსახური დარბაზში გაფითრებული შემოიჭრა და გაბზარული ხმით—ბავშვი ცუდად არისო, მითხრა.

შინმისულს საშინელი სურათი დამიხვდა.

ჩემი მეუღლის დასაძინებელ ოთახში სისხლის ღვარი იდგა. ყელგამოჭრილ თანამოსარეცლეს გვერდით კისერჩალურჯებული ლუსანა ესვენა.

სახლში პოლიციელები ირეოდნენ.

ჩემი მეუღლის სასთუმალთან, კვარცხლბეკზე, ბრილიანტის დიდი გულის ქინძისთავი „განთიადის დედოფალი" არ ანათებდა.

ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა. წყეულმა ბრჭყვიალა ქვამ ჩემი ბედნიერება შეიწირა. მე უბედურს, თურმე ოჯახში სიკვდილი შემომქონდა, როცა „განთიადის დედოფალში" ორასი ათასი გირვანქა სტერლინგი გადავიხადე და ჩემს ახალმოლოგინებულ მეუღლეს სამახსოვროდ მივართვი.

მთელი წელიწადი სამძებრო პოლიციის აგენტებს დავდევდი კვალდაკვალ, მაგრამ არ იქნა, ბოროტმოქმედს ვერ მივაგენით. ინგლისიდან გამოჩენილი მაძებრები ჩამოვიდნენ, მაგრამ ამაოდ.

პოლიცია არასოდეს არ მიყვარდა, მაგრამ ახლა, მისმა უძლურებამ დასანახავადაც შემაჯავრა.

გადავწყვიტე, ჩემი გულის ამომგლეჯი მევე მეძებნა. ყველა სახელმწიფოს ყველა გაზეთებით ვიტყობინებოდი, რომ მე იტალიელი მილიონერი იგორ ტამანოვი ერთ მილიონ დოლარით დავასაჩუქრებდი იმას, ვინც ჩემი ცოლ-შვილის მკვლელისა და „განთიადის დედოფლის" გამტაცებლის კვალს მიმითითებდა.

და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს სანდომიანი სახის მანდილოსანი გამომეცხადა. ის ერთი მილიონი დოლარის ჩეკს ითხოვდა და მპირდებოდა ეჩვენებინა კაცი, რომელმაც „განთიადის დედოფალი" იტალიიდან რუსეთს გაიტანა და გაჰყიდა.

მე მას ფიცი მივეცი. ქალი არც კი შეყოყმანებულა. ყველაფერი მიამბო რაც იცოდა.

— დორითე დე-პოლინს,—მეუბნებოდა მონდობილი მანდილოსანი, — ერთ-ორ კვირაში ჩემზე ჯვარი უნდა დაეწერა, მაგრამ სწორედ ამ დროს, ამ კაცის ხელში ძვირფასი ქინძისთავი გაჩნდა. მან ეს ნადავლი რუსეთში გაიტანა და იქ, ვინმე პუტილოვს მიჰყიდა. ამ მდიდარ რუსს, დე-პოლინის პეტერბურგში ყოფნის დროს ეს ძვირფასი საჩუქარი რუსეთის დედოფლისათვის მიურთმევია.

— მაშ თქვენი საქმროა მკვლელი? — შევეკითხე მე.

— თუმცა მე მან დამტოვა და „განთიადის დედოფლით" გამდიდრებულმა ვილაც ღვინით მოვაჭრის თვრამეტი წლის ქალიშვილზე გამცვალა, მაგრამ ცოდვას ვერ დავიდებ. მან მკვლელობისა არაფერი იცოდა.

მესამე დღეს, საღამო ჟამს, ცელიის გორაკზე, ერთი იტალიელი თულის სახლის სარდაფში გაკოჭილი დორითე დამახვედრეს. (ღმერთო, დიდებულო, რა არ შეუძლია ოქროს!).

დე-პოლინთან ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდა. მან ჩემი ცოლ-შვილის მკვლელები დაასახელა, ორთავეს მისამართები მითხრა და ფიცის ქვეშ დასძინა, რომ ლუსანას და ვარვარა დავიდოვნას მოკვლაზე არაფერი გაუგია, სანამ გაზეთებში ჩემი განცხადებები არ წაიკითხა.

მკვლელები იმავე სარდაფში მომგვარეს.

გათენებამდი ჩემმა ბიჭებმა ავაზაკების უსულო სხეულებს მდინარე ტიბრში გადაუძახეს.

გულზე მომეშვა. შინ დაბრუნებულმა, მას შემდეგ, რაც ცოლ-შვილი მიწას მივაბარე, პირველად ვისაუზმე მადიანად და ლოგინში ჩავწექი.

მთელი ღამე მეძინა. მეორე დღეს ისეთი გული ამყვა, როგორიც მაშინ, როცა ვარვარა დავიდოვნა მეწვა გვერდით და ჩემი ლუსანა მზის შუქს ეთამაშებოდა.

ვეწვიე ლასკალას. მამული მოვინახულე. ტბაში ნავი შევაცურე, გედებს მივუალერსე. ნაკრძალში ხოხობს ვესროლე. მერე, ერთ კაბარეს მივაკითხე და მთელი ღამე ღვინის სმაში გავატარე.

სახეზე მჭმუნვარება გადამეწმინდა.

გულს ხალისი მოუნდა.

მიკვირდა და მიხაროდა, მწუხარებას თავი რომ წავართვი. დარდიმანდი ვაჟკაცი რომის წარჩინებულთა ოჯახების კიდევ უფრო მეტად სასურველი სტუმარი გავხდი. ჩემდამი განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი იჩენდნენ, რომლებსაც შინ გასათხოვარი ლამაზები ეზულებოდათ.

და მეც, ყოველდღიურმა ლხინმა და ქეიფმა გამიყოლია. შინ თუ გარეთ შამპანური თუ ბორდო, ხერესი თუ პორტვეინი დუღდა და გადადუღდა. მარტო არ ვრჩებოდი. თანამესუფრეებს არ ვიცილებდი. დაკარგულ იმედთა გახსენებას გულს არ ვაცლიდი. ამქვეყნიურს არაფერს ვიკლებდი. მშვენიერ მანდილოსნებთან თუ კეკლუც ყმაწვილქალებთან შესახვედრად რომის ყველა უბნებში კონსპირაციული ბინები მქონდა. ჩემს სეიფში განაბული ნატვრის ყვითელი თვალი ჯადოქრობდა. მეც ჯერ არ განცდილსა და ნახულს ვეძებდი. შეგნება იმისი, სადაც ჩემი ეშხი და მიმზიდველობა არ გაჭრიდა, ოქრო თავისას გაიტანდა, საკუთარ სიცოცხლეს მაძულებდა.

მერე? კიდევ რა? — უპოვარის სიტყვები ყურში ქარივით წიოდა.

მართლაც, მე, ადამიანი, რა ვიყავი, რისი მაქნისი, თუ ყვითელი მბრძანებელი ჯადოსნური ჯოხივით, ისე როგორც ზღაპარში, ყველაფერს მთავაზობდა, ყველაფერს, რისი ნატვრაც შემეძლო?

ერთ დღეს, ჩემმა კამერგერმა ნადიმი გამართა და რომის წარჩინებულ ადამიანებთან ერთად უნგრელი მზეთუნახავი, დიდი თავადის ასული თამილა ზაპოლია თავისი ამალით მოიწვია.

იმ ხანებში, თამილას ზღაპრულ სილამაზეზე მთელი იტალია ლაპარაკობდა. ბუდაპეშტიდან ჩამოსულმა მევიოლინემ სამი თვე დაჰყო რომში და ისეთი თვინიერება გამოიჩინა, რომ იტალიელ მუსუსებს ამ ქალთან სიახლოვე ფიქრადაც არ მოსვლიათ.

ჩემმა სიმდიდრემ, თავაზიანობამ, თვალტანადობამ გასჭრა, მზეთუნახავი მოჯადოებულივით იჯდა და თვალს არ მაშორებდა. შემპარავად შეზავებულმა ესპანურმა ხერესმა მიერთგულა. გათენებამდე ვერავინ ვერ გასძლო.

მსახურებს სტუმრები ხელით გაჰყავდათ და აძინებდნენ.

თამილა კი ჩემს საძინებელ ოთახში მკლავზე მეწვა და სიქალწულე გამონაგლოვი, ნამტირალევი თვალებით ღია ფანჯრიდან ვარდისფრად მოხატულ ცისკარს გასცქეროდა.

იმ საღამოს საშინელი მარტოობა ვიგრძენი.

გათავდა, რაღა უნდა იყოს იმაზე უფრო დიდი ნეტარება, რაც შენ წუხელ შეიგრძენი... კიდევ რას უნდა ელოდე? ასე

---

(გაგრძელება. იხ. ჟ. „დროშა" 1961 წ. № 4, 6, 7, 8, 10, 12. 1962 წ. № 2, 3, 5).



გორის ქუჩა



საბაგირო გზა



ახალი საავადმყოფო

# მომენატრე შე, ჩემო ქუთაისო!

ვასილ მეგზაძე

ქუთაისი ამ დროს მწვანედ დაბურულ ვეება ბაღსა ჰგავს. განაპირა უბნებზე მოდებული სიმწვანე ქალაქის შუაგულში კიდევ უფრო ძალუმი და ფეროვანი ხდება.

ქალაქი ასეთ დღეებში ახალამოყრილი ატმის ტოტივით ჰყვავის.

უქიმერიონის ძირში ნაკვერცხლებივით გიზგიზებენ დაწითლებული ბლები. ბექობებსა და გორაკებს ჭაღარასავით შეჰპარვია გუნდი და გუნდი ალვის ხეები.

სოლომონისეული ჭადარი თითქოს დაღლილა და დაპატარავებულა. ისე ხომ არ ემართებათ ხნოვან ხეებსაც, როგორც მოხუცებულებს?!

ჭადარს თავზე გადაუდის საბაგირო გზა. ალუბლისფრად შეღებილი ვაგონები წარამარა მიმოდიან რიონის სანაპიროდან გაბაშვილის გორამდე.

გაბაშვილის გორაზე, სადაც ახლა კულტურისა და დასვენების პარკია, დღენიადაგ შრიალებენ დაკორძილი ცაცხვები და ნაძვები.

აქედან გარკვევით ჩანს მთელი ქალაქი.

მრუდე ზოლად გაწოლილი რიონი საგუბართან კარგა ხანს ყოვნდება და ძალას იკრებს. რატომღაც დინჯია და მდორე ფასის მთაზე სათავედადებული მდინარე.

ატმებითა და ვაშლებით აბრიალებული მწვანეყვავილა და ჭომა მომცრო კუნძულებივით იქით-აქეთ გასჩენია რიონს.

ნაწვიმარზე რიონი დიდდება და სასიამოა თეთრი ხიდიდან ოქროს ჩარდახთან ჩამოვლილი ტალღების დანახვა.

მერე ბზინვარე და აუმღვრეველი ფაზის-მდინარე, ორ ნაწილად ჰყოფს ქუთაისს, ბალახვნისაკენ სულმოუსწრაფებლად მიემართება და უკვირს, რომ აღარსადაა ძველი ბალახვანი.

ვიწრო და ჩაბნელებულ ქუჩაბანდებში გადაირიხინეს უკანასკნელმა ეტლებმა.

ბაღდადისაკენ აღარ მიღრიალებენ დანჯღრეული დილიჟნები და მტვერი დასდებია ხაკოია გიორგაძის მჩხავანა არღანს.

სიცხეა და რიონი თავანკარაა. გვარიანად დამწდარა და დაწმენდილა.

რიონის მხარმარჯვნივ საავტომობილო ქარხნისაკენ მიმავალი გზაა. ამ გზიდან ერთ დროს მაღლაკელებს შემოჰქონდათ ყვითელი აბრეშუმის ყაჭი და შემოჰყავდათ მოვსებული დედლები.

მოჭრიალებდნენ ძარჩადგმული ურმები და საქმე უჩნდებოდათ ოლასკურის გზაჯვარედინზე გამოფენილ მიკიტნებს...

სხვანაირია ქალაქი რიონის სანაპიროზე. თითქოს აბრეშუმის ქსოვილივით გამჭვირვალე, მოხასხასე და უძირო ჰაერში შუქივით შენახულა ყურისათვის უცნობი რიტმი და ხმები. მოგენატრება მისი გუმბათოვანი, სხივებმთოვარი, ლილითა თუ დაბინდული ქლიავისფრად ამოვსებული ზეცა, გუნებივრი კაცის ხასიათივით ღია ბუნება, თბილი დილა და გრილი საღამო, ნაცნობი კუთხე და ნაცნობი კარ-მიდამო.

როცა ამ დაუოკებელი ნატვრითა და სურვილით გაიჟღენთები, არ შეიძლება არ მოგაგონდეს ირაკლი აბაშიძის სტრიქონები:

როგორც დათბება, როგორც დათბება
და მზე ჩატკბება შემკულ დაისში,
უნდა ალსრულდეს, რაც მენატრება —
უნდა გაფრინდე ჩემს ქუთაისში.
ჩემი აპრილის ენახო კისკისი,
ჩემი რიონის ახლად აშვება,
ატმის ხეების მწველი გიზგიზი,
ტყემლის ხეების გაფარფაშება...

სხვისა სხვამ თქვას და ჩემთვის ყველაზე ახლობელი და მშობლიური მაინც ნინოშვილის ქუჩაა. აქ ვავლიე და აქვე დავტოვე ის ხათუთი და გულიდან ამოუღებელი რაღაც, რომელსაც ბავშვობას ეძახიან.

ნინოშვილის ქუჩის განაკიდევში პატარა ღრხია. არხი რიონის მცირე შტოა. გვალვიანი მიწის გულგასალხობად გადმოუგდიათ ოდესღაც და ტალიკ-ტალიკა ბიჭების თავშესაქცევი გამხდარა. შექრიალი ტანდალები მიგ რომ შეცვივდებოდნენ, ცა ქუდად მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. ჭუკებივით გაწუწულები ტანს რიყეზე იშრობდნენ. გარშემო მხოლოდ ტრიალი ველი ჩანდა, უკიდეგანო, თვალმიუწვდენელი ველი და ხრიოკი. ერთი კია, არხის შუაწელთან ორად-ორი ცაცხვი იდგა.

ტყუპებივით იდგნენ ეს ცაცხვები ზაფხულის სულისშემხუთველ ქარსა და სიცხეში, ნაღვლიანად გაჰყურებდნენ გამოხუნებულ მიდამოს და კაცი ვერ გაიგებდა, შრიალებდნენ თუ თვლემდნენ.

ცაცხვები ისევ ისე დგანან. არხის წყალიც ისევ ისე მოედინება. ოღონდ ხრიოკი ველი და რუხი გორაკები აღარსადაა.

ჩემი ნაცნობი უბანი აღარ იცნობა...

მატარებლიდან გადმოსული კაცი ძველი ვაგზლის ასსაფეხურიანი კიბით ქალაქისკენ რომ დაეშვება, ერთხელ კიდევ მოუხედავს ლენინის მოედანს და თვალს შეავლებს ბრინჯაოში გაცოცხლებული ბელადის საყვარელ სახეს.

მკერდით წინ წამოწეული და ხელშემართული ლენინი ნათელი ღიმილით დაჰყურებს საქართველოს მეორე ინდუსტრიულსა და კულტურულ ცენტრს. კიბეების ქვევითაა მწვანეში ჩაფლული ლენინის პროსპექტი.

ლენინის პროსპექტი რამდენიმე წლისაა. ერთნაირი არქიტექტურული სტილით ნაგები ხუთ-ხუთ სართულიანი შენობები ქუჩის ორივე მხარეს მწკრივად მიუყვება.

წერეთლის ქუჩისა და ლენინის პროსპექტის შესაყართან მეოთხე ხიდია. ამ გრანდიოზული ხიდის იქით, მარცხენა კუთხეში, ახალი კინოთეატრი „ქუთაისია", იქვე, ორ ნაბიჯზე მთავრდება დიდი სასტუმროს მშენებლობა.

საავტომობილო ქარხნის ბაზაზე მუხნარის ტყის ახლო მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების მასიურ გამოშვებას შეუდგა სატრაქტორო ქარხანა „რიონი".

სურნელოვანი, სხივიანი დღეა. „ბულვარის" ორთავე მხრივ ჩარიგებულ ხეებს ჩრდილები შავი მანდილებივით დაუფენიათ ძირს. კისკის-კისკისით წამოვიდა ნიავი.



ფოტო ბ. მალლაფერიძისა.





75

მიმოშლილ ქოჩრებზე გადაუარა ალვებსა და ჭადრებს. აშრიალდნენ, აბუტბუტდნენ აქამდე მდუმარედ მდგარი ხეები. სულისმოთქმასავით მიმოდის ეს შრიალბუტბუტი ერთი კუთხიდან მეორემდე. დათრთის ნიავი და დათრთიან ფილაქნებზე დაფენილი ჩრდილებიც. ქალაქის გული და მაჯა უჩვეულო სიცოცხლით ცოცხლობს და ფეთქავს.

„ბულვარის“ წინა კიდეზე ოდესღაც ყურძნიანი ურმები დგებოდნენ. მოდიოდნენ წუღა-მესტიანი გლეხები და მოჰქონდათ სიმწრითა და ოფლით მონაგარი დოვლათი. ნათქვამია, ჭირნანახი ჭირნახულიო, და სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი. ქორებივით წამოფოფრილი ვაჭრები წლის ნაჯაფარ-ნაოფლარს მუქთად იგდებდნენ ხელში. მერე სალებავივით შემზადებული და ფერნაცვალი ღვინო ფუთობით ისმებოდა „ზასტავისა“ თუ გეგუთის ქუჩის სამიკიტნოებში.

მოედნის ყელში, ახალი თეატრის ადგილას, ყაფანი იყო. დილიდან საღამომდე ზრიალებდა ყაფანი. ყიდდნენ მაღლაკურ საზამთროებსა და ნესვებს. საჭაშნიკოდ გვერდამოჭრილი საზამთრო გახსნილ ჭრილობასავით წითლად ღუოდა. დახლზე ეყარა ოკრიბული მსხალი და ვაშლი. მწიფე ხილს ულმერთოდ ეხვეოდნენ გაზუნზლული ბუზები და ონავარ მწერებს საფუსფუსო არ ელეოდათ.

დღის ბოლოს ჩამოივლიდა გოროზი „გოროდოვოი“ და ახლანდელი ტელმანის ქუჩით სტვენა-სტვენით გაუყვებოდა კათოლიკეთა ეკლესიის ვიწრო და ჩაბნელებულ შუკას. ეკლესიის ჩუმ და ნაღვლიან ეზოში თავშეკავებული ტირილივით გამოდიოდა ორღანოს ხმა. ამ ხმას გაბრუებული უსმენდა ჭაბუკი ზაქარია ფალიაშვილი და მის გულში უკვე ფრთას ისხამდნენ „დაისისა“ თუ „აბესალომის“ მელოდიები. ეკლესიის მხარიმხარ ცხოვრობდა ფალიაშვილების ოჯახი ეკლესიის კედლებთან სანთელივით ილეოდა სანდრო ცირეკიძე და სიცხისაგან გახურებულ გულს პოეტური მინიატურებით იგრილებდა.

ზემოთ, არქიელის საოცნებო მთაზე, აგერ მერამდენე საუკუნეა დაცლილ ბუდესავით ჩანს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. სურო და ხავსი მოსდებია. გვიმრა და გარეული ლეღვი მისძალებია. ლოდები დაბზარვია და დაკეხეთქია. თაღოვანი ჭერი ქუდივით მოუხდია და გული და სული ბალავარში ჩაჰკირვია. დღემდე ურყევად დგას წარსული სისხლწვიმიანობისა და უბედობის ეს უტყვი მემატიანე. დგას და ნისლებში მყვინთავ ციხე-კოშკივით დაჩერებია აშენებულ, დამშვენებულ ქალაქს.

გაფრინდა ბავშვობის დღეები,
მინდვრები, ჭალები, ტყეები,—

უნებურად გამახსენდა გალაკტიონ ტაბიძის ეს სტრიქონები, როცა მისი სახელობის სტამბა დავინახე. ვეებერთელა შენობა შემართულა სოხუმის ქუჩაზე, ნინოშვილის ქუჩიდან მცირეოდენი მანძილის მოშორებით.

ბროწეულიანს ეძახდნენ ამ ადგილს. ალბათ იმიტომ, ალაგ-ალაგ ბროწეულის მეჩხერი ტყე რომ შეინიშნებოდა. ამოუძირკვავ ჯირკებსა და ნაყარ ქვებს პარკი ლობიოს ბარდებივით მიხლართოდა უხეირო ეკალი.

ლილისფერი ია-იები პირველად ბროწეულიანს მოედებოდნენ. მოედებოდნენ რაღაც საოცარი მიამიტობით ერთბაშად და მოულოდნელად. ლურჯი მელნის ლაქებივით გაჩნდებოდნენ ბროწეულისა თუ გაბუძგული ეკლის ძირში.

ბროწეულის მეჩხერი ტყე რა ხანია აიჭრა. ნაჯაგარზე გაჩენილმა სოხუმის ქუჩამაც ბარე ორი წელი მოითავა. საგულდაგულოდ ნაგები სტამბის შენობა კი ნამდვილად ახალია.

შარშან ამ სტამბაში დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსების კრებული. კრებული საქართველოს სახალხო პოეტის „ასი ლექსის“ ოდნავ შეცვლილი გამოცემაა, პირველი წიგნია, დაბეჭდილი ქუთაისის სტამბაში, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის სახელს ატარებს.

დიდი პოეტის ეს წიგნი ფეხბედნიერი მეკვლე გამოდგა ქუთაისელი მესტამბეებისათვის.

იმ დღიდან მოკიდებული მათი ნახელავი საქართველოს ყოველ კუთხეში ვრცელდება.

სტამბა ძირითადში სასკოლო სახელმძღვანელოებისთვისაა გამიზნული და გამომცემლობა „ცოდნას“ ემსახურება. თავისი ტიპიურობით იგი რესპუბლიკაში პირველია. დღეისათვის აქ დაიბეჭდა ოცდახუთამდე სახელწოდების სახელმძღვანელო მეოთხედი მილიონი ცალი საერთო ტირაჟით.

ქუთაისში ძველადაც იყო სტამბა. ძველად-მეთქი, წამომცდა: სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ. თვითონაც მიმუშავნია იქ. ეს გახლდათ მეტად კუსტარული საწარმო. იბეჭდებოდა ორი-სამი სახელწოდების ბროშურა წელიწადში.

ძველი სტამბა, რომელიც დღესაცაა წითელ ხიდთან, თუმცა საკმაოდ გაფართოებულა და გადიდებულა, მაინც ბოდიშივით გამოიყურება ახალი სტამბის წინაშე.

ქუთათურებს არ ჰქონდათ შესაფერი სტადიონი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისური ბროლი



პროფესორი ლუკა პელიძე.



მოქანდაკე ვ. მიზანდარი მუშაობს გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტზე.

შეგიძლია გაჰყვე დღეს და ღამეს, მზის ჩასვლა და ამოსვლა ითვალო. ნუთუ ის დღე სჯობდა დედულეთიდან გამოქცეული კიევის ქუჩებში რომ დავალაჯებდი? მაშინ ხელმოკლეობა ძალას მმატებდა, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის ხალისი თავს მაყვარებდა.

ახლა?

ახლა რა მაქვს სახალისო. რას უნდა ვეძებდე? უკეთესს რას უნდა მოველოდე? ასე ახალგაზრდამ მიზანდაკარგული ცხოვრების დასასრულამდი მივალაჯე და უფსკრულს გადავადექი. იქნებ სიმდიდრეზე ხელი ავიღო და ოფლით მონაძევი, ტკბილ ლუკმად მეჩვენოს? იქნებ გარჯილობამ აღმაფრთოვანოს და ეს ცხოვრება გულისდამდები შემექნას.

არა, ჩემი ხნის კაცის შემობრუნება არ შეიძლება.

ვარვარა და ლუსანა მყოლოდა, იქნებ მათზე ზრუნვას გავერთე. ეჰ, იქნებ...

შენთვის ყველაფერი გათავდაო, — ჩამჩურჩულა ხმამ იდუმალმა.

დიახ, ყველაფერი...

და მეც არ დავაყოვნე.

ბანკში ჩემს სახელზე მხოლოდ ერთი მილიონი დოლარიღა დავტოვე, დანარჩენი თანხა რომის მუნიციპალიტეტს გადავულოცე. ანდერძის წერილში ვწერდი, ჩემს სახელზე დარჩენილი ფული მოქანდაკე როსოსათვის გადაეცათ, რომ მას ჩემს საფლავზე სილამაზისა და სიმდიდრისაგან გაუბედურებული ადამიანის გრანდიოზული ძეგლი აეგო.

დაღამდა. ჩემი ახალი „ფიატის“ ბაკი ბენზინით გავავსე და მილანისაკენ მიმავალ ფართო შარაგზას დავადექი. სამასი კილომეტრი საშინელი სისწრაფით მივაქროლებდი ავტომანქანას. იქნებ რამეს დავეჯახო და „გადავრჩე“-მეთქი ვფიქრობდი, მაგრამ როგორც კი ხიფათს მივუახლოვდებოდი საჭეს ოსტატურად ვასწორებდი, სიკვდილს გავურბოდი. მოტორმა სულთმობრძავივით ამოიხროტინა და დადგა. ბაკში ბენზინი გამოიცალა. მეც, ჩემი ჩანაფიქრით თავი იქ უნდა მომეკლა, სადაც „ფიატს“ „საკვები“ შემოელეოდა. საჭეს შუბლით დავეყრდენი, დამბაჩა მკერდზე მივიდევი და სასხლეტს ფეხი გამოვუშალე.

მესამე დღეს გონზე მოვედი. გამომძიებელმა თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი მკითხა. უჭირველმა ცხოვრებამ მომაბეზრა სიცოცხლე-მეთქი, რომ ვუთხარი — გაოცდა. ერთ ხანს სინანულით შემომცქეროდა, მერე ბოდიში მოიხადა, პალატიდან უხმოდ გავიდა. მალე ფსიქიატრი მესტუმრა. მესაუბრა. მეორე დღეს, რომის ყველა გაზეთები აყაყანდნენ, ვინ იცის, რას არ წერდნენ ფსიქიურად დაავადებულ მილიონერ ტამანოვზე.

მეთექვსმეტე დღეს საავადმყოფოდან გამოვეწერე. როსოს სახელზე ბანკში დატოვებული ერთი მილიონი დოლარის ქვითარი უკან დავიბრუნე და იტალიას გავეცალე.

ახლა, საოცრად აკვიატებული აზრი მასულდგმულებდა. რათაც არ უნდა დამჯდომოდა „განთიადის დედოფალი“ ხელთ უნდა მეგდო და უდროოდ დაღუპულ ჩემი ცხოვრების თანამგზავრისთვის ხორცშელეულ მკერდზე დამებნია.

ერთ ხანს უმიზნოდ ვხეტიალობდი ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. ბოშათა მომღერალ გუნდში ერთ ლამაზ ქალს დავადგი თვალი. ორი თუ სამი თვე თითქოს გავერთე, მაგრამ ეს ქალიც ჩქარა მომბეზრდა. პარიზს მივაშურე.

რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

ძილში თუ ცხადში „განთიადის დედოფალი“ მელანდებოდა.

ერთი წელიწადი, მეორე და ეს აკვიატებული აზრიც ნელ-ნელა ბურუსში ჩაიძირა. თუმცა მილიონი დოლარის მეოთხედი უკვე აღარ იყო, მაგრამ მე ისევ ზოგი მილიონერს მეძახდა, ზოგი პრინცს, ზოგი ბარონს.

ამ ხანებში, გაზეთ „ფიგაროში“ დიდი მთავრის ნიკოლაი ნიკოლაევიჩის შესახებ ვრცელი წერილი გამოქვეყნდა. ამ წერილში, სხვათა შორის „განთიადის დედოფალი“ იყო ნახსენები. წერილის ავტორი გულდაწყვეტით იუწყებოდა, რომ მთავარი, თავისი ერთგული ადიუტანტით, კანტაკუზენით ბოლშევიკებს ყირიმიდან გამოექცა, და ეს გამოქცევა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ვერაფერის წამოღება ვერ მოასწრო. დიდ მთავარს თუ რამე ძვირფასეულობა ებადა, —სწერდა გაზეთი,—კანტაკუზენის მეუღლეს დარჩაო ყირიმში. არავინ იცის, თუ რა ბედი ეწვია ამ მანდილოსანსა და მის პატარა ქალიშვილსო, — იტყობინებოდა ავტორი და დასძენდა, — სხვა განძეულობასთან ერთად, მთავარს ქალბატონ კანტაკუზენთან ბრილიანტის ბროში, „განთიადის დედოფალი“ დარჩა, რომელიც მას იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულმა უბოძაო.

მიზანი დაისახა.

გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა დიდი თავადის ადიუტანტის მეუღლე ან მისი ქალიშვილი მომეძებნა. სწორედ იმ წელიწადს, რუსეთიდან გადმოხვეწილი ორი ბოშა გამეცნო. ამ ხელმოკლე ახალგაზრდებს ყველაფრით ვეხმარებოდი — თუ შეიძლება ასე ითქვას, ისინი ჩემს კმაყოფაზე იყვნენ. როცა მათ ჩემი განზრახვა გაიგეს, სამსახური შემომთავაზეს, დამპირდნენ, სანამ გულის წადილს არ შევისრულებდი, ჩემთან იქნებოდნენ, ჩემს ჭირსა და ლხინს გაიყოფდნენ.

მე მათ ოცდახუთი ათასი დოლარი მივეცი და კანტაკუზენების მოძებნის შემთხვევაში, თვითეულ მათგანს კიდევ ამდენივე თანხა დავპირდი.

ამ ორ კაცს, მართლაც, თავი არ დაუზოგია. არც ერთი კუნჭული არ დაუტოვებიათ, სადაც კანტაკუზენებს შეეძლოთ გამოჩენა, (ამ ხანებში მთავრის ადიუტანტი გარდაიცვალა) მაგრამ ამაოდ. აშკარა გახდა, რომ ისინი რუსეთში ცხოვრობდნენ.

ჩემმა მეგობრებმა რუსეთში გამგზავრება მირჩიეს.

სამშობლოში დაბრუნების ნებართვის მიღება ვითხოვეთ. „განთიადის დედოფლის“ ხელში ჩაგდება და ისევ უკან და-

„დინამოს" ძველი მოედანი ვეღარ აკმაყოფილებდა სპორტის მოყვარულთა მოთხოვნებს.

და აი, ზედ სტამბასთან გადაჭიმულ ტერიტორიაზე გადაწყდა ცენტრალური სტადიონის მშენებლობა.

ქვიშნარი, ტალახი და ნაჯაგარი დახვდათ აქ მშენებლებს. შორეულ წარსულში დღით კაცი ვერ გაივლიდა და ღამით ტურების თავშესაფარი იყო. ცივად, საწყალობლად კიოდნენ ტურები და უდაბური მიდამო კიდევ უფრო უდაბურდებოდა. მოვიდნენ ადამიანები ალალი მარჯვენითა და კეთილი სურვილებით. მოაწყეს შაბათობები. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ყოველდღიურად გამოდიოდა სამუშაოდ. მაგრამ, როცა ქალაქის გუნდი „ტორპედო" „ა" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა რიგებში გადავიდა, ხელებში სულ ცეცხლი შემოიკიდეს. არ დარჩენილა არცერთი მუშა, ინტელიგენტი, სტუდენტი თუ მოსწავლე, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს ამ საშვილიშვილო საქმეში.

ბაკისუბნის მიდამოებში ხარაჩოები ჩამოეხსნა ოთხსართულიანი საავადმყოფოს შენობას. საავადმყოფო ლამაზი, მიმზიდველი არქიტექტურული ნაგებობაა და სანატორიუმს მოგაგონებს. ფაქიზი და ჰაეროვანი სიდიადით დაჰყურებს იგი უძველეს წარსულში მივიწყებულ და იავარად მიგდებულ უბანს.

ამ უბანშივე მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელის" გვერდით გაუშენებიათ პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკი. ქალაქის ნორჩ თაობას უკვე აქვს შესანიშნავი ადგილი კულტურული დასვენება-გართობისათვის.

აიგო სააფთიაქო სამმართველოსა და საცხოვრებელი ბინების დიდი კორპუსები, სკოლა, ინტერნატი; დამთავრდა ღვარსადენის მშენებლობა; ერთდროულად შენდება ხუთი საცხოვრებელი კორპუსი, საშუალო სკოლა...

ორი წელია არ გამომივლია აქეთკენ, არ მინახავს ადგილები, რომლებიც ყრმობასა და წარსულთან მაკავშირებენ ორ წელიწადში ოცი წლის საქმე გაკეთებულა. მთლიანად შეცვლილა, გადასხვაფერებულა და გამშვენიერებულა ჩვენი ქალაქი.

ჩემი უბანი ჩვენი ქალაქის ზრდისა და წინსვლის ერთი მეტყველი მაგალითია. ვისაც დღევანდელი ქუთაისის გაცნობა უნდა, აქედან დაიწყოს. იმდენი რამაა აქ ახალი, ისიც მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილი, გაჰკვირდება და გაოცდება კაცი, თორემ სხვანაირად განახლებული ქუთაისი, მცირე წერილში კი არა, ხეირიანად მოზრდილ წიგნშიაც ვერ აისახება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამისათვის მარტო საავტომობილო ქარხანა კმარა.

ქუთაისი მადლიანი თემაა და თავის შემოქმედს ელის...



## ავტოქარხნელის სიმღერა

**რუთა ბეროძე**

სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ველზე ქარივით ნაშობი.
ტოლებში გაურიყავი,
მზის გულზე დავთამაშობდი.

ცხელი ხორშაკით იწვოდა
ჩვენი სიმინდის ყანები;
არც მოსავალი იცოდა,
არც ნადი სათაყვანები.

მაინც თოხით და სახნისით
მიწას ვჩიჩქნიდით რიყიანს.
რამდენჯერ შრომის ხალისი
ფუჭადაც გადაგვიყრია!

ახლა შემხედეთ, ვინა ვარ,
ვინ გახდა ჩემი ძმობილი?
შარშან მოსკოვში ბრწყინავდა
ქართული ავტომობილი.

ის ჩვენი ნახელავია,
დაჰქრის სოფლად და ქალაქად,
მიაქვს და მოაქვს ხვავიანს
მამულ-დედულის ბარაქა.

თვალეთ, თვალეთ და ვერ დათვლით
ჭაბუკებს ჩემი სოფლიდან...
გვილიმის შორით გელათი,
მტრედების გუნდიც მოფრინდა!

საღამოვდება წყნარად, უშფოთველად. ქლიავისფერი ბინდი ფეხს იკიდებს მეზობელ თხემებსა და გორებზე.

ასობით ლამპიონი ჩახჩახებს რიონის სანაპიროზე. ჭომის წყაროსთან გაჭრილი ფართო გზა ჯაჭვის ხიდამდე მისულა და ახლა ბალახვნისაკენ მიემართება. რიონის სანაპირო სინათლის ზღვაშია ჩამჯდარი და ქალაქი ღამით კიდევ უფრო ლამაზია.

ღამეში ვეებერთელა ჭაღივით ბრიალებს რიონჰესი.

ვარსკვლავებით დაწინწკლული ივნისის ზეცა ლილისფრად შეფერილა.



## მე ხომ, კარგო!

**ლილი ნუცუბიძე**

ერთხელ კიდევ დაგვავიწყდა წლები,
ჩვენებურად ჩავუყევით ქუჩას...
ქარმა თითქოს მოიმტვრია ფრთები —
სუნთქვასავით სადღაც ჩაიყუჩა.

თმაში როგორ მოგრევია ვერცხლი,
შიგ ნიავი ფუსფუსივით თამაშობს.
ისე მოხდა, ვერ გავიგე ვერც კი:
შენზე ფიქრმა წყაროსავით დამაშრო.

შენ შენს გზაზე მიდიხარ და არ იშლი,
მოგელოდი... მოლოდინმა დამღალა.
მე ხომ, კარგო, გიშრის თმებით გაგიშვი!..
დამიბრუნდი ჭაღარა?!..

## მეზობლის გოგო

**ზურაბ კუხიანიძე**

იქით მხარეს მოჩანს შენი ეზო-ველი,
ჩემი ეზო აქით ძევს.
გოგოვ, გოგოვ, თუ ხარ ჩემი მეზობელი,
შეიბნიე საკინძე!

შენი ყელი, შენი მკერდი რას მიქვია!..
განა, რამე მწყურია?
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, — გამიგია, —
ისიც შინაურია.

დე, თვალებში ჩამეყაროს მე ნაცარი,
თუკი გულში ავი ძევს...
მაგრამ მაინც, რომ ჩაივლი, გენაცვალე,
შეიბნიე საკინძე!



ბრუნება გვქონდა განზრახული. მე ეს ძვირფასი საჩუქარი ჩემი მეუღლისათვის მინდოდა და მერე... მერე, არ ვიცოდი რა გზას დავადგებოდი, რას ვიზამდი.

ექვსასი ათასი დოლარი ბანკში დავტოვე; დაბრუნებულს დამჭირდება-მეთქი, ვიფიქრე და ვიზას დაველოდე.

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს, მაგრამ ვიზის მიღებას არაფერი ეშველა. ფული ილეოდა.

ერთ დღეს ჩემმა ამფსონებმა, იოლი ნადავლი შემომთავაზეს. მე მათ თანხმობა მივეცი, მაგრამ განა ფულის შოვნის სურვილმა აღმიძრა მადა? არა, მე ხომ მილიონები დავარიგე და ბანკშიც ხომ საგრძნობი თანხა მქონდა?

მე, ჩემმა მსუყე, ნებიერმა ცხოვრებამ საფათერაკო საქმისაკენ მიბიძგა. იქნებ ხიფათიან ჭიდილში გავერთო, სიმშვიდე ვიგემო-მეთქი ვიფიქრე.

პირველად, მიზანში ერთი მდიდარი კომოვოიაჟერის სეიფი ამოვიღეთ. ჩემს ბიჭებს ნიღბები კარგად მოვარგე და გზას გავუყენე. ისინი ამ საქმის ნამდვილი ოსტატები გამოდგნენ. სახიფათო რეისიდან ნადავლით ისე მშვიდად დაბრუნდნენ, თითქოს სასეირნოდ ყოფილიყვნენ წასული.

მომეწონა მათი სიმშვიდე. დავრწმუნდი, რომ ისინი საიმედონი იყვნენ.

ერთი მათგანი სერგეი სტასი იყო, მეორე ბორის საიდოვი.

იქნებ ვინმემ გულდედლობად ჩამომართვას მათი დასახელება, მაგრამ ჩემთვის უკვე ნათელია, რომ ახლა თქმასა და არა თქმას, როგორც ჩემთვის, ასევე მათთვისაც მნიშვნელობა არა აქვს. მე კარგად ვიცი, რომ უკვე გამოძიებამ უჩვენოდაც ყველაფერი იცის. ჰოდა, ასე დაიწყო. მერე, ერთ „საქმეს" მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და სანამ რუსეთში ჩამოვიდოდით, მე უკვე, ისე როგორც ჩემი ორი თანამოსაქმე, გამოცდილი ბოროტმოქმედი ვიყავი.

როცა ხმა იდუმალი საყვედურით თავს გამახსენებდა, გულის დაოკება არ მიჭირდა, — მე ვინ შემიბრალა-მეთქი, ვიტყოდი და ხელს მშვიდად ჩავიქნევდი.

„განთიადის დედოფლის" ძებნაში ბევრი დანაშაული ჩავიდინეთ. მე აქ ამ ბოროტმოქმედებათა ჩამოთვლას არ შევუდგები. ამას ჩემი თანამოსაქმენი რომ იტყვიან — ამაში მე ვარ პასუხისმგებელი. სტასი და საიდოვი ჩემი ყურმოჭრილი ყმები გახდნენ. მე მათ ბოშების ბარონად გამომაცხადეს. ძვირფასი ბროშის ძებნაში „რჩეული" ბოშებისაგან კარგად ორგანიზებული დამნაშავეთა ჯგუფი შეკრეს და მთელი ნადავლის განმგებლობა მე დამაკისრეს.

სიცოცხლის აბუჩად აგდებამ, დამნაშავეთა ძლიერი ჯგუფის მბრძანებელი გამხადა. მე ჩემი კანონები მქონდა და ეს კანონები, როგორც ჩემი მრევლის ინტერესებს, ასევე ჩემს პრესტიჟსაც იცავდა.

(გაგრძელება იქნება)

## მოწყურებული დაგეწაფები

**გიორგი კაჭახიძე**

ჩვენი ჭალების წყარო ანკარა,
სულ პირნათელი, სულ
თვალციმციმა,
კვლავ ვინახულე და გამახარა,
კვლავ შევღიღინე და გამიცინა.

ამაჩქროლა და ამაჟღურტულა,
შემეთაწამა ჩქერად ნაშობი,
შემომაწვეთა შხეფი ქურდულად
და მომანატრა დღენი ბავშვობის.

ბიჭად მოჩიტულს ჯანი
მწყალობდა,
ვჩქეფდი სიცოცხლედ აქვე ყანაში.
ჩამოვირბენდი და ამ წყაროდან
წყალი მიმქონდა თამაშ-თამაშით.

ჩემი სიმკვირცხლით და
მოძახილით
მოხუც პაპაჩემს გულს ვუხარებდი.
ჩრდილში მჭადს უხმოდ ტეხდა
დაღლილი,
იცოხნებოდნენ იქვე ხარები...

წყაროვ, ხომ მიცან, ხომ
გამიხსენე,
ნუ დაგაფიქრებს ჩემი ჭაღარა.
გულით, სისხლ-ხორცით ის ვარ
ისევე, —
ამ დიდ მიწაზე ბორცვი პატარა.

მოდი, მიამბე ჭალის ამბები,
ნუ მოგკლებოდეს გლეხის
მადლობა,
მოწყურებული დაგეწაფები
და დამიბრუნე ახალგაზრდობა.



ანასტასია ვირსალაძე

ბიდან უკეთესი უნდა ამოარჩიოს. თუ გსურს იმართლო თავი, საჭიროა ამ ვარსკვლავებსაც აჯობო. მერე რა, რომ ბრძოლა ძნელია. შენს უკან შენი მთაბარია, შენი ხალხი, ვინაც იმედად გამოგგზავნა ამ სამსჯავროზე. ღვიძლი ხარ მისი. შენი ავი მისი ავია. შენი სახელი მისი სახელია. შენს გამარჯვებას შენს ქვეყანას დაუმადლებენ.

მარინე თითქოს მიეჩვია ხელჩართულ ბრძოლებს. ჯერ კიდევ სულ ერთი ციდა, თეთრბაბთიანი გოგონა ღვაწლმოსილ პედაგოგთან—ე. ჩერნიავსკაიასთან რომ დარბოდა სამეცადინოდ, თამამად გამოდიოდა კონცერტებზე. მისმა ხალასმა ნიჭმა, მაშინვე მოხიბლა თბილისელები. ამ ქალიშვილის ტალანტმა აღაფრთოვანა მოსკოველებიც, როცა მათ წინაშე კონცერტზე წარსდგა, როგორც კონსერვატორიის სტუდენტი. მერმე კი, როცა მოსკოვში მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე დაუკრა, ლაურეატის სახელი და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ის იყო, დიდი გვირგვინი დაიდგა თავზე: მარინემ სამშობლოს გარეთ — საფრანგეთში გამართულ მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის კონკურსზეც გაიმარჯვა.

— პირველობის პალმის ღირსია, — ყიჟინებდნენ პარიზელები და მიართვეს კიდეც.

მარინე ახლაც უშიშრად წარსდგა კონკურსზე. თავი გაართვა სამ ტურს და რჩეულთა თაიგულშია. მსმენელებმა ტაშის გრიალში გააცილეს ვალმოხდილი პიანისტი.

ელისო ჯერაც ვალშია. აგერ ფორტეპიანოს მიუჯდა. უკრავს ქართველი პიანისტი, სამგზის ლაურეატი. ელისოს არც ისე დიდი არტისტული სტაჟი აქვს. მაგრამ მოევლინა თუ არა მუსიკალურ სამყაროს, მაშინვე საოცარი ტალანტი გამოამჟღავნა. მას შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია და იგი გახდა საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალის ლაურეატი. სულ მალე ვენაში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდობის მეშვიდე ფესტივალის ლაურეატი, შემდეგ მუსიკოსშემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატიც.

დღეს ელისოს უსმენენ ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსზე.

უკრავს ქართველი პიანისტი და რაღაც დაუწერელი ჰანგები იღვრება დარბაზში. შუმანის კონცერტი მისი საყვარელი რეპერტუარია. ამ ნაწარმოებს თავის დროზე უკრავდა თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი ანასტასია ვირსალაძე. ვისაც მოუსმენია შუმანი მისი შესრულებით, მის მეხსიერებაში აღბეჭდილია ანასტასიას ხელოვნების უაღრესი კეთილშობილება, დიდი არტისტული ტაქტი, დახვეწილი, ლამაზი ტონი, ღრმა ლირიზმი.

როცა ანასტასია ვირსალაძეს ოსტატობას უქებდნენ, იგი თავის გამარჯვებას ყოველთვის მიაწერდა მსოფლიოში სახელმოხვეჭილ პიანისტს, პედაგოგს ანა ესიპოვას. ამ ქალმა ეს კონცერტი შეგირდს უანდერძა, ანასტასიამ კი თავის აღსაზრდელს.




ლები, ისევ ტაში. სიხარული კი მაინც ნაადრევია. ჯერაც ვალშია, წინ კვლავ კონცერტია, კიდევ რამდენიმე წუთი და ისევ როიალს მიუჯდება, ელისო ახლა დაუკრავს გენიალური კომპოზიტორის — ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტს. რთულია შემსრულებლის ამოცანა. რაც უფრო მეტს ისმენ ამ ნაწარმოებს, მით უფრო აღიქვამ მის სიდიადეს.

ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი სავალდებულო პროგრამაა. დარბაზმა თორმეტჯერ მოისმინა ეს ნაწარმოები. კომპოზიტორმა თითქოს ერთი ტექსტი დაწერა ყველასათვის. აქ კი ყველას საკუთრივ გაუაზრებია, თორმეტგვარად ჟღერს ეს ქმნილება.

ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტი მოსკოვმა პირველად ცხრამეტი წლის სერგეი ტანეევის შესრულებით მოისმინა. თითქმის ოთხმოცი წლის წინათ. დღეს კი არ არის ისეთი სახელგანთქმული პიანისტი, რომლის რეპერტუარში არ შედიოდეს მუსიკის ეს შესანიშნავი ქმნილება. ე. ზაუერი, ს. რახმანინოვი, კ. იგუმოვი, ა. ზილოტი, ა. გოლდენვეიზერი, ა. რუბინშტეინი, ნ. გოროვიცი, ე. პეტრი, ს. რიხტერი, ე. გილელსი. — კიდევ ვინ მოთვლის ამ კონცერტის შემსრულებლებს.

ელისო მიუახლოვდა ფორტეპიანოს. თაიგული გვერდზე გადასდო. სკამზე მოიკალათა. გარშემო ორკესტრანტების არმია არტყია. განა იოლია, ორკესტრი ისე აიყოლიო, რომ თვითონ არ გაითქვიფო?! ელისო კონდრაშინს შესცქერის. დირიჟორი იღიმება. თითქოს იცის ამ დალოცვილმა, რომ ღიმილი ახლა წამალია.

და, კვლავ უკრავს ელისო. როიალს მთელის არსებით დაეპატრონა. საოცრად ღრმად წვდება ავტორის ჩანაფიქრს, შთაბერავს ისეთ სულს, რაზედაც ოცნებობდა თვითონ ჩაიკოვსკი.

ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა გასაოცარი ძალით გამოხატა უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისადმი, ლტოლვა სიხარულისა და ბედნიერებისაკენ. ჰოდა, ვის შეუძლია ახლა ეს სიმღერა უკეთ თქვას? ელისოს უყვარს სიცოცხლე. სიცოცხლის სიყვარული ეძახის დიადი მომავლისაკენ.

დარბაზში თითქოს არავინ სუნთქავს. ყურს უგდებს იმ ცისფერთვალება გოგონას ოთხი წლის წინათ ქანდარაზე შესკუპებული, ფართოდ გაღებული დიდრონი

# ლაურეატი



**გულნარა ბახჭაძე**

დღეს ოცდამეთხუთმეტე დღეა, კონკურსის უკანასკნელი საღამო. პიანისტთა ბრძოლა მიწურულშია. ახლა მუსიკის მსაჯულთა წინაშე ხარკს მოიხდის ელისო ვირსალაძე და „მუსიკალური მარათონი“ დამთავრებულია.

გავიდა მღელვარე ერთი თვე. როცა ეს პაექრობა დაიწყო, მოსკოვის მოედნებსა და ქუჩებზე იდო მაღალი თოვლი. ახლა გაზაფხულია, ნამდვილი გაზაფხული.

იმ თოვლიან დღეს, სამსჯავროზე ტალანტით სავსე, ვეებერთელა კალათა გამოიტანეს. კალათა მაინც დაიცალა. ორმოცდათორმეტი პიანისტიდან დარჩა მხოლოდ თორმეტი. ამ თაიგულში ორი ქართველი ქალიშვილი. ჩვენი ელისო, ჩვენი მარინე.

დარჩნენ ნიჭიერთა შორის ნიჭიერები; ნათელი, ხალასი ტალანტები და, მაინც, რომელია მჯობნის მჯობნი? უკეთესზე უკეთესი უნდა აირჩეს. დარდი გაუჩნდათ მუსიკის მოყვარულებს. რომ აიწონოს აქეთ ჭადრაკის, იქით მუსიკის გულშემატკივარნი, იქნებ აჯობონ მუსიკოსებმა.

განა მარტო იმათ აწუხებთ კონკურსის ბედი, ვისაც მუსიკის სიყვარული აკვნიდან დაჰყვა? რაჭაში მესტვირეთა ერთი პატარა სოფელია, ფარახეთი ჰქვია. იქ ერთი ძველი მზარეული ცხოვრობს, სილოს ეძახიან. წრიალებს, ძილი გაკრთომია მოხუცს. გაზეთი მუხლზე გაუშლია ნატრობს: ერთი ეს ჩვენი ნუკრივით გოგო გაიმარჯვებდეს და, მისთვის მიბოძებია ჩემი პაპისეული სტვირი.

დღეს ელისო უკრავს. „დამნაშავე“ უკვე გასულა სამსჯავროს წინაშე. ერთი ბრალი აქვს: პაექრობაში ჩაბმა გაბედა. სამსჯავრომ კალათაში დარჩენილი მარგალიტე-

...უკრავს ელისო, უკრავს და ასე გგონია, თვითონ შეთხზა ნაწარმოები. უკრავს ელისო და თითქოს ფორტეპიანოს უზის პოეტი. თხზავს პოემას დიდ სიყვარულზე. დარბაზი ტყვეა მისი. სულგანაბული უსმენს. აჰა, უკანასკნელად დაჰკრა თითები კლავიშებს და იფეთქა ტაშმა.

— ვაშა, ელისო!

— ყოჩაღ, ელისო! — ვიღაცამ სკამზე წითელი ვარდები დაუწყო. ელისოს ბაგე ღიმილმა გაუპო. ისევ ყვავი-



თვალებით ამერიკელ პიანისტს — ვან კლიბერნს რომ უსმენდა. ვინ იფიქრებდა მაშინ, თუ გოგონა დიდსა და კეთილ ფიქრს ჩაიდებდა გულში. ჯერ კიდევ ბავშვმა ინატრა ამ ტალანტის ბედი. ვინ იფიქრებდა, რომ მომავალ კონკურსზე ამ როიალთან, ამ სკამზე დაჯდებოდა ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე.

უკრავს ელისო...

— ტალანტია, გასაოცარი, ნათელი...

— რამდენი პოეზიაა, რა ღრმად წვდება ჩანაფიქრს.

— რაოდენ ჰარმონიულია. არა ეს ქალი ფორტეპიანოს პოეტია.

ვეტო არ მოხსნია მსაჯულთა სიტყვას. ისინი კი ვეღარ მალავენ აღფრთოვანებას.

...ქუხს დარბაზი. სცენაზე მოფრინავენ ყვავილები.

— ვაშა, ელისო!

— ყოჩაღ, ელისო, — ისმის შეძახილები.

დგას ელისო. დგას შუაგულ სცენაზე და დარბაზში ვერც სტუმარს ხედავს, ვეღარც მასპინძელს. აგერ ბელგიის დედოფალი ელისაბედი, ლოჟაში ვეღარ ეტევა გრძნობამორეული და გაღიმებული ტაშს უკრავს. სულ ახლოს, პარტერში, ქართველ კაცს ოფლის ხვითქი გადასდის სახეზე. მისია ყველაზე დიდი ტაში. ელისო ვერ ამჩნევს. ვერც დედას ხედავს კულისებში დამალულს.

დარბაზში ტაში ქუხს. ელისო თითქო ნაძალადევად იღიმება. მერე კედლებს აკვირდება გაოცებული. იქ, ოქროს ჩარჩოებში დიდი ადამიანები ისხდნენ, ახლა გამ-

ქრალან. ელისო თვალს ავლებს ჭერს, ისევ კედლებს აკვირდება, მერე დარბაზს დაჰყურებს, უეცრად სახე ისევ ემღება: ისინია, იპოვა, ხედავს, აშკარად ხედავს: ეს ადამიანები ჩარჩოებიდან დარბაზში გადმოსულან. დგანან შორს, შემოსასვლელში. ელისოს ტაშს უკრავს: მოცარტი, ბახი, შუბერტი, ბეთჰოვენი, შოპენი, ჩაიკოვსკი.

ელისო თვალს არ უჯერებს, კვლავ ცარიელ ჩარჩოებს აკვირდება. პორტრეტები მართლაც გამქრალან სადღაც. მხოლოდ ერთი ჩარჩოა სავსე. შიგ მხცოვანი ჭაღარა ქალია მოკალათებული. უნახავს სადღაც. საოცრად ნაცნობია და საყვარელი. ზის სავარძელში, იღიმება. ელისოს ეძახის: ეს ხომ დიდედაა, მისი კარგი დიდედა; დიდედა და მასწავლებელი—ანასტასია დავითის ასული

გადაწყდა. აკი მჯობნის მჯობი არ დაილევაო? კალათა ნელ-ნელა დაიცალა და გამობრწყინდნენ ვარსკვლავები. ამ ვარსკვლავთა შორის ერთი ელისოა, მეორე მარინე. ფრთები შეისხა სიტყვამ, მსოფლიოს ყველა კუთხეში გაფრინდა სასიხარულო ამბავი. ვის გაახარებს ასეთი გამარჯვება ისე, როგორც იმ ბუდეს, საიდანაც აფრინდნენ ბარტყები. დეპეშებს აგზავნიან ყველაზე ბედნიერები. დეპეშებს ღებულობენ ყველაზე ბედნიერები.

...ზის სავარძელში, როგორც ღვაწლმოსილი იუბილარი, ანასტასია ვირსალაძე. ოჯახში ყვავილების ზღვაა, სავარძელი ცურავს ვარდებსა და მიხაკებში. ანასტასიას მუხლზე უწყვია მოლოცვის დეპეშები, გაზეთების დასტა. დღე ერთია და ასჯერ იღება ამ სახლის კარი. ტელეფონის ზარს ვერ აუდის დეიდა ნინო. ელისო შინ არ არის და მაინც მოდიან მოსალოცად.

— წაიკითხეთ? ხედავთ რას წერენ ჩემს ელისოზე?

— ნახეთ, რას წერს ჩემს ელისოზე ფრანგი მუსიკოსი — დე გონტო, ბირონი:

„— ქართველებს უნდა მივულოცოთ, — მათ შესანიშნავი პიანისტი გაუზრდიათ. მარინე მდივნის ტალანტმა ჯერ კიდევ პარიზში მომხიბლა. იქ მე მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ჟიურის თავმჯდომარე ვიყავი, მაგრამ ახლა მშვენიერი ელისო ვირხალაძე ჩემი ახალი სასიამოვნო აღმოჩენაა. რამდენი კეთილშობილება და პოეზიაა. მის დაკვრაში გთხოვთ გადასცეთ ჩემი მოკითხვა მის პედაგოგს. ნიჭი ნიჭია თავისთავად, მაგრამ რა იქნებოდა იგი სკოლის გარეშე"


ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისო ვირსალაძე

# ჰანგები

მარინე მდივანი



კითხულობს ანასტასია, იღიმება და სახეს მხრებში მალავს. უნდა დამალოს ქებით გამოწვეული სიამაყე. ანასტასია პირველად არ განიცდის ასეთ სიხარულს — ბაშკიროვი, ვლასენკო, — აი, მისი აღზრდილი ლაურეატები.

ელისომ გაიმარჯვა. მასზე გაწეული ამაგი დიდებით დაგვირგვინდა. სხვა აღარაფერი უნდა ანასტასიას. ოღონდაც ამ გოგოს ნახვა ენატრება, რა ხანია წავიდა. სულ მთლად დაჰკარგა მოსვენება. გაკვეთილი აქვს... უკრავს მოწაფე. პედაგოგი გულს ვერ უდებს; რა ქნას კარს ყური ვერ წაართვა. ჰგონია ახლა ელისო შემოვა

— ახლა გორშია, — საათებს ითვლის ანასტასია.

— ახლა მატარებელმა ავჭალა გამოიარა ალბათ.

— ახლა თბილისშია. ჩამოვიდა მატარებელი სადგურში დიდძალი ხალხი და უამრავი ყვავილებია ეგებებიან ჩემს გოგონას. მოდის ელისო ახლა ეზოში შემოირბინა. ამოჰყვა კიბეებს. გრძელი დერეფანი გამოიარა და აი, უკვე ჰკოცნის, ეხვევა დიდედას

— დიდედა, ჩემო კარგო დიდედა, ახლაც არ მეტყვი რომ კარგად ვუკრავ?

— ჩემო გოგონა, მოდი, ჩემს მუხლზე ჩამოჯექი, ყველაფერი მიამბე, ხედავ? მილიონი ყვავილები მოგართვეს ჯილდოდ. მილიონი მილოცვა და... ანასტასია ქებისა და მილოცვის ფურცლებს ჰფანტავს ოთახში.

ელისო იჭერს, კრეფს მიმოფანტულ ფურცლებს და დიდედას კალთაში უწყობს:

— შენია, ჩემო დიდედა, ეს მილოცვები .ეს მილიონი ყვავილიც შენია და ის ტაშიც, მე რომ მესმოდა დიდ დარბაზში.

შენია, ჩემო ქვეყანავ, ჰანგთა ჭიდილში გამარჯვებულთა ეს სახელები; ეს დიდება, ეს ყვავილები, ეს ქებაც შენია.





გ. ოჩიაური ქორწინების დარბაზი. (ესკიზი — ბარელიეფისათვის)

ვ. შერპილოვი ბალერინა

# საგაზაფხულო გამოფენაზე

ზ. ნიჟარაძე პორტრეტი





მ. დურგლიშვილი ეზო



დ. ხუნდაძე პეიზაჟი


ეროვნული ბიბლიოთეკა

უ. ჯაფარიძე წისქვილი



ჯ. ლოლუა
ქალაქის პეიზაჟი



ვ. ონიანი სვანი

გ. მიქაძე ზღვის სანაპიროზე





ა. გორგაძე
ნატურმორტი

ოთხმოცდაათი წელი შესრულდა კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან. კოტე მარჯანიშვილი — საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი გამოჩენილი რეჟისორი, დიდი ოსტატი და ხელოვანი, წლების მანძილზე მოღვაწეობდა სამშობლოს გარეთ. მან მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, რიგაში მრავალი ბრწყინვალე დადგმა განახორციელა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ თეატრისა და ხელოვნების მოღვაწეთა მოგონებებს, რომლებიც მარჯანიშვილთან ერთად იღვწოდნენ დიდი სათეატრო ხელოვნებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალგაზრდა კოტე მარჯანიშვილი

ერთ ხანს რიგის რუსულ თეატრში ვმუშაობდი მარჯანიშვილთან ერთად. მახსოვს, ამ დროს თეატრში დიდი ცვლა-ცვლილება იდგა. ახალ-ახალი სპექტაკლები იდგმებოდა. მსახიობები და რეჟისორიც დღედაღამეს ასწორებდნენ.

კოტე მარჯანიშვილი რეპეტიციებზე, როგორც წესი, მაყურებელთა დარბაზში იმყოფებოდა და გულისყურით ადევნებდა თვალს რეპეტიციის მიმდინარეობას. იგი მშვიდად ვერ უყურებდა რეპეტიციის მსვლელობას. ჯარასავით ტრიალებდა და ულვაშს იგრეხდა, ულვაშის ერთი მხარე მუდამ აპრეხილი ჰქონდა, მეორე ჩამოშვებული. კოტე თეატრის მუშაკების მიმართ მკაცრი და მომთხოვნი იყო.

მახსოვს ასეთი რამ: ვ. სოლოგუბის „შავ ნიღაბს" ვდგამდით. სპექტაკლი ერთდროულად სამ თანაშემწეს მიჰყავდა. მე ტრიუმში ვიმყოფებოდი და გამიჭირდა აუცილებელი რეპლიკის გაგონება. ამიტომ კოტემ შეწყვიტა რეპეტიცია და მოითხოვა გამეორება. მეორეჯერაც ასე მოხდა. მე ავუხსენი შეფერხების მიზეზი. კოტე მაინც გაჯავრდა, გამომტაცა პიესა, ჩემი ადგილი დაიკავა და ბრძანა, გაემეორებინათ სცენა. მივიდა თუ არა იმ საბედისწერო რეპლიკამდე, მასაც ასევე მოუვიდა. დარწმუნდა ჩემს სიმართლეში, რეპეტიცია შეწყვიტა და საგანგებო მესიგნალე დანიშნა სცენაზე გამოსვლების დროს. როცა რეპეტიციის შემდეგ, რეჟისორის თანაშემწის ოთახში, ყველამ ერთად ვისადილეთ, კოტე მოვიდა ჩემთან, ხელი გადამხვია, პირჯვარი გადაიწერა და თქვა: „ღმერთმანი, ამიერიდან ასეთ სპექტაკლს არ დავდგამ".

კოტეს მიერ დადგმული ბევრი სპექტაკლი მახსოვს. ბრწყინვალე იყო მისი გამომგონებლური ნიჭი რეჟისურის დარგში. დღესაც თვალწინ მიდგას ოსტროვსკის სპექტაკლი „მხედართმთავარი" („სიზმარი ვოლგაზე"), ნიჭიერად შესრულებული სურათი ხიდქვეშ. სცენაზე მოდიოდა ნამდვილი წვიმა, რაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა.

კოტე მარჯანიშვილი ერთნაირი გატაცებით მუშაობდა მუსიკალურ ოპერეტულ სპექტაკლზედაც. მარჯანიშვილი ღრმად ჩაწვდა ახალ ჟანრს და შექმნა კიდევაც საინტერესო და მრავალმეტყველი სპექტაკლი. კოტე მარჯანიშვილი ყოველთვის ჰპოულობდა სპექტაკლის შესაფერ რიტმს. მისთვის ჩვეული ოსტატობით, სიმკაცრით, მომთხოვნელობით აღწევდა იგი მსახიობთა პლასტიკურობას და მუსიკალობას, ოსტატურად აგებული მასიური სცენებით ქმნიდა რეალისტურ ატმოსფეროს.

არ მავიწყდება კოტე მარჯანიშვილი 1909 წელს მოსკოვში, ვიდრე სეზონი გაიხსნებოდა. ზაფხულში ქალაქ ხტარაია რუსაში (ნოვგოროდის გუბერნია) ანტრეპრენიორ კ. ნ. ნეზლობინის აგარაკზე საგანგებოდ აშენდა ფარდული. სადაც რეპეტიციები უნდა ჩატარებულიყო მოსკოვში პრემიერის საჩვენებლად. აქ რეჟისორად კვლავ კოტე მოიწვიეს. მას დაევალა დაედგა ჩირიკოვის პიესა „ჯადოსანი". კოტე აქ დიდი გატაცებით მუშაობდა. ძალზე სერიოზულად ემზადებოდა მთელი დასი, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ რიგის დასი პირველად გამოვიდა მოსკოვში.

აი, ეს არის, ის მცირედი რაღაცრაც უნებურად გამახსენდა. სიამოვნებით გიამბობდით ბევრს თქვენს სასიქადულო თანამემამულეზე, მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა მე ჭაბუკი გახლდით. ახლა მოხუცს მიძნელდება ყველაფრის გახსენება.

**ვ. ა. სტანისლავსკი,**

ლატვიის სსრ სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის რეჟისორის თანაშემწე.

## კოტე კომიკურ თეატრში

ეს შესანიშნავი რეჟისორი და მოქალაქე, 1917 წლის შემოდგომაზე პეტროგრადში გავიცანი. მას ადრე ჩემი მონაწილეობით რამდენიმე ოპერეტა ენახა და ერთ დღეს შინ დამირეკა, ჩემთან მოდიო.

— ტროიცკის თეატრში სინთეტიურ თეატრს ვაყალიბებ. ოპერეტის მსახიობი მიყვარს; სიმღერაც იცით და ცეკვაც. ოპერეტიდან მონახოვი ხომ დავითრიე, ახლა თქვენი თავი უნდა მოვტაცო იმათ. სინთეტიურ თეატრში პრემიერად მინდა ვუჩვენო ჰერგარტ ჰაუპტმანის „შლიუკი და იაუ". თქვენ შლიუკი იქნებით, —მითხრა მისვლისას კოტე მარჯანიშვილმა.

რა ძალა იყო — კოტე მარჯანიშვილთან მუშაობა ყველას საამაყოდ მიაჩნდა. მაშინვე გადავბარგდი მასთან.

კოტე მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანი იყო. ზოგიერთი სპექტაკლი ნამდვილად დიდ თეატრალურ მოვლენად გადაიქცა. ასეთია „შლიუკი და იაუ". ასევე შეიძლება ითქვას მოლიერის „ძალად ექიმზე". დიდი წარმატება ხვდა წილად ოსკარ უაილდის „სალომეას". ამ სპექტაკლზე კოტემ თავის თანაშემწედ დამნიშნა.



სცენა სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა"



„მაკბეტის" დეკორაციის ესკიზი

მხატვარი ე. რობერგი და კ. მარჯანიშვილი





„შიშის" დეკორაციის ესკიზი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარჯანიშვილი

დიდი მუშაობა გახურდა. გაზეთებიც კი იუწყებოდნენ, რომ სახალხო სახლის ოპერა კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით დგამს ოფენბახის ცნობილ ოპერეტას „მშვენიერ ელენეს“.

ამ ოპერეტაში შალიაპინს უნდა ემღერა, მაგრამ რატომღაც უარი განაცხადა და მენელაოსის როლის შესრულება კოტემ მე მომანდო. ამ ოპერეტამაც გაიმარჯვა.

მარჯანიშვილთან მუშაობა მომიხდა აგრეთვე მოსკოვში. კორშის თეატრში განახორციელა შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“ და ოდრანის ოპერეტა „მასკოტა“. მე მეფე ლორანის როლს ვთამაშობდი... ეს ერთ-ერთი ბრწყინვალე დადგმაა. „ვესტნიკ ტეატრამ“ დამსახურებული ქება მიუძღვნა ამ სპექტაკლს.

1920 წელს პეტროგრადში მარჯანიშვილმა კომიკური ოპერეტის სტუდიური თეატრი ჩამოაყალიბა. დგამდა მოცარტის ოპერებს, ობერს, გლუკს, და ამავე დროს, კლასიკურ ოპერეტებსაც. ოპერეტებში მონაწილეობდნენ ა. ტერ-დანელიანი, ა. ფეონი, მ. როსტოვცევი და ამ წერილის ავტორი.

1933 წელს, მოსკოვში, მარჯანიშვილი ორ დადგმას ახორციელებდა— მცირე თეატრში შილერის „დონ კარლოსს“ და ჩვენთან ი. შტრაუსის „ღამურას“ (ს. გოგლიძესთან, ე. ახვლედიანთან და ბალეტმეისტერ დ. მაჭავარიანთან ერთად).

ამჯერად კოტემ მხოლოდ ერთი აქტის დადგმა მოასწრო. დაიწყო მეორე, საბედისწერო აქტი, რომ უეცრად გარდაიცვალა. გარდაიცვალა რაღაც სასწაულებრივად. თითქო კაცი გზაზე მიდიოდა და დაეცა...

უკანასკნელად კოტე მოსკოვიდან თბილისში გადმოსვენების დღეს ვნახე. მის ურნას მიჰყვებოდნენ სხვადასხვა ჟანრის მსახიობები; ისინი, რომლებიც მასთან მუშაობის დღეებს თავიანთი არტისტული ცხოვრების ყველაზე სასიხარულო დღეებად თვლიდნენ.

გ. იარონი,

რსფსრ სახალხო არტისტი.

## როგორ გავიცანი მარჯანიშვილი

მახსოვს უცხოეთიდან დავბრუნდი. ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისში, ეს გახლდათ 1928 წელს, ჩემი პერსონალური გამოფენა მოეწყო. ერთ საღამოს, გამოფენაზე რომ მივედი, გადმომცეს ბარათი: „ვიყავი, დავათვალიერე, აღტაცებული ვარ. გთხოვთ მობრძანდეთ ხვალ, ათ საათზე, ჩემთან, თეატრში. კოტე მარჯანიშვილი“.

მეორე დღეს, ათ საათზე, თეატრში, კოტე მარჯანიშვილის კაბინეტის კარი შევაღე. კოტე, დამინახა თუ არა, ფეხზე წამოდგა, ჩემსკენ წამოვიდა; შემომანათა დიდი, შუქით სავსე თვალები. გამიღიმა, ამხედ-დამხედა და თქვა: — აი თურმე როგორი ყოფილხართ. მერე ხელი მომკიდა და მაგიდასთან დამსვა. თვითონ ჩემს პირდაპირ დაჯდა, უშველებელ პაპიროსს მოუკიდა და მკითხა: — როგორ გგონიათ, რისთვის მოგიხმეთ?.. გაოგნებული თვალებში ვუცქეროდი და ხეირიანად არც კი მესმოდა, რას მეუბნებოდა. მხრები ავიჩეჩე და ძლივს ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი... მე მინდა, რომ თქვენ ერთი სპექტაკლი გამიფორმოთ, კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“. კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. ასეთ სიურპრიზს არ მოველოდი და წავილუღლუღე: — მე არ გამოგადგებით, რადგან ამის გამოცდილება არა მაქვს. თეატრში ჯერ არ მიმუშავნია.

— მე კი მჯერა, მშვენივრად შესძლებთ, — მიპასუხა. — თქვენი სურათებია ამის საწინდარი. მათში ძალიან ძლიერია დეკორატიული საწყისი. მერე მოკლედ მომიჭრა: აბა, ბევრს ნუ ლაპარაკობთ. სჯობს საქმეს მოვკიდოთ ხელი. წავიდეთ სცენაზე. — მტაცა ხელი და წამიყვანა. ჩვენ სცენაზე ვიდექით. იგი მიხსნიდა. სცენის მოედნის ზომები დაწვრილებით ჩამაწერინა, შემდეგ კაბინეტში დავბრუნდით და კირშონის პიესა გადმომცა.

პიესა კი გამოვართვი, მაგრამ გონს ვერ მოვედი. მარჯანიშვილი უკვე საქმიანად მელაპარაკებოდა: — როდესაც კითხულობთ, ხომ წარმოგიდგებათ თვალწინ გარემო, სადაც გმირები ცხოვრობენ. დახატეთ ისე, როგორც ილუსტრაციებს ხატავთ, ოღონდაც გახსოვდეთ — ყველაფერი უნდა იყოს სადა, მეტყველი და რაც მთავარია, მსახიობისათვის მოსახერხებელი.

კოტე მარჯანიშვილთან საქმიანი შეხვედრა ნამდვილი სკოლა იყო მხატვრისათვის. მიუხედავად უდიდესი ავტორიტეტისა, იგი არასოდეს არ გვზღუდავდა. კონკრეტულად გვიამბობდა ხოლმე თავის ჩანაფიქრს, მაგრამ, თუკი მხატვარი დიდ ხელოვანისათვის რამე საინტერესოს მოიტანდა, უარს ამბობდა თავის ვარიანტზე და მხატვრის ჩანაფიქრს ლებულობდა. ამასთანავე, რაღაც საოცარი გუმანით იცოდა ხოლმე ყოველი სპექტაკლისათვის შესაფერი მხატვრის ამორჩევა. ამიტომ იყო ასეთი მრავალფეროვანება ქართულ დეკორატიულ ხელოვნებაში მარჯანიშვილის თეატრში. არც შეიძლებოდა სხვაგვარად. კოტეს გარშემო შემოიკრიბნენ ნიჭიერი მხატვრები ვ. სიდამონ-ერისთავი. ი. შარლემანი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, თ. აბაკელია, პ. ოცხელი, ს. ქობულაძე. ისინი ჩაბმული იყვნენ ქართული თეატრის იმ დღესასწაულში, რომელსაც მარჯანიშვილის შემოქმედება ერქვა.

ელენე ახვლედიანი,

საქართველოს სახალხო მხატვარი.

## ერთი დღე ბორჯომში

(ნაწყვეტი მოგონებების წიგნიდან)

ბუნების დიდი მოტრფიალე კოტე ყოველთვის ეძებდა საბაბს, რომ მუშაობის დროს მასთან ახლო ყოფილიყო. ერთხელ „გაყრის“ გეგმას ვადგენდით. კოტემ გამაფრთხილა: ვ. სიდამონ-ერისთავს გადაეცი, ხვალ, დილის ექვს საათზე, ბორჯომის პლატოზე ერთად ავიდეთ და იქ ვითათბიროთ-თქო... ამათ მეც უნდა ვხლებოდი, როგორც სპექტაკლის რეჟისორის თანაშემწე, თანაც ჩამეწერა კოტეს საუბარი მხატვრებთან და მიმეღო კონკრეტული დავალებები.

დანიშნულ დროს ერთმანეთს შევხვდით და გზას გავუდექით. კოტემ და სიდამონ-ერისთავმა „გაყრის“ მხატვრული გაფორმების პრინციპებზე ისაუბრეს. როცა საქმიანი ბაასი დასრულდა, კოტემ ინატრა: კარგი კი იქნებოდა ამ სუფთა ჰაერზე ერთი პატარა პურ-მარილით. იქვე წისქვილი დავინახე და მივაშურე მეწისქვილეს. მეწისქვილე დატრიალდა: შეწვა ქათამი, დააცხო მჭადები და პატარა ხელადით ღვინოც მოგვიტანა. კოტე გამხიარულდა, საათს დახედა და თქვა: — ჯერ კიდევ ადრეა რეპეტიციის დაწყებამდე. მოდი, ცოტა კიდევ გავისეირნოთ.

გამოჩნდა წაღვერი. დავეშვით ძირს. მოაგარაკეები გარეთ გამოფენილიყვნენ. წყაროსთან ბევრი ნაცნობი შეგვხვდა. კოტემ პოეტ სოსო გრიშაშვილს მოჰკრა თვალი, მივიდა მასთან და მეგობრულად გადაეხვია. შეხვდა აგრეთვე რუს მსახიობ ბრიანსკის. აქ კოტეს პირველად გავაცანით კუკური პატარიძე, რომელიც ჯერ კიდევ არ მუშაობდა ჩვენთან. ფოტოგრაფმა იცნო კოტე და თხოვა, სურათი გადაეღო. მან ცალკე სურათის გადაღება არ ისურვა. ბაღის გრძელ სკამზე სიმაღლის მიხედვით გაგვამწკრივა, თვითონაც დაჯდა და ჩვენთან ერთად გადაიღო სურათი.

კიდევ ერთხელ დახედა საათს.

— იცით, რა? რეპეტიციას ჩვენ მაინც ველარ მივუსწრებთ, უჩვენოდაც ჩაატარებენ. მოდი, გზა გავაგრძელოთ! ბაკურიანში ავიდეთ, ახლოს ყოფილა — თქვა და ჩვენც სიხარულით დავეთანხმეთ. შემოგვემატა მსახიობი ბრიანსკი და გავუდექით გზას.

ჩავედით ბაკურიანში. კოტემ პარკის დათვალიერება მოინდომა. იქ ფიცრული კლუბის კედელზე ხელნაწერი აფიშა იყო გაკრული. აფიშა იუწყებოდა, რომ ადგილობრივი დრამწრე საღამოს აწყობს, იდგმება სანდრო ჟორჟოლიანის „სოფლის ფერშალი“.

კოტემ გულდასმით წაიკითხა აფიშა. კლუბში რეპეტიცია მიდიოდა. დაღლილობა დაავიწყდა და კლუბისაკენ გაგვიძღვა. დარბაზში უჩინრად შევიპარეთ. დავსხედით უკანა რიგში. გულდასმით მოისმინა რეპეტიცია. ეღიმებოდა სცენისმოყვარეთა უშუალობაზე და გულუბრყვილობაზე. ჩუმად ჩამჩურჩულა: აი, ეს ხანდახან გვაკლია ჩვენ. მსახიობებს იმიტომ უწოდებენ ბავშვებს, რომ შემოქმედებაში ასე უშუალონი და მართალნი უნდა ვიყოთ.

რეპეტიცია მალე დამთავრდა. სცენისმოყვარეები ერთად შეჯგუფდნენ და რაღაცაზე მსჯელობდნენ. ჩვენ ისევ უჩინრად გამოვედით დარბაზიდან.

ბორჯომში მატარებლით დავბრუნდით.

მთელ დასს სადგურზე მოეყარა თავი. შეშინებულებს უფიქრიათ, ვაითუ სადმე გადაიჩეხნენო. კოტე უმალ გამოიცვალა. მიიღო მრისხანე გამომეტყველება და, როდესაც მისი მეუღლე, მსახიობი ელენე დონაური მივიდა მასთან საყვედურის სათქმელად, იქით შეუტია. მერე ისევ ხუმრობას მოჰყვა. გააზვიადა იმ დღის თავგადასავალი. იცინა და აცინა სხვებიც.

ასე დასრულდა ეს დაუვიწყარი დღე კოტე მარჯანიშვილთან.

დოდო ანთაძე,

რესპ. სახ. არტისტი.



მარცხნიდან მარჯვნივ: ს. ერისთავი, ი. გრიშაშვილი, კ. მარჯანიშვილი, ბრიანსკი და დ. ანთაძე.



79

# დიდი მეცნიერი და მოქალაქე



ფსიქიატრია სამედიცინო მეცნიერებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულ და მძიმე დარგს წარმოადგენს. ამასთან, მეტად საინტერესოა პრაქტიკულ-კლინიკური თვალსაზრისით და, ამავე დროს, თავისი მოწოდებით, მეტად ჰუმანურია.

სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი მეცნიერების დიდ წარმომადგენელს, ფსიქონევროლოგიის დარგის შესანიშნავ მკვლევარს, ბრწყინვალე ნეირომორფოლოგს, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ავლიპი ზურაბაშვილს დაბადებიდან 60 წლის და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის 35 წელი შეუსრულდა.

ავლიპი ზურაბაშვილი დაიბადა 1902 წელს კახეთში, სოფელ ბოდბისხევში. ხელმოკლე, მშრომელმა მშობლებმა ბავშვს თავიდანვე შეაყვარეს გარჯა, მეცადინეობა; ჩაუნერგეს მოყვასის სიყვარული და საშუალება მისცეს ჯერ სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ თბილისის რეალურ სასწავლებელში ესწავლა. 1920 წელს ავლიპი თბილისის უნივერსიტეტში ჩაერიცხა. სწავლას მოწყურებული ჭაბუკი ჯერ საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა, მერე კი — სამედიცინოზე, რომლის კურსი 1926 წელს დაამთავრა წარჩინებით. მომავალ აკადემიკოსს ფსიქიატრიაში პირველი ნაშრომი ჯერ კიდევ სტუდენტობისას — 1924 წელს დაუწერია. ნაშრომს მასწავლებლების ინტერესი გამოუწვევია. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ა. ზურაბაშვილი ჯერ ფსიქიატრიის კათედრის ორდინატორად, ხოლო 1928 წლიდან — ამავე კათედრის ასისტენტად აურჩევიათ. ეს ის დროა, როდესაც ქართულ ფსიქიატრიულ სკოლას სათავეში უდგას გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი მ. მ. ასათიანი. პროფესორმა თავიდანვე შეიყვარა მშრომელი, ნიჭიერი, კეთილშობილი, თავმდაბალი ახალგაზრდა და იგი თავის უახლოეს თანაშემწედ გაიხადა. მ. ასათიანის თაოსნობით ა. ზურაბაშვილმა დიდი მუშაობა გააჩაღა მოსახლეობის ფსიქო-ნევროლოგიური სამსახურის ორგანიზაციის საქმეში. შეიქმნა ფსიქიატრიის სამეცნიერო ტერმინოლოგია ქართულ ენაზე; მასწავლებლისა და მისი შესანიშნავი მოწაფის დაუღალავი შრომით აღიზარდა სპეციალისტ ფსიქიატრთა შესანიშნავი თაობები.

მუდამ ახლის ძიებითა და შესწავლით დაინტერესებული ა. ზურაბაშვილი 1931 წელს ლენინგრადს გაემგზავრა შემდგომ სწავლის გასაგრძელებლად, სადაც უშუალოდ დიდი პავლოვის, აკადემიკოს ოსიპოვის, პროფესორ პინესის და სხვათა ხელმძღვანელობით იმაღლებდა კვალიფიკაციას. სამი წლის დაუღალავი შრომისა და ძიების შედეგი იყო მის მიერ ბეხტერევის სახელობის ტვინის ინსტიტუტში დაცული დისერტაცია კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შრომაში დეტალურადაა წარმოდგენილი თავის ტვინის მხედველობითი ბორცვის ბირთვების ონტოგენეზური კლასიფიკაცია. ამ გამოკვლევით და 1937 წელს ლენინგრადშივე დაცული სადოქტორო დისერტაციით, რომლითაც გაშუქებულია ადამიანის თავის ტვინის შუბლის წილის ქერქის მორფოლოგიური განვითარების საკითხები, ა. ზურაბაშვილი ნეირომორფოლოგიაში გვევლინება ონტოგენეზური მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად. ლენინგრადში მუშაობის პერიოდი ა. ზურაბაშვილისათვის მეტად ნაყოფიერი იყო. იგი სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, ბეხტერევის სახელობის ტვინის ინსტიტუტში, პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მუშაობდა ფსიქიატრიის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. 8 წლის ნაყოფიერი შრომისა და კვლევაძიების შემდეგ ა. ზურაბაშვილი საქართველოში დაბრუნდა და უმალვე სათავეში ჩაუდგა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტს.

ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი მეთაურობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კლინიკას. პარალელურად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ა. ზურაბაშვილი ავტორია ასორმოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომისა. მათ შორის 12 მონოგრაფიისა. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის მეცნიერულ შრომათა ათი ტომი. იგი ავტორია ფსიქიატრიის ვრცელი სახელმძღვანელოსი. ა. ზურაბაშვილის ნაშრომები ქვეყნდება, როგორც საბჭოთა კავშირში ასევე მის საზღვრებს გარეთაც. მისი ერთ-ერთი გამოკვლევა 1955 წელს აღინიშნა ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიით. ა. ზურაბაშვილის მთავარი შრომები მოიცავს ფსიქიატრიაში ნოზოლოგიის პრობლემას, ფსიქოზთა მკურნალობის, შიზოფრენიის კლინიკას, ნეიროდინამიკას, შიზოფრენიისა და ეპილეფსიის საკითხებს. დიდმნიშვნელოვანმა, კაპიტალურმა გამოკვლევებმა ა. ზურაბაშვილს ნეირომორფოლოგიაში სინაფსოარქიტექტონიკული მიმართულების ფუძემდებლის სახელი დაუმკვიდრა. მის გამოკვლევებს ამ დარგში ფართოდ ეხმაურებიან მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი დიდ მეცნიერულ კვლევით მუშაობას შესანიშნავად უხამებს ნიჭიერი კადრების აღზრდის საქმეს როგორც სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე და სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი და ახალგაზრდა ძალების აღმზრდელი პედაგოგი, იგი საოცარი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს მოწაფეთა შორის. საკმარისია დავასახელოთ, რომ ა. ზურაბაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ფსიქიატრიის ინსტიტუტში შესრულებულია მის მოწაფეთა და თანამებრძოლთა შვიდასი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 26 საკანდიდატო და 12—სადოქტორო.

ა. ზურაბაშვილს 1945 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. 1946 წელს საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, ხოლო შემდეგ ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1955 წლიდან ა. ზურაბაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია.

კომუნისტი მეცნიერის მკერდს ამშვენებს მთავრობის უდიდესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ა. ზურაბაშვილის საიუბილეო საღამო დიდხანს ემახსოვრებათ მათ, ვინც 14 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში იყო, ან ტელევიზორით უყურა მას. დამსწრე საზოგადოება უაღრესად გულთბილად შეხვდა იუბილარს. ბევრისთვის, რომლებიც დაწვრილებით არ იცნობდნენ სახელოვანი მეცნიერის მოღვაწეობას, ნათელი გახდა, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ა. ზურაბაშვილს მეცნიერების წინაშე და სამეცნიერო კადრების აღზრდის დიდად საპატიო საქმეში. მოხსენებაში, მისალმებებში და ათასზე მეტ მისალოც წერილსა თუ დეპეშაში ზუსტად იყო აღნიშნული ა. ზურაბაშვილის ღვაწლის შესახებ. „თქვენ ბრძანდებით მეცნიერების კორიფე", — სწერს იუბილარს საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ბლოხინი. ჯანმრთელობის მინისტრი კურაშოვი, აკადემიკოსები ანიჩკოვი, შტერნი, ვოიჩეკი, სპერანსკი და სხვები სიამოვნებით აღნიშნავენ ა. ზურაბაშვილის უდიდეს დამსახურებას. მრავალი დეპეშა მოვიდა დემოკრატიული ქვეყნების მეცნიერთაგან. პროფესორი იელი შეერთებულ შტატებიდან სწერს იუბილარს, რომ იგი უერთდება იმ დიდ პატივს, რასაც მსოფლიო მეცნიერება იჩენს ა. ზურაბაშვილის მიმართ. ბელგიელი მეცნიერი რადემერკერი იუბილარს თვლის „თავისი საკუთარი ერისა და მთელი მსოფლიოს გამოჩენილ ფიგურად"...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ასობით მოლოცვაში ხაზგასმულია ის დიდი და უაღრესად მნიშვნელოვანი ღვაწლი, რომელიც ჩვენს თანამემამულეს, აკადემიკოს ა. ზურაბაშვილს მიუძღვის მსოფლიო მეცნიერების წინაშე.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი არის თავმდაბლობის, გულისხმიერების, მუყაითი შრომისმოყვარეობის განსახიერება. მრავალფეროვანი ერუდიტი მეცნიერი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენს სხვა დარგებისადმი: მას ხშირად ნახავთ თეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, ლიტერატურულ საღამოებზე. თავიდანვე სწორად აწყობილი სამუშაო დღე მეცნიერს საშუალებას აძლევს თავისი ძირითადი საქმიანობა შეათავსოს კულტურის სხვადასხვა დარგში აქტიურ მონაწილეობასთან. ამიტომაა იგი თავის 60 წლის ასაკში ასე მხნედ და ჯანსაღად რომ გამოიყურება. „შრომა ადამიანის ნერვულ უჯრედს აახალგაზრდავებს, ხოლო უსაქმურობა აბერებს. გიყვარდეთ შრომა, ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს", — მიმართა მან ახალგაზრდობას თავის საიუბილეო საღამოზე და დიდის მადლობით მოიხსენია უბრალო ადამიანები, — თავისი მშობლები, რომლებმაც ჯერ კიდევ სულ პატარას, შრომისადმი სიყვარული და მშრომელი ადამიანისადმი პატივისცემა ჩაუნერგეს.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან მეცნიერსა და შესანიშნავ მოქალაქეს ხანგრძლივი სიცოცხლე და კვლავ წარმატებანი მის კეთილშობილურ საქმიანობაში.

ნელი კუტალია.

## შრომითი შაბათობის წესით

ეს იყო 1920 წელს.

მოსკოვში მუშაობდა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობა. ამ ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა თავისი ერთ-ერთი უკვდავი სიტყვა, უდიდესი სიღრმითა და სიცხადით განსაზღვრა კომკავშირის ამოცანები სოციალისტურ მშენებლობაში, ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

იმავე წელს ეს სიტყვა „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანების" სახელწოდებით ბროშურად გამოიცა 200 ათასი ცალი ტირაჟით. მთელი ტირაჟი რამდენიმე დღეში გაიყიდა. კომკავშირის ზოგიერთ რაიკომში მხოლოდ თითო-ოროლა ეგზემპლარიღა ჰქონდათ, ამიტომ ორგანიზაციები ამ ბროშურას რიგრიგობით ეცნობოდნენ. ახალგაზრდები იძულებული იყვნენ ხელით გადაეწერათ და ისე გაევრცელებინათ იგი. იმ ხანებში ჩვენს ქვეყანაში ბევრი ბავშვი იღუპებოდა შიმშილით. მოსკოვის 26-ე ტიპოლითოგრაფიის კომკავშირელებმა, რომლებმაც ქაღალდის ეკონომია გასწიეს, გადაწყვიტეს დაზოგილი ქაღალდით ხელმეორედ დაებეჭდათ ვ. ი. ლენინის ეს ბროშურა და გაყიდვის შემდეგ ფული ვოლგისპირეთის დამშეული ბავშვების დასახმარებლად გადაერიცხათ.

წიგნის ბეჭდვაზე ნებართვა ავტორისაგან ვ. ი. ლენინისაგან უნდა მიეღოთ. სტამბის კომკავშირული უჯრედის წევრებმა ნ. კ. კრუპსკაიას საშუალებით თხოვეს ვ. ი. ლენინს ნება დაერთო მათთვის ბროშურის გამოცემაზე. ლენინი ამ ბროშურის გადამუშავებას აპირებდა და ჯერ უარი განაცხადა. როცა ახალგაზრდებმა მას ხელით გადაწერილი ეგზემპლარი უჩვენეს, ბევრი იცინა და დათანხმდა. თან დასძინა, ბროშურის ბოლო გვერდზე აღენიშნათ ამ საქმის ინიციატორებისა და მბეჭდავების გვარები.

1921 წელს მოსკოვში 5.800 ცალი ტირაჟით ხელმეორედ გამოვიდა ნ. ლენინის (ვ. ი. ულიანოვის) ბროშურა „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები". ბროშურა ღირდა 2.000 მანეთი (20 კაპიკი).

მის ბოლო გვერდზე აღნიშნული იყო, რომ ბროშურა „შრომითი შაბათობის წესით აწყობილ და დაბეჭდილ იქნა 26-ე ტიპოლითოგრაფიასთან არსებული რ. ა.კ.კ. უჯრედის შემდეგი წევრების ამხ. ამხ. შელნიკოვის, კისელიოვის, ბელიკოვის, მიტკინის, პისკუნოვის, კნიაზევის და უდალოვის მიერ, ვოლგისპირეთის დამშეულ ბავშვთა სასარგებლოთ".

„ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები" გამოსვლისთანავე გაიყიდა. ვლადიმერ ილიას ძემ უარი თქვა ჰონორარის აღებაზე და მთელი თანხა 11 მილიონ 600 ათასი მანეთის რაოდენობით გადაირიცხა დამშეული ბავშვების დასახმარებლად.

1920 წლიდან 1961 წლამდე სსრ კავშირში ეს წიგნი გამოიცა 384-ჯერ, 72 ენაზე, 14,267 ათასი ცალი ტირაჟით.

უ. გოგიძე.

# ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები




ახლა, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის ისტორიული პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეუფერხებელ მომარაგებას საჭირო იარაღ-მანქანებით.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელმა ქარხანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ახალი ტიპის, მაღალხარისხოვანი მანქანების გამოშვებაში. ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წელს უკვე აითვისა და სერიულად წარმოებაში დანერგა რამდენიმე რთული მოწყობილობის სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ მინდვრებსა და პლანტაციებში.

ყურადღებას იპყრობს ქარხნის მიერ გამოშვებული თვითმავალი შასი СШ—8 г. ეს მანქანა ძირითადად ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ გამოიყენება.

თვითმავალმა შასმა პირველი გამოცდა ინგირის, ლაითურისა და წულუკიძის საბჭოთა მეურნეობებში გაიარა. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა აზრით, ახალი მანქანა მეტად მოხერხებული და ეფექტურია. იგი შეუფერხებლად მუშაობს და სხვადასხვა შრომატევადი ოპერაციების მაღალხარისხოვანი შესრულებით წარმატებით ცვლის 16 მუშახელს.

შრომატევად სამუშაოებს ასევე საუკეთესოდ ასრულებს და დაახლოებით 20 მუშახელს ცვლის ახლად ათვისებული და წარმოებაში დანერგილი თამბაქოს ამკინძავი მანქანა.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა უახლოეს ხანებში გამოუშვებს რამდენიმე ახალი ტიპის იარაღ-მანქანებს, მათ შორის ლაო ჩაის საკრეფ და ბუჩქების მძიმედ გამკრეჭ აპარატებს. დიდი ყურადღება ექცევა ჩაის საკრეფი მანქანის ЧТК ათვისებას, რომელიც მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს მეჩაიეებს.




შეიძლება ზოგიერთმა თბილისელმა არც კი იცის, რომ ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ წარმტაც კუთხეში, კომკავშირის ხეივანზე თბილისის სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმია მოთავსებული.

ამ მუზეუმს 50-ოდე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. 1909 წელს ქალაქის თვითმართველობამ გადაწყვიტა თბილისში დაეარსებინა ე. წ. მუნიციპალური მუზეუმი. მცირეოდენი ხნის შემდეგ ზუბალაშვილის სახლში (ამჟამად ქალაქის ბავშვთა საავადმყოფო) ორი ოთახი გამოყვეს, რომლებშიც მოქალაქეებისაგან შეწირული ექსპონატები გამოფინეს.

მუზეუმი შეივსო ქალაქის არქიტექტურისა და კომუნალური მეურნეობის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და სხვა დარგის ამსახველი მდიდარი ექსპონატებით.

1933 და 1937 წლებში მუზეუმმა მოამზადა გამოფენები ლონდონისა და პარიზისათვის. ამ გამოფენებმა მოსკოვში საორგანიზაციო კომიტეტის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1936 წელს მუზეუმი კომკავშირის ხეივანზე გადაიტანეს. ექსპონატებს ამჟამად 9 დარბაზი აქვს დათმობილი. აქაა გამოფენილი დიდძალი არქეოლოგიური ნივთები, დოკუმენტები, მონეტები, გრავიურა, მაკეტები, რუკები, სურათები, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

მუზეუმის ექსპონატები ნათლად ასახავს ქალაქის ცხოვრებასა და განვითარებას უძველესი ხანიდან დღემდე. განათხარი მასალებით მტკიცდება, რომ თბილისის ტერიტორია ძვ. წ. აღ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში უკვე დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა.



სახაბაზო

ერთ-ერთ ვრცელ დარბაზში თავმოყრილია ნივთები, რომლებიც თბილისმა თავისი დაარსების 1500 წლისთავზე საჩუქრად მიიღო.

თბილისის სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმი ამავე დროს წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, სადაც სისტემატურად მუშავდება ქალაქის ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი მასალები.

გ. გოზრონიძე.



„კონკა"

გაოგნებულმა ზანგმა სანტოსმა ძლივს მოჰკრა თვალი მის ირგვლივ შემოვლებულ ბურთს, ოდნავ გადაიზნიქა, წონასწორობა დაჰკარგა და... თბილისის „ქარიშხალას" სტადიონის ტრიბუნაზე სიცილი გაისმა, წამიც და მთელი სტადიონი ფეხზე დადგა. მქუხარე ტაშმა მოვარდნილ ტალღასავით გადაიარა ტრიბუნებზე. ანგარიშის მაჩვენებელ დაფაზე სამიანი აინთო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბრაზილიელთა კარში მესამე ბურთი გაეხვია.

—მესხი! მესხი! მესხი! — გაისმა აღტაცებული შეძახილები.

ბრაზილიელები გაკვირვებული უცქერდნენ ერთმანეთს, გონს ვერ მოსულიყვნენ. რა მოხდა? როგორ გაუსხლტა მათ სახელოვან დამცველს ეს ტანმორჩილი, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი.

...თოთხმეტი წლის ბიჭუნას ძალიან უყვარს საჭიდაო მოედანი. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ტოლ-ამხანაგებთან ხერხისა და ღონის გამოცდაში ატარებს, მაგრამ დახეთ უბედურებას: ჭიდაობის დროს ხელი დაუზიანდა და საჭიდაო სარბიელი რბილმა ლოგინმა შესცვალა. ლოტკინის მთაზე მცხოვრებნი გაოცებულნი იყვნენ როცა დაინახეს ხელშეხვეული ბიჭუნა ქარზე უსწრაფესად, რომ დაჰქროდა ციგურებზე. შემდეგ ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლა... საქართველოს ნაკრებ გუნდში მოხვედრა... სათადარიგო სკამზე ჯდომა. ბოლოს მწვანე მინდორზე გამოსვლა, მაგრამ არა მისთვის საყვარელ ადგილზე, არამედ ორ ნომრად. ამხანაგები აღიზიანებენ მიშას, სკოლის ნაკრებში ძლივს მოხვდიო, იგი ღიმილით ექილიკება მეგობრების ხუმრობას და ხუმრობითვე პასუხობს: თქვენ სკოლის ნაკრებში ითამაშებთ, მე კი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიო და ჭაბუკი გაათკეცებული ენერგიით ვარჯიშობს, იმაღლებს სპორტულ ოსტატობას. იკაჟებს სხეულს...

...ერევნის ერთ-ერთ სასტუმროში უჩვეულო შეშფოთებაა. ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრები მიხეილს ეძებენ, რათა პატარა მიშას დაბადება

# მიხეილ მესხი

ახარონ. განსაკუთრებით მონდომებულია ვ. პონედელნიკი. იგი მანქანით დაჰქრის და ქალაქის ყველა კუნჭულში დაეძებს ადრესატს. სად შეიძლება მიშა იყოს? ყველგან... ოღონდ რესტორანში არა. თუმცა დღეს ესეც ეპატიება მას. ყველა ცდა ამაოა და ბოლოს იმედგადაწყვეტილი ვიქტორი სასტუმროში ბრუნდება, ვესტიბიულში შედის და ადგილზე შეშდება. აგერ მიშა! მთელი დღეა დაეძებს და აგერ არ ყოფილა! გახარებული ვიქტორი ეხვევა მეგობარს და ხელში ქაღალდის პატარა ნაგლეჯს აჩეჩებს, რომელშიც დიდი სიხარულია მოთავსებული. მიხეილმა უკვე იცის შვილის დაბადება, მაგრამ არ უხუნებს ვიქტორს მახარობლობით გამოწვეულ სიხარულს.

...ჩილის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე, საბჭოთა ნაკრებმა ტრიუმფით მოიარა სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. გაზეთები აჭრელებულია მყვირალა სათაურებით, „კომუნისტური გარინჩას" გამოჩენით. სამხრეთ ამერიკული პრესა ქება-დიდებით იხსენიებს ჩვენი გუნდის გარემარბებს — ს. მეტრეველსა და მ. მესხს. თვითეულში 50.000 არგენტინულ პესოს იძლევიან. სპეციალურად სწავლობენ მ. მესხის ფინტებსა და დრიბლინგებს.

...უკან დარჩა ჩილის მღელვარე დღეები. თუმცა წააგეს, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები უსახელოდ არ დაბრუნებულან. მ. მესხის ელვისებრ გასვლებს და ყუმბარისებურ დარტყმებს აღტაცებაში მოჰყავდა ბევრისმნახველი, ტემპერამენტიანი სამხრეთ ამერიკელი მაყურებელი.

...და აი ისევ მშობლიური ქალაქი. მთაწმინდიდან მონაბერი სიო სასიამოვნო სიგრილით ავსებს დასიცხულ ქალაქს. სამხატვრო გალერეის წინ მიშას მეგობრებს მოუყრიათ თავი. გულშემატკივართა შეკითხვებს რა გამოლევს? „უმაღლესში" გამოცდების საქმე როგორაა? ეკითხებიან მიშას.

— ყველაზე დიდ გამოცდას ვაბარებ ხვალ, უპასუხებს მიშა.

....პაპანაქება სიცხეა. „ბურევესტნიკის" სტადიონი სავსეა. მაყურებელი გულისფანცქალით ელის დინამოელთა გამოჩენას მწვანე მინდორზე. დღეს პირველად ამ სეზონში თბილისელთა რიგებში ითამაშებს მ. მესხი. მაყურებელს მოლოდინი გაუმართლდა. მიშამ მართლაც ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა და შესანიშნავად ითამაშა. წინ მრავალი ასეთი გამოცდაა და ჩვენ გვჯერა, რომ მრავალჯერ იქუხებს ტაში სტადიონების ტრიბუნებზე, როდესაც მ. მესხი მისთვის ჩვეული ოსტატობით უკან ჩამოიტოვებს მის წინ აღმართულ მცველთა კედელს და სიხარულს მოუტანს გულშემატკივრებს.

არჩილ მხეიძე.



80

# საშვილიშვილო საქმე

**ბენო გორდეზიანი**
საქ. სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე.

ქართული საშრიფტო მეურნეობის მდგომარეობით დაინტერესებულია არა მარტო გამომცემელთა და პოლიგრაფთა წრე, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობაც. ყველას სურს გაიგოს, თუ რა გზით მიემართება ქართული სასტამბო შრიფტების გაუმჯობესება და რამდენად კანონზომიერია ეს გზა ჩვენი დამწერლობის სრულსაყოფად.

შრიფტი საშვილიშვილო საქმეა. ის არის ძირითადი მასალა, ურომლისოდ შეუძლებელია, როგორც წიგნის, ისე სხვა რომელიმე ნაბეჭდი პროდუქციის შექმნა. ჩვენი გამომცემლობისა და პოლიგრაფიის ნაყოფიერი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული საშრიფტო მეურნეობასა და მის ხარისხზე.

ამიტომაც, ჩვენი საზოგადოებრიობა მუდამჟამ მოგვიწოდებს გავაუმჯობესოთ საშრიფტო მეურნეობა, შევქმნათ ჩვენი დიადი ეპოქისათვის შესაფერი გრაფიკული მოხაზულობის შრიფტები.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, გარდა ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, სომხეთისა და საქართველოსი, იყენებენ რუსული შრიფტების საფუძველზე შექმნილ შრიფტებს, რომელთა გაუმჯობესებასა და გამრავლებაზე ზრუნავენ მოსკოვის პოლიგრაფიული მანქანათმშენებლობის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი და ლენინგრადის სამატრიცო ქარხნები. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები კი იყენებენ ლათინურ შრიფტებს და სარგებლობენ ევროპული ქვეყნების მიღწევებით საშრიფტო მეურნეობაში.

მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორ რესპუბლიკას — საქართველოსა და სომხეთს აქვთ თავისი მრავალსაუკუნოვანი ანბანი. მათ საკუთარი ძალით და შესაძლებლობით უნდა გააუმჯობესონ თავიანთი საშრიფტო მეურნეობა.

ქართული ანბანი, რომელიც სასტამბო შრიფტად ჩამოისხა ამ სამნახევარი საუკუნის წინათ, ისტორიული პირობების გამო ნორმალური გზით ვერ ვითარდებოდა. მას არ გაუვლია კვლევისა და ლაბორატორიული შემოწმების გზა; დღემდე არ ყოფილა დაჯგუფებული გარნიტურებად ისე, როგორც ყველგან, არ ხდებოდა შრიფტების სხვადასხვა ზომაზე (კეგელზე) გამრავლება.

უკანასკნელ დრომდე მთავარი ყურადღება ეთმობოდა ხელითწყობის შრიფტებს. შრიფტის მესვეურები ივიწყებდნენ იმ გარემოებას, რომ საბეჭდი ფორმა უმთავრესად მანქანური შრიფტებიდან მზადდება და არა ხელითწყობის შრიფტებიდან. ამის შედეგად მანქანური შრიფტების (ლინოტიპის, მონოტიპის) წარმოება ჩვენში ჩამორჩა საერთო პოლიგრაფიულ განვითარებას: მანქანათმშენებლობა სწრაფი ტემპით მიდის წინ, ხოლო საშრიფტო მეურნეობა უკან რჩება.

ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება ჩვენმა ხელისუფლებამ, შექმნა ქართული შრიფტის კომიტეტი, რომელსაც დაევალა საშრიფტო მეურნეობის მოწესრიგება, ძველის გაუმჯობესება და ახლის შექმნა.

კომიტეტმა თუმცა სათანადოდ ვერ შეძლო მუშაობის გაშლა, მაგრამ ის კი მოახერხა, რომ შეკრიბა დღემდე ყველა სახის მოქმედი ქართული შრიფტები და ამ მასალიდან დაამუშავა ქართული შრიფტების სტანდარტი, რომელიც წინათ არ არსებობდა. ერთი ძირითადი გარნიტურის ნაცვლად შექმნა შრიფტების ოთხი ძირითადი გარნიტური (ჩვეულებრივი, დედაენის, მკაფიო და ვიწრო), რაც იმას ნიშნავდა, რომ 12-13 წლის მანძილზე ქართულ საშრიფტო მეურნეობაში გაკეთდა გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საშრიფტო მეურნეობისათვის. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს საქმე წარიმართა საშრიფტო მეურნეობის კანონზომიერი განვითარების გზით და ძირითადი ყურადღება მიექცა მანქანური შრიფტების წარმოებას.

ქართულ საშრიფტო მეურნეობაში პირველად შევიდა ისეთი სატექსტო შრიფტები, რომლებიც დამუშავებულია მთლიანი სახით (ციფრებით, ნიშნებით, მასობრივი ხმარებიდან გამოსული ასოებით) და გამიზნულია სრული გარნიტურისათვის.

ამავე დროს ქართულ ანბანთა საერთო სიგანე 18 ზომიდან დაყვანილია 12-მდე, ხოლო საჭირო შემთხვევაში სიგანის შემცირება შეიძლება შვიდ ზომამდე ისე, რომ ცვლილება არ მოხდება ასოთა გრაფემაში. სიგანის შემცირება მომავალში დამოკიდებული იქნება ბეჭდვითი ტექნიკისა და ასოთა ამოჭრის განვითარებაზე.

აბგდევზთიკლ

აბგდევზთიკლმნოპჟ

აბგდევზთიკლმ

აბგდევ

აბგდევზთიკლმნოპ

აბგდევზთიკლმნოპჟრსტ

საშრიფტო მეურნეობაში მკაფიობასა, სილამაზესა და ადვილ საკითხაობასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა შრიფტის ეკონომიურობას. ამ საქმეში მცირე მიღწევასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

რამდენიმე წლის მანძილზე წარმოებული ცდების შედეგად უკვე შექმნილია ისეთი გარნიტური, რომელიც თავის ტევადობით გაუტოლდა ამავე გარნიტურის რუსულსა და ლათინურს. ეს არის ახლადშექმნილი სატექსტო ვიწრო გარნიტურის შრიფტი. მის მოხაზულობაში მტკიცედ არის დაცული ქართული ასოების ტრადიციული სახე. მკაფიობა და საგრძნობი ეკონომიურობა (10-15 პროცენტი) მიღწეულია ასოთა სიგანისა და მათი წაგრძელების შემცირების ხარჯზე. მოგვყავს ამ შრიფტების ნიმუშები (ავტორი ბ. გორდეზიანი).

ბოლო დროს მთავარი ყურადღება ექცევა საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავით დგას ჩვენი პოლიგრაფიის წინაშე. ეს არის გაზეთებისათვის მეტად საჭირო სატიტულო შრიფტების შექმნა, სასტამბო ორნამენტების დამუშავება და საწერი მანქანის შრიფტის გადახალისება.

ჯერჯერობით უკვე დამუშავებულია სატიტულო შრიფტის ხუთი ნახაზი: ორი მოსკოვის პოლიგრაფიულ მანქანათმშენებლობის მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტთან შეთანხმებით, ხოლო დანარჩენი სამი ადგილობრივ მზადდება. ვათავსებთ ამ შრიფტების ნიმუშებს სხვადასხვა ზომაზე.

რაც შეხება სასტამბო შრიფტების ორნამენტების დამზადებას, უკვე 12 წელიწადია საკავშირო მასშტაბით მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით. ჯერ კიდევ 1946 წელს საკავშირო სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, წინადადება მიეცა მოსკოვის პოლიგრაფიული მრეწველობის მანქანათმშენებლობის მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტს შეუდგეს სასტამბო ორნამენტების შექმნას მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო ორნამენტების საფუძველზე. გადაწყვეტილია 15 სერიის შექმნა. სასურველად იქნა ცნობილი, ორნამენტების ესკიზები დაამზადონ თვით რესპუბლიკებმა. შექმნილია და შესულია ხმარებაში რვა რესპუბლიკის ეროვნული ორნამენტები, მათ შორის, რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და სხვა რესპუბლიკებისა. ჩვენ ამ საქმეში ჩამოვრჩით. ის სერია, რომელიც ატარებს ჩვენი რესპუბლიკის სახელს, თავის დროზე ვერ დამზადდა, ამჟამად კი საქმე დაწყებულია და ვფიქრობთ ერთ-ორ წელიწადში გვექნება ქართული სასტამბო ორნამენტების რამდენიმე სახე.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საბეჭდი მანქანების (რემინგტონის) შრიფტის ახალი ნახაზების შექმნა. არსებული შრიფტი—მეტად მოძველებულია — და ამავე დროს ძნელად საშოვნი. ეს გარემოება ზოგჯერ დაწესებულებას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. კომიტეტი შეუდგა ამ საქმის მოგვარებას და ვფიქრობთ მოკლე ხანში ნახაზები გადაეგზავნება რიაზანის ქარხანას, სადაც ასეთი შრიფტები მზადდება..

კომიტეტის მუშაობა უნაყოფო იქნება, თუ დროზე არ მოგვარდება შრიფტის ჩამომსხმელი ქარხნის აშენების საკითხი, ვინაიდან მომხმარებელი შრიფტს ეცნობა არა ნახაზებით, არამედ შრიფტის ლითონზე გადატანის შემდეგ. ასოჩამომსხმელ საამქროს, რომელიც „კომუნისტის“ პოლიგრაფკომბინატთან არსებობდა, იმის საშუალებაც კი არა აქვს, სათანადო ხელსაწყოები გამართოს და შრიფტის კომიტეტის შეკვეთების დამზადება უზრუნველჰყოს.

ამით აიხსნება ისიც, რომ დღემდე ვერ მოწესრიგდა ჩვენი რესპუბლიკისათვის აუცილებელი ხის შრიფტების გამოშვება. ცნობილია, უშრიფტობის გამო რაიონებში ქართულ აფიშებს ვერ აწყობენ, ხოლო მცირე რაოდენობით თბილისის სტამბებში შემონახული ძველი შრიფტები, როგორც მოხაზულობით, ისე გარეგნული სილამაზით ყოვლად უვარგისია.

პოლიგრაფიული მრეწველობის წინაშე, კერძოდ, საშრიფტო მეურნეობის გადახალისების დარგში, მრავალი ისეთი საკითხი დგას, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს სპეციალისტების კამათს, აზრთა გაზიარებასა და საბოლოო დადგენას. ასეთია, მაგალითად, ტექსტში მთავრული ასოების ხმარების, ასოთა პროპორციების დადგენისა და მრავალი სხვა საკითხი. მაგრამ კამათის საშუალებას მოკლებული ვართ: რესპუბლიკაში ასეთი საკითხების დასამუშავებლად არ არსებობს არც სათანადო ჟურნალი, არც პერიოდული ბიულეტენი. მეტად უმწეო მდგომარეობაშია კადრების მომზადების საქმეც.

კულტურის სამინისტრომ საჭირო ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და ხელი შეუწყოს ქართული შრიფტის კომიტეტს მუშაობის მეტი ნაყოფიერებით წარმართვისათვის.

# კიბერნეტიკა და ეკონომიკა

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მძლავრმა განვითარებამ, წარმოების მასშტაბების გრანდიოზულმა ზრდამ მნიშვნელოვნად გაართულა სახალხო მეურნეობის მართვა. სწრაფად გაიზარდა ეკონომიკური ინფორმაცია (საგეგმო, საანგარიშო, ოპერატიული), ამაღლდა მოთხოვნა მისი დამუშავების სისწრაფისა და სიზუსტისადმი.

ამავე დროს, ეკონომიკური ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის დღევანდელი მეთოდები და ტექნიკური საშუალებანი არსებითად არ განსხვავდება ომამდელი „ტრადიციული“ საშუალებებისაგან. ხმარებაში დარჩა იგივე საანგარიშო-სახაზავი, არითმომეტრი, ფოსტა და ტელეგრაფი.

ასეთ პირობებში, სახალხო მეურნეობის ინფორმაციის ფორმირებისათვის საჭიროა სულ ცოტა რამდენიმე თვე, მიღებული შედეგი კი მაინც ვერ იძლევა სრულ სურათს.

ჩვენი სახალხო მეურნეობის მართვის თანამედროვე მოთხოვნას შეადგენს სწრაფი, ამომწურავი ინფორმაციის მიღება შემოქმედებითი შრომის პროცესში აღძრულ ყველა კითხვაზე.

სახალხო მეურნეობის მმართველი პერსონალის სამმილიონიან არმიას, რომლის ძირითად ნაწილს ეკონომისტები, მგეგმავები, სტატისტიკოსები და მოანგარიშეები შეადგენენ, უკვე აღარ ძალუძს უზრუნველყოს ეკონომიკური ინფორმაციის სრული და სწრაფი ცირკულაცია. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეგმიანი მეურნეობრივი ორგანიზმის ნორმალური ფუნქცირებისათვის. ამავე დროს, ვერავითარი საშტატო ერთეულის ზრდა ველარ მოგვცემს ჩვენთვის სასურველ შედეგს.

ამ ამოცანის გადაჭრის რეალური შესაძლებლობანი მხოლოდ თანამედროვე მეცნიერული ტექნიკის განვითარებაში უნდა ვეძიოთ, მათ შორის კიბერნეტიკის განვითარებაში, რომელიც ავტომატიზაციის უნივერსალურ სახეს წარმოადგენს.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული კიბერნეტიკის ფართოდ გამოყენების აუცილებლობა არა მარტო წარმოებასა და საპროექტო-საკონსტრუქტორო პრაქტიკაში, არამედ სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, აღრიცხვასა და სტატისტიკაში, საერთოდ, მართვის სფეროში.

საბჭოთა კავშირში კიბერნეტიკის პრაქტიკულად გამოყენების სფერო უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართოვდება. წარმატებით დაიწყო კიბერნეტიკული გამოკვლევანი ეკონომიკური ინფორმაციის სფეროში.

კიბერნეტიკის ცენტრალურ ცნებას „ინფორმაცია“ შეადგენს. იგი გულისხმობს კავშირს, რომელიც წარმოიშობა ობიექტებსა და მოვლენებს შორის და სიგნალების სახით გადაიცემა სპეციალური არხით. ამ სიგნალებს შორის არის ე. წ. „ბრძანებითი სიგნალი“ და „უკავშირო“. ამ უკანასკნელისაგან ცენტრი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სიგნალი მიღებული და შესრულებულია. „უკავშირო“ არხის მეშვეობით მიეცემა სიგნალი აგრეთვე ბრძანების შესრულების შედეგის შესახებ. უფრო მაღალი ტიპის ინფორმაცია გულისხმობს ისეთ მექანიზმს, რომელსაც უნარი შესწევს ფაქტიური შედეგი შეადაროს სასურველს. ასეთი მაღალი ტიპის ინფორმაციას სოციალისტურ ეკონომიკაში შეადგენს საგეგმო დავალებისა და მისი ფაქტიურად შესრულების მიმდინარეობის კონტროლი ზემდგომი ორგანოების მიერ ძირეული ორგანოების მიმართ.

თანამედროვე სახალხო მეურნეობაში კოლოსალურად არის განვითარებული სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ინფორმაცია.

მარტო ტრანსპორტზე ყოველწლიურად მუშავდება 1,3 მილიარდი ეკონომიკური ინფორმაციის ხასიათის დოკუმენტი, რისთვისაც საჭიროა 35 მილიარდი არითმეტიკული ოპერაცია. მოკავშირე რესპუბლიკების ყოველთვიური საინფორმაციო ანგარიშგება მოითხოვს 13 მილიონ გამოთვლით ოპერაციას. ამავე დროს, სპეციალური გაანგარიშებით დადგენილია, რომ 670 მილიონი გამოთვლითი ოპერაცია, ხელით მუშაობის პირობებში, საჭიროებს მილიონ ორასი ათას საათს, ანუ 546 კაცწელიწადს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უდრის 2.228 საშტატო მუშაკის სამი თვის შრომას.

სოციალისტური მეურნეობის პირობებში წარმოიშვა აგრეთვე სპეციალური გეგმური ინფორმაცია: პერსპექტიული, წლიური და ა. შ. როგორც მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, ასევე ცალკეული დარგებისა და პროდუქციის ძირითადი სახეების მიხედვით.

ეკონომიკური კიბერნეტიკა მოწოდებულია შეისწავლოს ეკონომიკური ინფორმაციის მიღების, შენახვის, გადამუშავებისა და გადაცემის მეთოდები. მისი მიზანია განსაზღვროს სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელი ეკონომიკური ინფორმაციის მოცულობა, გამოავლინოს ინფორმაციის მიღების ერთადერთი სარწმუნო წყარო, უზრუნველყოს მისი გადაცემა ერთიანი არხით. მან უნდა შექმნას სახალხო მეურნეობის გეგმიანი მართვის ისეთი კრიტერიუმების სისტემა, რომელიც, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისა და მოთხოვნათა შესაბამისად, წარმატებით უზრუნველყოფს ცვალებად პირობებში ნებისმიერი ეკონომიკური ამოცანის ოპტიმალურ გადაწყვეტას.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ეკონომიკური კიბერნეტიკა ფართოდ იყენებს მათემატიკურ მეთოდს, თანამედროვე ავტომატიკას, ელექტრონიკას, მმართველ დანადგარებსა და ელექტრო-გამომთვლელ მანქანებს. თანამედროვე ელექტრო-გამომთვლელ მანქანებს სამართლიანად უწოდებენ „მოაზროვნე“ მანქანებს. მათ შეუძლიათ „დაიმახსოვრონ“ და „დაამუშაონ“ კოლოსალური ციფრობრივი მასალა, სეკუნდში რამდენიმე ათასი მოქმედების სიჩქარით. მაგალითად, ელექტრომანქანა „ურალი-2“ 3–4 გამოცდილი მგეგმავ-ეკონომისტის რამდენიმე დღის სამუშაოს 2 წუთში ასრულებს. სწრაფგამომთვლელი ელექტრომანქანა საშუალებას გვაძლევს 3 დღეში შევადგინოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა, რასაც მრავალი ათასი გამოცდილი მუშაკი 3–4 თვეს ანდომებს. ელექტრომანქანები ასრულებენ არა მარტო არითმეტიკულ, არამედ ეკონომიკურ ოპერაციებსაც, შემდეგ კი ამ ოპერაციების შედეგებს ავტომატურად ბეჭდავენ ადვილად გამოსაყენებელი ფორმების სახით.

უნივერსალური ელქტრო-გამომთვლელი მანქანების გამოყენება მართვის პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, სწრაფად უზრუნველყოფს აქტუალური მეურნეობრივი ამოცანების ზუსტად გადაწყვეტას, სახალხო მეურნეობის ოპტიმალური ვარიანტის გეგმის შედგენას, რთული მეურნეობრივი კავშირების სრულად გამოსახვას ციფრობრივ მაჩვენებლებში. ამავე დროს, მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრაციულ-მმართველ პერსონალს. კიბერნეტიკის გამოყენების შედეგად 1965 წლისათვის სახალხო მეურნეობის მართვის სფეროდან 300 ათასი კაცი განთავისუფლდება.

სოციალისტური წყობილება განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობას ქმნის ეკონომიკური კიბერნეტიკის გამოყენებისათვის. კაპიტალიზმის პირობებში, სადაც გაბატონებულია „კომერციული საიდუმლოება“, ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს არაორგანიზებული ბაზარი, სასაქონლო ფონდის ბირჟა შეადგენს. კაპიტალისტური წარმოების პირობებში კიბერნეტიკის პრინციპების გამოყენება შეზღუდულია ერთი ფირმის ფარგლებით და კონკურენციის დამატებით იარაღს წარმოადგენს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, რძის მრეწველობაში შემუშავებულია კონკურენციული ბრძოლის მოდელი, რაც უფრო ამწვავებს წარმოების ანარქიას.

საბჭოთა კავშირში ამჟამად ფართოდ მიმდინარეობს ეკონომიკური კიბერნეტიკის გამოყენებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოები. იგი გულისხმობს, ერთის მხრივ სპეციალური ელექტრო-გამომთვლელი მანქანების კონსტრუირებას, მისი გამოყენების ორგანიზაციას ცალკეულ საწარმოებში, მეორეს მხრივ, ცენტრალიზებული, სადისტანციო გამოთვლითი სისტემის შექმნას მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით. ამ სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოფს ეკონომიკური ინფორმაციის მთელი ციკლის ავტომატიზაციას სახალხო მეურნეობის მართვის ძირეულ ორგანოებიდან უმაღლეს ორგანომდე.

კიბერნეტიკა, რომელიც მოწინავე საბჭოთა მეცნიერების ხელში კოსმოსის ათვისების თანამედროვე მეცნიერული იარაღია, ახლო მომავალში ჩვენი პლანეტის ყველაზე პროგრესული სისტემის — კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების სახალხო მეურნეობის მართვის მძლავრ საშუალებად გადაიქცევა.

გ. ფირცხალავა.

# ტურ ჰეიერდალი თბილისში



«კონ-ტიკი»

თხუთმეტი წლის წინ პერუს ნავსადგურ კალიაოდან ცხრა მორისაგან შეკრული ტივით — „კონ-ტიკით“ ექვსმა მამაცმა მოგზაურმა აღდგომის კუნძულს მიაღწია. ეს იყო სენსაციური ამბავი გეოგრაფიულ მოგზაურობათა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

რად დასჭირდა მამაც ექვსეულს 8.500 კილომეტრის გადაცურვა ძველ ინდიელთა პრიმიტიული ტივით?

წყნარი ოკეანის შუაგულში მდებარეობს 165 კვადრატული კილომეტრი ფართობის აღდგომის კუნძული. იგი სამხრეთ ამერიკის სანაპიროებიდან 3.500 კილომეტრითაა დაშორებული. ამ კუნძულის მოსახლეობის მატერიალური კულტურის ძეგლები სრულიად არ შეესაბამება წყნარი ოკეანის დიდ სივრცეზე გაფანტული კუნძულების (პოლინეზიის) მცხოვრებთა კულტურის დონეს. აღდგომის კუნძულზე არის ქვის 525 უზარმაზარი ქანდაკება, რომლებიც ვულკანური ქანებისაგანაა გამოთლილი. მეცნიერების წინაშე დაისვა კითხვა: ვინ გამოთალა ეს ქანდაკებები? საიდან მოვიდა ამ განმარტოებულ კუნძულზე მოსახლეობა?

ერთნი ამტკიცებდნენ, რომ აღდგომის კუნძულის მცხოვრებლები აზიის კონტინენტიდან მოვიდნენ. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ახალგაზრდა ნორვეგიელმა მეცნიერმა ტურ ჰეიერდალმა წამოაყენა ე. წ. „ამერიკული წარმოშობის თეორია“. ამ თეორიის მიხედვით აღდგომის კუნძულის მცხოვრებნი სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან უნდა მოსულიყვნენ.

თავისი თეორია პრაქტიკულად რომ დაემტკიცებინა, ტურ ჰეიერდალმა ბალსის ხის მორებისაგან დაამზადა ისეთი ტივი, როგორსაც ძველი ინდიელი ტომები იყენებდნენ ზღვაში მოგზაურობისათვის. თავის ხუთ მეგობართან ერთად გადაცურა წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი ნაწილი და აღდგომის კუნძულს მიაღწია. ამით ჰეიერდალმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ძველი ინდიელები საუკეთესო მეზღვაურები იყვნენ, კარგად იცოდნენ ზღვის დინება და ქარის მიმართულება, რაც მათ დიდ სამსახურს უწევდა ღია ზღვაში მოგზაურობებისათვის...

რამდენიმე დღის წინ „კონ-ტიკის“ გმირული ექსპედიციის ხელმძღვანელი ტურ ჰეიერდალი თბილისს ეწვია.

საპატიო სტუმარს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

— თქვენი ქვეყნის შესახებ ბევრი რამ კარგი მსმენია, მაგრამ აქ ნახულმა და განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, — თქვა მამაცმა მოგზაურმა, — მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს გულუხვი მასპინძლობისათვის. საქართველოში პირველად ვიყავი. კვლავ სიხარულით გეწვევით.



81



# მუზეუმი მიწისქვეშ

მზით განათებულ ოთახს არა ჰგავს, არც ნათურებით გაჩირაღდნებულ დარბაზს. ორი უბრალო, ვეებერთელა მიწისქვეშა სარდაფია — ოდნავ ბნელი და ნისლიანი; რაღაც თავისებურად მიმზიდველი და სურნელოვანი.

მყუდრო, თითქმის ნესტიანი კედლები... მტვრით დაფარული ბოთლები, ბოთლები... ბოთლებში ათეული წლების მანძილზე შენახული ფეროვანი ღვინო... ყველაფერი ეს საქართველოს მდიდარ კულტურაზე — მევენახეობის უძველეს ისტორიაზე მეტყველებს.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, როცა დღევანდელი სამტრესტის პირველი ღვინის ქარხანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა, ამ სარდაფების ისტორიაც მაშინ დაიწყო. იმ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ქართული ღვინოების მრავალფეროვან კოლექციას.

ქარხნის საკოლექციო განყოფილებაში ინახება, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოური ღვინო, არაყი და კონიაკი. ოცდახუთ მეტრზე ჩამწკრივებულა რკინის თაროები. თაროებზე ათასამდე მარკის ღვინით სავსე ასორმოცი ათასი ბოთლია.

გაალებ სარდაფის კარს და თვალს ვერ მოაშორებ იქაურობას: თითქოს მდიდარ ბიბლიოთეკაში შეხვედი. მხოლოდ აქ წიგნების ნაცვლად ბოთლებით დაუფარავთ თაროები. ყოველ ბოთლს თავისი ნომერი და პასპორტი აქვს.

თაროებთან საქმიანად ფუსფუსებს სანდომიანი სახის ჭაღარა ქალი. ეს პოლინა ხეცურიანია. აგერ ოცდაშვიდი წელია იგი ქართული ღვინის ღირსების საქმეს ემსახურება. ახლა საკოლექციო განყოფილება ჩააბარეს. ეს განყოფილება ერთგვარი ლაბორატორიაცაა: სისტემატური დაკვირვებები წარმოებს ღვინის გამძლეობასა და სიმაგრეზე. გამოცდილი მეღვინეც ხალისით განაგრძობს მუშაობას.

ქარხანა ყოველწლიურად ყველა სამარკო ღვინის ორას-ორას ბოთლს უმატებს კოლექციას, ახალი ნიმუშებით ავსებს მის თაროებს.

საინტერესოა, რომელი მარკის რამდენი წლის ღვინოები ინახება აქ?

აი, ქართული მიწის მადლი და ლაზათი, სუფრის მშვენება, საქვეყნოდ ცნობილი ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი ღვინოები: 1881 წელს დაწურული „მუხრანული“, „წინანდალი“ (1893 წ.), „მუკუზანი“ (1896 წ.), „ნაფარეული“ (1899 წ.), „თელიანი“, „ტიბაანი“, „ოჯალეში“, „ქინძმარაული“, „ხიხვი“, „სალხინო“, „ახაშენი“; 1750, 1790, 1862 და 1874 წლების ინგლისური ღვინო და არაყი, უნგრული და ფრანგული არაყი, ჩეხოსლოვაკური, ჩინური და ბულგარული ღვინოები, იტალიური „მარსალა“, ფრანგული „სოტერნე“ და „შატო-ლატური“.

საინტერესო ისტორია აქვს ნაპოლეონის სარდაფის 1812 წლის კონიაკს, ფრანგულ ღვინოებს: 1818 წლის „მადერას“, 1820 წლის „მალაგას“, 1858 წლის „მალვაზიას“, „ხერესს“ და პოლონურ ლიქიორ „პოლშას“.

ეს ნიმუშები დაცული ყოფილა გენერალ-ლეიტენანტ ვორონცოვ-დაშკოვის ღვინის კოლექციაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მისი კოლექცია ღვინის პირველ ქარხანას გადასცა.

სიამოვნებით მივყვებით თაროებს.

— რატომ არის ასე მტვრიანი ბოთლები? — ვეკითხებით ქარხნის მთავარ მეღვინე გური კანდელაკს.

— მტვერი ღვინის სიძველის დამახასიათებელი ნიშანია. ესეც არ იყოს, ბოთლების ოდნავი შერხევაც არ შეიძლება: ამდაბლებს ღვინის სიმაგრესა და გამძლეობას.

ათასობით მნახველი ჰყავს ყოველწლიურად ამ მიწისქვეშა მუზეუმს. მისი ხშირი სტუმრები არიან უცხოეთის ტურისტები. ეს შემთხვევითი როდია: უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო კონგრესზე და გამოფენებზე მოსკოვში, უნგრეთში, იუგოსლავიაში ქართულმა ღვინოებმა ოცდაორი ოქროს, ორმოცდათერთმეტი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოში — მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკურ ქვეყანაში, გაიმართება მევენახეთა და მეღვინეთა მეათე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ორმოცზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები, მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები და ღვინის ოსტატები.

კვლავ ბევრი სტუმარი ეწვევა მიწისქვეშა სარდაფებს, — ღვინის ამ მდიდარ საგანძურსა და ნამდვილ მუზეუმს.

ე. ასლამაზიშვილი.





— ედგარ, დროზე მორჩი! — კარებიდან შემოსძახა მისტერ მეიმ, ყასაბმა. — შენ ხომ კიდევ ორიოდე რაუნდი გელის შენს ბებერ ემმაკთან, სამიკიტნოში!

ასეც არის! ამ სამუშაოდან დაქანცული დაბრუნებული მამა ხშირად ზის ხოლმე სამიკიტნოში და სვამს. ედგარს არაერთხელ უშველია მამისათვის დანჯღრეული ფორანის შინ წაყვანა...

ყასაბის დაცინვამ ედგარს თვალებში ცრემლი გადმოადინა. სახე გაუხურდა, შიგნით კი თითქოს ყველაფერი გაეყინა.

ედგარი დარტყმებს აღარ გრძნობდა. იგი გაიმართა, თვალები ფართოდ გაალო და პირველად შეხედა სახეში სტორკის, პირდაპირ ცხვირის ფუძეში, სადაც დასცხებს ახლა ულმობლად. ირგვლივ ყველაფერი თითქოს ბურუსმა შთანთქა, სტორკის საზიზღარი სახის მეტი... და მან დაუწყო ცემა, ურტყა და ურტყა რბილ ცხვირში, ყურებში, შიშისაგან მოღრეცილ ყბებში.

— დასცხე, ედგარ! — აყვირდნენ მოუთმენლობისაგან აცუნცრუკებული მისი სეკუნდანტები.

მას არაფერი ესმოდა. ედგარს დაავიწყდა სტორკის რკინის მუშტები. იგი ისე უბრახუნებდა თავში, გეგონებოდა ცხვირში ლურსმნებს აჭედებსო. სტორკის ცხვირიდან სისხლი წასკდა, დარეტიანებული თავს იქნევდა და ხელები უმწეოდ გაეშვირა.

— დროა! — დაიყვირა ჯეიმსმა.

ედგარს არც მისი ხმა გაუგონია. წინ მიიწევდა. იძულებული გახდნენ კუთხეში ძალით მიეყვანათ. იქ სკამზე დაჯდა. ვერავის ხედავდა. დროს უცდიდა, როცა კვლავ შეძლებოდა დაეშინა მუშტები ამ დაწყევლილი ქალაქისათვის.

— უკანასკნელი რაუნდი და საქმეც მოთავდება! — გამოაცხადა ჯეიმსმა.

დამფრთხალი სტორკი რინგზე გამოვიდა. ედგარმა მის თვალებში შიში და ძრწოლვა შენიშნა. მიხვდა, სტორკი განადგურებულია. მაგრამ მას ის კი არ გახარებია, რომ მტერი დაამცირა. იგი ანგრევდა ქალაქს! მარჯვენა ხელით, მერე მარცხენათი, მერე ისევ მარჯვენით, ისევ მარცხენათი და ასე გაუთავებლად აყრიდა სტორკის ზედიზედ აპერკოტებს და სვინგებს. საპასუხო დარტყმებს კი ბუზებივით იგერიებდა. სტორკი ორად მოიკეცა, თავი ველარ შეიკავა და ღონემიხდილი ძირს ტომარასავით დაეხეთქა.

— გამარჯვება ედგარისაა! — ისმოდა ყოველი მხრიდან, თუმცა თვლის შემდეგ სტორკიმ მაინც მოახერხა ფეხზე წამოდგომა.

— ყოჩაღ, ედგარ! — აღფრთოვანებით გაიძახოდნენ მისი სეკუნდანტები.

გაისმა ზარის ხმა.

გატანჯული ედგარი ბაგირთან იდგა და სულს ძლივს ითქვამდა. მისთვის ახლა სულ ერთი იყო მატჩის ბედიც, დაბეგვილი სტორკიც და ჯეიმსის მომავალი ნახტომიც. იგი თუნდაც ახლავე შეებრძოლებოდა ნებისმიერს, იქ, გარაჟის კარებში რომ იდგა.

ჯეიმს კუგანი ყურადღებას არავის აქცევდა და თავის უბის წიგნაკს ჩაკირკიტებდა. შემდეგ მოწინააღმდეგენი რინგის შუაგულში გამოიძახა.

— მატჩის შედეგი... — მიმართა მან მაყურებლებს — მატჩი დამთავრდა ყაიმით. ხალხი ყრუდ აზრიალდა. ჯეიმსმა კვლავ ასწია ხელი.

— ეს ნიშნავს, — თქვა მან, თანაც პირველად გაიღიმა მთელი მატჩის განმავლობაში, — რომ კრივის ორივე მონაწილეს შეუძლია ჩაჯდეს ჩემთან მანქანაში, როდესაც მე ორშაბათს ჩემს ნახტომს შევასრულებ!

— ყოჩაღ. ჯეიმს, ყოჩაღ! — გაისმა შეძახილები.

ჯეიმს კუგანის სულგრძელობამ ყველას გული აუჩუყა. განა ბიჭები ცუდად იბრძოდნენ? განა ორივე არ იმსახურებს ჯილდოს? ჯეიმსი მობრუნდა, უნდოდა მოხვეოდა

(დასასრული. იხ. ჟ. „დროშა“ № 5).

# [illegible] ნახტომი

ჯეიმს ოლდრიჯი

მოთხრობა

მხატვარი ზ. ლეჟავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედგარისა და სტორკის. თანაც ეთქვა ხელი ჩამოართვით ერთმანეთს, შერიგდითო. ამ დროს ედგარმა თავის სეკუნდანტს პერანგი გამოსტაცა და გაქრა.

* * *

გათენდა ორშაბათი. გამოფენის ადგილი ცხვრებით, ცხენებით, ჭრელი კარვებით და მაყურებლებით გაივსო. ედგარი გათენებისას მივიდა. გამოფენის გახსნამდე დაათვალიერა ჯეიმს კუგანის ნახტომისათვის სპეციალურად დამზადებული კალაპოტი. იგი სარბენ ბილიკზე კი არ მოათავსეს, სადაც დოღი და მარულა უნდა გამართულიყო, არამედ იპოდრომის ცენტრში.

მაინც როგორ მოიქცეს? ჩაჯდეს მანქანაში ჯეიმსთან ერთად თუ არა? ამ კითხვებზე ედგარს პასუხი ვერ მოენახა. ერთი იცოდა მხოლოდ: თუ სტორკი გუშინდელი „ყაიმით“ მოპოვებულ ჯილდოს მისაღებად გამოცხადდებოდა, ედგარიც იძულებული იქნებოდა იგივე გაეკეთებინა.

გამოფენა გაიხსნა. ხალხმა იმატა.

თერთმეტის ნახევარზე ჯეიმს კუგანი გამოჩნდა თავისი „ვილის-ნაიტით“. სარბენ ბილიკზე გამოვიდა და საპატიო წრე შემოუარა. ყვირილითა და ტაშით შეეგებნენ.

ჯეიმსი საჭესთან იჯდა. როგორც ყოველთვის, ლურჯი კომბინეზონი ეცვა. მაყურებლებს უქნევდა ხელს და იღიმებოდა მისთვის ჩვეული დაბნეული ღიმილით.

— შეშლილს არა ჰგავს? — შენიშნავდნენ ჩამოსულები.

ისინი ჯეიმს კუგანს არ იცნობდნენ. ჯეიმსი მეოცნებე გახლდათ. „ეს ქვეყანა არც ისე ცუდია!“ ამბობდა იგი ღიმილითა და უშფოთველი სიმშვიდით.

ვინც კი გამოფენის მინდორზე იყო; სხვა გასართობი მიატოვა იმისთვის, რომ არნახული მოვლენა — სალტომორტალე ენახა, რომელსაც ადამიანი ავტომანქანით ჰაერში შეასრულებდა. ხის კალაპოტი მჭიდროდ მიუახლოვეს სარბენ ბილიკს და ჯეიმსმა თვითონ გასინჯა მისი დადგმულობა. სარბენი ბილიკის მიწა კალაპოტის გარშემო წყლით მორწყეს. ჯეიმსმა დინჯად შემოიარა მთელი კალაპოტი და ჩაქუჩით დაამაგრა მორყეული ლურსმნები.

თერთმეტს ხუთი წუთი აკლდა. ახლოვდებოდა ნანატრი წუთი.

— ეი, ედგარ! როგორ არის საქმე? გგონია მალაყს უხიფათოდ დაამთავრებთ?

ეს მისტერ პული იყო, ფოსტის უფროსი.

ცხვრის ფარეხთან თავშეფარებულ ედგარს ეგონა ვერავინ შეამჩნევდა, თვითონ კი ყველაფერს დაინახავდა. მისტერ პულის შეძახილმა შეაკრთო. არაფერი უპასუხა. იმ ადგილს მოცილდა და მაყურებელთა უკანა რიგებს შეერია. მაგრამ სულ წასვლა არ შეიძლებოდა: ერთიც ვნახოთ სტორკი სტორკისონი უკანასკნელ წამს გამოჩნდეს და ჯეიმსის მანქანისაკენ საზეიმოდ გაემართოს! ედგარი ენერგიულად ამოძრავებდა იდაყვებს, ძვრებოდა ფეხებქვეშ და კვლავ წინ მიიწევდა.

შვებით ამოისუნთქა. სტორკი არსად ჩანდა. ჯეიმსი უკვე თავისი მანქანის წინა სკამზე იჯდა და მოუთმენლად იცქირებოდა ირგვლივ. ნუთუ თავის თანამგზავრებს ელოდება?

ედგარს უეცარი ტალღასავით მოუარა სურვილმა მიერბინა ჯეიმსთან და მის გვერდით დამჯდარიყო. უკვე წადგა წინ ნაბიჯი. უმალვე უკან დაიხია. მეგაფონიანმა კაცმა რაღაც გადაულაპარაკა ჯეიმს და შემდეგ მისი ხმა მთელ მოედანს მოეფინა:

— ბიჭები, რომლებსაც სურდათ ჯეიმს კუგანს შეერთებოდნენ, არენის შუაგულში გამოვიდნენ!

ედგარი სწრაფად ჩაჯდა ცხვრების საკვების ყუთს უკან. თვალებით ფრთხილად დარაჯობდა არენას: ნეტა რას იზამს სტორკი სტორკისონი? „ქალაქელი“ სტორკი მაინც არ ჩანდა. რასაკვირველია, ის ლაჩარია! ედგარი კვლავ დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო. გავიდეს მარტო? არა, ცხოვრებამ მას ბევრი რამ ასწავლა. ცხოვრების ეს გაკვეთილი მხრებზე მძიმედ აწვა და თავის ადგილზე აჩერებდა.

ჯეიმს კუგანმა ხელი ასწია. აი იგი თავის სასიკვდილო მოგზაურობაში გაემგზავრება, გაემგზავრება მარტო...

ჩართო „ვილის-ნაიტის“ სტარტერი და მანქანა მხიარული გუგუნით დაიძრა ადგილიდან. სარბენ ბილიკზე ჯეიმსი შეჩერდა. თავზე საავარიო მუზარადი დაიხურა. ედგარმა ეს რომ დაინახა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

პისტოლეტის გასროლის ხმა და მანქანა გაქანდა. ჯეიმს ორი წრე უნდა გაეკეთებინა, ვიდრე მანქანა ხის კალაპოტზე შევიდოდა. კვლავინდებურად გამართული იჯდა და მანქანა ისე მიყავდა, თითქოს შოსეზე მისრიალებსო.

უეცრად გზაზე ძაღლი გამოვარდა. მთელი სისწრაფით გაქანებულ ჯეიმს, ძაღლი რომ არ გაეტანა, მოუხდა განზე მოულოდნელი და მკვეთრი ვირაჟის გაკეთება.

ხალხმა ამოიგმინა.

ჯეიმს თავიც არ მოუბრუნებია. გაასწორა მანქანა, ხელი დაუქნია ხალხს და გაზს მოუმატა. როდესაც მეორე წრეს ამთავრებდა, იპოდრომზე სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

აი ჯეიმსი გრიგალივით შეიჭრა კალაპოტზე. „ვილის-ნაიტი“ ელვის სისწრაფით ჯერ ქვემოთ დაცურდა, შემდეგ ზემოთ ავარდა, ბორბლები კალაპოტს მოსწყდა და მანქანა ცისკენ გაფრინდა. ეს საუცხოო სანახავი იყო!

შემდეგ მოხდა რაღაც ისეთი, რისი დანახვაც თვალით არც ერთ მაყურებელს არ შეეძლო: სილით სავსე ერთი ტომარა გადმოვარდა, თითქოს უკანა მხრიდან კი არა, გვერდიდან. გაფრენილი „ვილის-ნაიტი“ მარცხნივ გადაიხარა, იმავე მხარეს გადაბრუნდა და გრუხუნით დაენარცხა მიწას.

ასობით ადამიანი მიაწყდა ავარიის ადგილს.

მათ შორის ედგარიც.

მანქანამ ჯეიმსი ქვეშ მოიყოლია. ძრავა ისევ მუშაობდა. ბორბლები ბრუნავდნენ. მოხალისეებმა სწრაფად ასწიეს დამსხვრეული მანქანა და ბორბლებზე დააყენეს. ჯეიმსი პირქვე ეგდო. გრძნობა ჯერ არ დაკარგვოდა, მაგრამ საშინლად იყო დასახიჩრებული. ბაგეებზე თანდათან უკვდებოდა ღიმილი. საჭის ბორბლის ნატეხი მკერდში შესობოდა.

ედგარს მოეჩვენა, რომ ირგვლივ სიცოცხლის ყველა სალებავი მიმქრალა და ყველაფერი რუხ საბურველს მოუცავს.

პოლიციელები წინ არ უშვებდნენ ხალხს, „სასწრაფო დახმარების“ კარეტა წივილით მოვარდა. ჯეიმსი წაიყვანეს.

— ამის მიზეზი ძაღლია — თქვა ჯეიმს კუგანის მოქიშპე გარაჟის მფლობელმა მისტერ კოკსმა და თავი სინანულით გაიქნია. — როდესაც ჯეიმსმა მოუხვია ძაღლისათვის გვერდის ასავლელად, სილიანმა ტომრებმა, ეტყობა, მარცხნივ გადაინაცვლეს. ხოლო, როცა ის ჰაერში აიჭრა, მათ მანქანა მარცხენა მხარეს გადაწონეს. გარდა ამისა, მხოლოდ ერთი ტომარა გადმოვარდა.

ედგარი დიდხანს დასჩერებოდა ამ წყეულ ტომრებს.
ისინი ვიღაცას ისევ დამტვრეული მანქანის უკანა სკამზე დაეწყო. ფიქრობდა: რატომ სწირავენ ადამიანები სიცოცხლეს ასე ფუჭად? რატომ დაჭირდა ჯეიმს კუგანს ჩაედინა ასეთი უაზრო და საშინელი საქმე?

ფიქრებში ჩაფლულმა ედგარმა უცბად ვერც იცნო მის წინ გაშეშებული სტორკი სტორკისონი. ეს ნამდვილად სტორკი იყო, თავისი ფანელის სპორტული ქურთუკით და გულდაგულ შეკრეჭილი თმებით.

ბიჭებმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. —
„ლაჩარო“ — თითქოს ამბობდნენ მათი თვალები. მაგრამ მათგან შეიძლებოდა ესეც ამოგეკითხათ: „ბედზე გადავრჩით!“ „საბრალო ჯეიმსი!“.

სალამოს შინ მიმავალმა ედგარმა მისის ფლენინგენისაგან გაიგო, რომ ჯეიმს კუგანმა თავისი საბედისწერო ნახტომის შემდეგ მხოლოდ ერთი საათი იცოცხლა. ედგარი ატირდა. მერე თავში მწარე აზრმა გაუელვა: მან და სტორკი სტორკისონმა ჯეიმსი მძიმე წამს მიატოვეს. ეს აზრი უმალ უარყო. ჯეიმსი ედგარსა და სტორკის მაინც არ დასვამდა მანქანაში. ჯეიმს კუგანს ჭირდებოდა მხოლოდ მათი „ლანდები“, მხოლოდ თანამგზავრთა სახეები მის სახიფათო მოგზაურობაში. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი ძალზე ეულად იგრძნობდა თავს. ახლა უკვე გვიან იყო ყოველივე ამაზე ფიქრი.

და ედგარმა გადაწყვიტა, რომ მას, ალბათ, მუდამ სინანულით ემახსოვრება ჯეიმს კუგანის ცნობილი ნახტომი.

თარგმნა ზურაბ ოგოლაძემ.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა





ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ღრუბლებზე თავდასხმა



წინათ თითქმის ყოველ წელიწადს საქართველოში ასობით ჰექტარი ვენახი ისეტყვებოდა. სეტყვას დიდი ზარალი მოჰქონდა ჩვენი რესპუბლიკისათვის.

თელავში შეიქმნა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან არსებული სეტყვასთან მებრძოლი განყოფილება. ამ განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა საუცხოო წარმატებებს მიაღწია.

დახედეთ ამ ფოტოებს:

სამთო პუნქტში ვერტმფრენით მოზიდულია ყველაფერი სეტყვასთან საბრძოლველად.

სინოპტიკოსთა შტაბი ამუშავებს სეტყვის ღრუბლის მოძრაობის სქემას.

სპეციალური ლოკატორი ადგენს სეტყვის ღრუბლის ადგილმდებარეობას.

გაიცა ბრძანება და რაკეტა გაემართა ღრუბლისკენ.

ფოტო ე. პესოვისა.





# ზუსტად 8 საათზე ჩვენი დროით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვებე დუმბავა

მხატვარი ჯ. ლოლუა.

თუ თქვენ არ იცნობთ ამ ახალგაზრდას (რა თქმა უნდა, გარეგნულად), უთუოდ იფიქრებთ, რომ მოუამული ხასიათისაა და სიცილთანაც მწყრალადაა... მაგრამ სწორედ აქ მარცხდება ფოტოგრაფიული ხელოვნება. აბა, აამეტყველეთ ეს ფოტოსურათი. მაშინ იგი იმ წამსვე გიპასუხებთ: „ნოდარ დ-მბაძე, იგივე ჯვებე დუმბავა". ეს კი სრულიად მარისია იმისათვის, რომ თქვენ მოგაგონდეთ ხალალმხატვრულად და მახვილგონივრულად დაწერილი მისი მრავალი ფელეტონი, მისი მოთხრობა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". თქვენ უკვე იცით: ამ კაცს იუმორისა და სიცილის გარეშე ისევე არ შეუძლია არსებობა, როგორც თევზს უწყლოდ, ადამიანს უჰაეროდ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბებიამ, ილიკომ, ილარიონმა, ზურიკელამ, მერიმ და მურადამ მთელი საქართველო შემოიარეს (ჩოხატაურზე არაფერს ვიტყვით, რადგან ისინი იქაური მკვიდრები არიან).

ამბობენ, ზურიკელა ვაშალომიძეს, თავისიანებთან ერთად, ჯერ კიდევ მუხლები არ დაღლია და უფრო შორეული მოგზაურობისათვის ემზადებაო. გზა მშვიდობისა, ზურიკელა!..

სიხარული პირველად ტუჩებსა და თვალებს დაეტყობა: თვალები ბრწყინავენ, ტუჩები იღიმებიან. ზურიკელას შემყურე ჯვებე დუმბავასაც ასე დაემართა. და თუ იგი ამ ფოტოსურათზე დაღვრემილია, მიზეზი მხოლოდ ერთია: მისი ახალი რომანი „მე ვხედავ მზეს"; ფიქრი იმაზე, თუ რა განაჩენს გამოუტანს ამ რომანს კრიტიკა?!

ყოველ შემთხვევაში, ნოდარ დუმბაძეს არ უყვარს გაურკვევლობა. თორემ ისე გული არც თუ სუსტი აქვს და მოწონება-დაწუნებას, ერთნაირად, ხატიასავით გაღიმებული შეხვდება. ამიტომ, ალბათ, მალე დაუბრუნდება ღიმილი. ხოლო რამდენად ხუმრობის ხასიათზეა ჯვებე დუმბავა, ამას მისი ეს ფელეტონი გეტყვით.

პატარაზე გაუღეს თუ არა კარი, ევროპა თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა წინა აზიაში: მოკლე კაბებით, ვიწრო შარვლებით, მოკასინებით, შეკრეჭილი და სტაფილოს ფერად შეღებილი თმებით, წვრილი ქუსლებით, მცირე გაბარიტიანი ავეჯით, მაგნიტოფონებით, ლუი ამსტრონგებითა და ჩაო-ჩაო ბამბინოებით. მე კი „მოპრმა" რომ მამაჩემს ოცდარვა წელს არტელ „ანტიბურჟუის" მიერ გამოშვებული პატეფონი აჩუქა, ისევ ის მიდგას სახლში. კარგია მერე ეს?

ევროპაში ნამყოფი ჩემი მეგობრები დილით თურქული ყავითა და OC-ის მარკის კონიაკებით საუზმობენ. მე კი ისევ მურაბიანი ჩაითა და ცეკავშირის ყველით ვსაუზმობ.

ჩემი ამხანაგები ისეთი ვიწრო შარვლებით დადიან, ორი კაცი ეხმარებათ გაძრობაში. მე კი ქამარს რომ შევიხსნი, მისით მძვრება. კარგია მერე ეს? რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ იმედი მაქვს ამ მოთხრობის შემდეგ გამოვსწორდები, რადგან ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებს გარკვეული აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს თვით ავტორისთვისაც.

ვიოლა კავშირგაბმულობის სახლის წინ შემხვდა. ამათვალიერ-ჩამათვალიერა. ქალს რომ კაცი შეეცოდება, ისე გამიღიმა, და მკითხა:

— დღეს საღამოს თავისუფალი ხარ?

— კი, რა იყო?

— გამოიცვალე აბა ეგ ტომარა, წვერი გაიპარსე და მოდი ჩემთან.

— რაშია საქმე?

— პატარა სვეტსკი ვახშამი მაქვს.

— ვინ იქნება?

— ერთად ვიმოგზაურეთ ევროპის გარშემო. მოკლედ, მოხვალ და ნახავ.

— კარგი, ბატონო!

— არ დამიწყო ახლა ქართული ნომრები, კაცს რომ დილას დაპატიჟებ და ღამის ორ საათზე მოგადგება ძმაკაცებით. საღამოს რვა საათზე ზუსტად.

— ჩვენი დროით?

— ჩვენი დროით!

— კი ბატონო!

— აბა, ჩაო!..

— რაო?

— ნახვამდის!..

— ნახვამდის!..

იგი წავიდა წელის ირიბი რხევით და იქვე კედელზე აყუდებული ვიღაც მუტრუკის ღმუილი და მკერდზე მჯიღის ბრახუნი დაიმსახურა.

კაცი რომ ვახშამზე დაგპატიჟებს და გამაძღარი ყსტუმრები, ამაზე დიდი სიბრიყვე და სისულელე ქვეყნად წარმოუდგენელია. მართალია, არც მთლად წაქცევაზე მისვლავარგა, მაგრამ კარგა გვარიანად მოშიებული კი უნდა იყო. ამ ტრადიციით აღზრდილი მივადექი ვიოლას ბინას ზუსტად საღამოს რვა საათზე. ვიოლას მისაღებ ოთახში, სკანდინავიის ქვეყნების მცირე გამონაკლისს გარდა, სამხრეთ-დასავლეთი ევროპა სუფევდა.

— თენგიზ, აცეკვე! ხომ ხედავ ბიჭები არ გვყოფნის, — მისვლისთანავე შემაჩეჩა ვიოლამ თავისი მეგობარი და ჩვენ საოცრად მინორული ბლიუზის ტაქტზე შუა ოთახში შევცურეთ. იგი ცეკვავდა ნაზად და თვალს არ მაცილებდა. მე ვცეკვავდი უხეშად და თვალს ვარიდებდი. მას ფრანგული სუნამოს „კოტის" სურნელი ასდიოდა, მე — საავიაციო ბენზინისა.

— თქვენ რა გქვიათ? — მკითხა მან და ფილტრიანი სიგარეტის იისფერი კვამლი შემომაბოლა.

— მე თენგიზი, თქვენ? — ვკითხე მე და პრიმის შავი კვამლი მივაფუტე.

— მე თათია. თქვენ ევროპაში ხართ ნამყოფი:

— არა, თქვენ?

— ო, მე გარშემო.

— რატომ, შიგ არ გიშვებდნენ?

— ასტრაუმნო!.. — გამიღიმა მან, საჩვენებელი თითი ცხვირზე დამაჭირა. — ზრრრრ... — დარეკა და გადაიკისკისა.

— თქვენ თმებს იღებავთ? — ვკითხე მე და თმაზე ხელი გადავუსვი.

— ო, არა. ზღვაზე გამიხუნდა, თქვენ?

— რა მე?

— ასე შავი თმა რატომ გაქვთ?

— შავ ზღვაზე გამიშავდა.

— ასტრაუმნო!.. — გაიღიმა მან ისევ, ისევ აწია საჩვენებელი თითი და ისევ უნდოდა ჩემს ცხვირზე ზარი დაერეკა, მაგრამ ბლიუზი შეწყდა და მე მადლობის ნიშნად თავი დავუკარი. თათიას თითი შუბლზე მომხვდა. ორთავეს გაგვეცინა. ცეკვა შეწყდა. ორნი სავარძლებში ჩავესვენეთ. სალონური საუბარი ჩემს პირდაპირ მჯდომმა შიომ დაიწყო...

— წაიკითხეთ მერაბ ფხალაძის ლექსები?

— გამოვიდა? — იკითხა ვიოლამ.

— ვგიჟდები მაგ ბიჭზე, ფრანგულ მინიატურებს მაგონებს... — თქვა თათიამ.

— ის რა გვარია, კარგ მოთხრობებს რომ წერს და რომ არ უბეჭდავენ? — ვერ გაიხსენა ლულუმ.

— მასეთი რამდენიც გინდა იმდენია. შენ რომელს ამბობ? — ჰკითხა ბენომ.

— აი ის, წვერგაუპარსავი, თმადაუვარცხნელი და ჭიპამდე პერანგჩახსნილი რომ დადის. ძალიან აბსტრაქტულ რაღაცეებს წერს, კონკრეტულობაში.

— სტეინბეკი თუ წაიკითხეთ ბოლო? — გვკითხა ვიოლამ.

— ისე გადავხედე და მართალი გითხრა სადღაც, რაღაცაში ძალიან ისეთია... პრინციპში, მე მაგალითად ის უფრო მომწონს. რა ქვია? აი ის, კინოც რომ გადაიღეს მერე, დიდი თევზი რომ დაიჭირა და... წვერები რომ აქვს. თოფი რომ გაუვარდა, — ტუჩი მოიკვნიტა შიომ.

— ჰემინგუეი! — გამოვიცანი მე. ლულუს დედამ კალენტი ბიცოლამ კონიაკი შემოიტანა და მაგიდაზე პატარა სათითურებს შორის ჩადგა.

— კონიაკზე გამახსენდა, რემარკზე რას იტყვით? — გვკითხა თათიამ და თვალები მოწურა გამომცდელად.

რემარკზე ყველამ ვთქვით, რომ იგი ძალიან ბევრს წერს კონიაკზე, რომ იგი სადღაც რაღაცაში იმას გავს, რა ჰქვია იმას?.. ის რომ დაწერა, სულ რომ სვამენ და ესპანეთში რომ არიან, ლოთი ქალი რომ არის, ხარებს რომ ეჩხუბებიან იმაზე, რა ჰქვია იმას? ჰოდა, იმას გავს სადღაც რაღაცაში. მერე ბენომ პარიზში მიღებული შთაბეჭდილებები მიამბო.

— პარიზში არ ყოფილხარ? — მკითხა მან.

— პარიზში არა, — დავიმორცხვე ისე, თითქოს მოსკოვში ვყოფილიყავი ნამყოფი.

— გახსოვთ, გოგოებო, სტოკჰოლმიდან კოპენჰაგენზე გავლით პარიზში რომ ჩავედით? — გოგოებს ახსოვდათ.

— სასტუმროდან პირდაპირ უნივერმაღში გავქანდით. ლუვრის ახლოს რომაა... „ბო მორშე"...

— მერე? — მომკლა ცნობისმოყვარეობამ.

— მერე, ვეკითხები გამყიდველს, — ნეილონის საროჩკა არ გაქვს — მეთქი?

— აუჰ! — გამიკვირდა მე.

— კეს კე ვუ ვულე? — მკითხა გამყიდველმა.

— რაო, რა მინდაო?

— ვიცი და არ გეუბნები? ვიმეორებ საროჩკა, საროჩკა...

— ვას ვოლენ ზი? — მეკითხება ისევ.

— სა-როჩ-კა, — დავუმარცვლე მე

— უოტ დუ იუ ლაიკ? — მეკითხება კიდევ და შტერივით მიყურებს.

— კი მაგრამ, რუსული არ იცოდა იმ უპატრონომ? — გავბრაზდი მე.

— რუსული კი არა, ის მოთხოვე ახლა გამყიდველს! — გაეცინა ლულუს.

— ვაი, სირცხვილო?! — გავწითლდი მე.

— აბა, ბიჭო, მოკვდა სირცხვილით. მაგათ არაფრის არ ცხვენიათ, — თქვა თათიამ.

— მერე, მერე? — გამომელია მოთმინება.

— მერე რა, სანამ არ შემოვიხიეთ ტანზე, ვერ გავაგებინეთ, ასე არ იყო, გოგოებო? — დაამთავრა საინტერესო ამბავი ბენომ.

— მიკვირს, როგორ ნიშნავენ ისეთ ხალხს გამყიდველად ერთი ხუთი ენა მაინც თუ არ იცის! — განცვიფრებით აიჩეჩა მხრები ვიოლამ და მაგიდასთან მიგვიპატიჟა. შიომ სათითურები შეავსო, ვიოლამ თითო ფინჯანი შავი ყავა დაგვიდგა და ხუთმა კაცმა ერთად გავაქანეთ ხელი პაპიროსის ქაღალდივით სიფრიფანად დაჭრილი ნამცხვრისაკენ. ნამცხვარი გაქრა. მოიტანეს მეორე წყება. ყავას სასიამოვნო ოხშივარი ასდიოდა და მისი სურნელი ნესტოებიდან პირდაპირ მშიერ კუჭში მიექანებოდა ძლიერი ჭავლით.

— ხელოვნებას გაუმარჯოს იმ ასპექტში, ჩვენზე რომ დიდ ემოციურ იმას ახდენს სადღაც რაღაცაში. რა თქმა უნდა, ინტელექტუალურად, — თქვა შიომ და სათითე პირში გადაიძახა.

კონიაკი გადაჰკრა და თვალები ააპარპალა.

— უუჰ, პიკასო! — გაასავსავა ხელები თათიამ, მერე კონიაკი გადაჰკრა და თვალები ააპალპალა.

— წარმოგიდგენიათ, ბებერია და ისევ ხატავს. ოჰ, მაგის მათხოვარი! — ამოიოხრა ვიოლამ. ლულუმაც ამოიოხრა, მაგრამ არაფერი არა თქვა, მხოლოდ თავი გა-



იქნია, — არ გამახსენოთო, და ნამცხვრის უკანასკნელი ნაჭერი დაითრია.

— ერთი ყავა თუ შეიძლება კიდევ ვიოლა, — შეუკვეთა თათიამ და განაგრძო.

— ჭურში ვზივართ, გენაცვალე. ევროპას ყავით უდგას სული, აბა ჩვენ რომ მივუსხდებით მაგიდას ღორებივით და ვშთანთქავთ; ეს კატლეტით, საცივით, მწვადით, ტოლმათ, სუკით, შემწვარი სულუგუნით, ბორშით, ჭყინტი ლობიოვთ...

მუშტის ხელა ნერწყვი გადავყლაპე და თათიას მუდარით სავსე თვალები მივაშტერე — გეყოფა, ნუ შემშლი ჭკუაზე-მეთქი, თათია განაგრძობდა.

— ეჰ, ევროპა, ევროპა. შეხვალ კაფეში, გენაცვალე, და სადაა პური? — ეს უკვე ზედმეტი იყო.

პურის ხსენებაზე ენაზე დამბლა დამეცა, კისრის ძარღვები დაწყვეტამდე დამეჭიმა და პავლოვისეული რეფლექსები ერთად ებდღვნენ ჩემს ლიმფურ თუ სანერწყვე ჯირკვლებს.

— ამიტომ არიან, გენაცვალე, ტანადები და ფეხადები. ნახე ბარდო, ნახე სილვანა, ნახე მერლინ მონრო და სოფია ლორენი, — თქვა ლულუმ, მერე ცარიელ თეფშზე ნეკით შეაგროვა ნამცხვრის ნამცეცები და მოურიდებულად ჩაიყარა პირში.

— ცივილიზაცია, გენაცვალე, ცივილიზაცია... როდის მივალთ იქამდე, პაპუასები ვართ, ნამდვილი პაპუასები, როგორც მიკლუხო იტყოდა მაკლაი პაპუა...

— პური! — დავიკვნესე მე.

— რა?! — მკითხა გაკვირვებულმა ვიოლამ.

— პატარა ნაჭერი პური და ყველი, თორემ გული წამივა, მშიერი ვარ წამოსული.

სალონში უკმაყოფილო და დამცინავი ჩურჩული ატყდა. ვიოლა სამზარეულოში გავიდა და იქიდან გამხმარი პურის ყუა და გაქვავებული ყველის ნაჭერი გამომიტანა.

—უკაცრავად, თენგიზ, ხადილი არ გაგვიკეთებია, არც მეგონა...

— რას ამბობ, ვიოლა! — დავამშვიდე მე და პურს ვებდღვენი.

თათიამ ვერ გაუძლო ჩემს ყურებას, ადგა და მაგნიტოფონი ჩართო, „ო ჯეკი ჯოო" — ააყოლა ჩემს ყბებს მაგნიტოფონმა. შუაზე რომ დავიყვანე პური და ყველი, თათია გვერდით მომიჯდა და მორიდებით მკითხა:

— ძალიან გამხმარია პური?

— არა უშავს! — ვუპასუხე მე ისე, რომ ყბა არ გამიჩერებია.

— აბა მაჩვენე! — მთხოვა თათიამ. მე პური მივაწოდე. თათიამ პური ჩაკბიჩა და აღარ დაუბრუნებია.

— არაფერიც, სულ არ არის გამხმარი, ყველი მომიტეხე რა? — მოვუტეხე.

— მართლა არ არის გამხმარი? — იკითხა ლულუმ.
— აბა მაჩვენე?!.

თათიამ აჩვენა.

— ვა, მართლა არ ყოფილა გამხმარი! — გაუკვირდა ლულუს.

— მართლა? — გაუკვირდა ბენოსაც, მაგრამ საჩვენებელი პური აღარ იყო.

— ვიოლა, ნახე ერთი, თუ ქალი ხარ, სამზარეულოში იქნებ არის კიდევ პური! — შეეხვეწა შიო.

— ვაიმე, რა ვქნა, რომ არ არის, რაღაც ძველი პურები მიწყვია ქვაბში მერძევის ძროხისათვის.

— მოიტა, კაცო, მერძევის ძროხა მოიცდის! — აიქნია ხელი ბენომ. ვიოლამ პური ქვაბით შემოიტანა

„ო ჯეკი ჯოო" იქაჩება მაგნიტოფონი. — პატარა მომიტეხეთ, — ვიქაჩები მეც.

— ვიოლა, ნახე ერთი, ყველი აღარ არის?

— ვიოლა, ბოლოკი ან ნიორი არა გაქვთ?

— ხახვი და მარილი წამოიღე, ვიოლა!

— უჰ, შენ აგაშენა ღმერთმა, ეს ტყემალი მკვდარს გააცოცხლებს.

— დამარტყი, თუ ძმა ხარ, ზურგში ხელი, გულზე დამეცა, — მთხოვა თათიამ და ზურგი მომიშვირა.

— ღვინო არა გაქვს, ვიოლა, ერთი ბოთლი?

— ვაიმე, რა ვქნა, ჭანგიანია.

— მოიტა, კაცო. გაავსე, თუ ძმა ხარ, ჩაის ჭიქა.

წაიღე, თუ ქალი ხარ, ეს სათითურები, — დადგა თამადად ბენო.

— ამ ყავას რა ვუყო? — სასოწარკვეთილებით თქვა ვიოლამ.

— გააცივე და მერძევის ძროხას შეუნახე, კალორიებს მოუმატებს, — დაარიგა შიომ.

მე ჩაის ჭიქები შევავსე. კალენტი ბიცოლამ, ქრისტემ რომ უდაბნოში სასწაული ჩაიდინა, იმაზე უარესი ქნა, მაგიდაზე თახთახა ხაჭაპური დადო და მორცხვად დაჯდა ოთახის კუთხეში. „ჩაო ჩაო, ბამბინო", გვემშვიდობებოდა მაგნიტოფონი.

— გამორთიშე, თუ ძმა ხარ, ეს შობელძაღლი, ახლა ვიწყებ მე ქეიფს, „თბილისო" არ გაქვთ? — წამოდგა ბენო.

— თბილისო არა, კვკელა და შარო მაქვს, — დაიმორცხვა ვიოლამ.

— დაუკარი, მაგის რჯულიც არ იყოს, აბა კალენტი ბიცოლას გაუმარჯოს! მიდი ჰო!..

— იცოცხლეთ შვილებო....



# მდუმარე მჭევრმეტყველება

მიმი უნო მსახიობია. მისი ხელოვნება უსიტყვო და უხმოა, მაგრამ მის მიერ გადმოცემული მუნჯი სცენები იმდენად ადამიანურია, რომ სიტყვები უცებ ზედმეტი ხდება. სიტყვების ადგილს იკავებს ადამიანური ჟესტების გამა, ალეგორიული, უაღრესად დახვეწილი და გამომხატველი.

ჟესტები ყველგანაა: შრომაშიც და ზეიმზეც, სიყვარულშიც და ღრმა დაფიქრების წუთებშიც. ჟესტი მისალმებაა, ალერსია, მოწოდებაა. იგი ადათ-წესივითაა — დროთა მანძილზე ზოგი ქრება, ზოგიც საუკუნეობით ცოცხლობს. მაგალითად, ფეოდალიზმის დამხობის შემდეგ მისი ცერემონიული, მდაბლური თავდაკვრები მარტო თეატრალურ სცენებს თუ შემორჩა. მათ მაგივრად ცხოვრებაში შემოვიდა უბრალო, „დემოკრატიული" ხელის ჩამორთმევა. უნდა ითქვას, იგი ყველაზე ბუნებრივი და ძველი მისასალმებელი ჟესტია. ყოველ შემთხვევაში, ჰომეროსს თუ დავუჯერებთ, ჯერ კიდევ უძველესი ბერძნები ესალმებოდნენ ერთმანეთს გოლიათური ხელის ჩამორთმევით.

მრავალი მისასალმებელი ჟესტი აქვთ ოკეანის კუნძულების მოსახლეობას. მაორის ტომის ადამიანებიც ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით ესალმებიან. ეს მათ არასაკმარისად მიაჩნიათ მეგობრული გრძნობის გამოსახატავად და ერთმანეთს დამატებით ცხვირს ცხვირზეც უხახუნებენ.

განსაკუთრებით საინტერესოა აფრიკის ხალხთა ადათ-წესები. ზრდილობიანი ნიგერიელი ხელის ჩამორთმევის დროს ხელზე მორიდებით დაგიკაკუნებთ დიდი თითით. კონგოელები ორივე ხელს უწვდიან ერთმანეთს და ზედ რიგრიგობით ალერსიანად უბერავენ სულს. ტანგანიკის მცხოვრებნი ერთიმეორეს მუცელზე წაუტყაპუნებენ, ერთად შემოჰკრავენ ტაშს და მხოლოდ ამის შემდეგ ართმევენ ხელს ერთმანეთს. მხარზე ხელის დარტყმა მისალმების ნიშნად გავრცელებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ეს ჟესტი განსაკუთრებით უყვართ ამერიკელებს.

მისალმების გარდა, ჟესტები გამოიყენება საუბარშიც. სასაუბრო ჟესტები ადამიანთა ურთიერთობის უძველესი საშუალებაა და დღემდე ინარჩუნებს თავის სიცხოველეს.

ჟესტების ენა განსაკუთრებით განვითარებული იყო სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. იქ სამოცდაერთი მარტო ენობრივი ჯგუფი არსებობდა. ინდიელებს არ შეეძლოთ პოლიგლოტები ყოფილიყვნენ და ყველა ტომის ენა შეესწავლათ. ისინი ჟესტების ენას მიმართავდნენ. ამ თავისებურმა მუნჯმა „ესპერანტომ" ჩვენამდეც მოაღწია.

ინდიელისათვის ჟესტი სიტყვაცაა და ზოგჯერ მეტად ზოგადი მცნებაც. თუ მან დაბლა დახარა ორივე ხელის თითები, იგი წვიმაზე ლაპარაკობს, თითების მაღლა აწევით კი გამოხატავს ტოტებგაშლილ ხეს. ერთმანეთზე მიყრდნობილი ხელის გულები ინდიელის ქოხს — ვიგვამს ნიშნავს, ხოლო საჩვენებელი თითითა და ცერით გაკეთებული წრე — მზეს.

საერთოდ, ჟესტების ენას ერის ჩამორჩენილობის ერთ-ერთ ნიშნად თვლიან. იგი სხვადასხვა მიზეზით ზოგჯერ ყველაზე კულტურულ ქვეყნებშიც წარმოიქმნება ხოლმე. შუა საუკუნეებში ასეთი ენა გავრცელებული ყოფილა ფრანგ ბენედიქტელებსა და გერმანელ ტრაპისტებს შორის. ამ ბერებს მათი ორდენების კანონით აკრძალული ჰქონდათ ერთმანეთთან საუბარი და მიმოწერა. ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ გამოემუშავათ ჟესტების ენა. წმინდა მამების ბიწიერებასა და მუქთახორობაზე ხალხში მრავალი თქმულება და ანეგდოტი დადის. ბერების მუნჯი ენა ამის ნათელი დადასტურებაა. ისეთი სასმელი, როგორიც ღვინოა, მათ სპეციალური ჟესტით აღნიშნეს— ბენედიქტელი ბერები მოხრილ საჩვენებელ თითს იდებდნენ პირში, ტრაპისტები იმავე თითით დაფიქრებით ისრესდნენ ცხვირს.

ჟესტების პირობითი, საიდუმლო ენა ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. ჩვენს დროში ეს აღარავის ჰირდება. სამაგიეროდ ყველა ქვეყნის მოქალაქისათვის გასაგები „ინტერნაციონალური" ჟესტები ცოცხლობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ისტორია ზოგჯერ მრავალ ასეულ წელიწადს ითვლის. კმაყოფილების გამომხატველი ჟესტი — მაღლა აშვერილი ცერი, როგორც ჩანს ჩვენამდე უძველეს ხანიდან მოვიდა: ამ ჟესტით ძველი რომაელები ამჟღავნებდნენ თავიანთ აღტაცებას გლადიატორების სიმამაცით. ტრადიციული სამხედრო მისალმება თითქმის ყველგან ერთნაირია. ყოველ შემთხვევაში, პრინციპი ერთია: მარჯვენა ხელის ამართვა ქუდის წინაფართან. ვინ იცის, იქნებ შუა საუკუნეებში იმალება ამ ჟესტის პირველსაწყისი მნიშვნელობა. რაინდები ხომ ერთმანეთთან შეხვედრის დროს მაღლა სწევდნენ ჩაფხუტს კეთილი ნებისა და მშვიდობიანი განზრახვის ნიშნად.

სამხრეთელებს ლაპარაკის დროს უყვართ ჟესტიკულაცია. ვინ არ არის მოხიბლული იტალიური ფილმების ექსპანსიური, ტემპერამენტიანი და ახირებული გმირებით. განა შეიძლება გამოჩენილი კომიკოსის ტოტოს ჟესტების დავიწყება— მისი ნერვიული თითები სცენარისტის მიერ დაწერილ დიალოგზე ნაკლებ როდი მოუთხრობენ მაყურებელს; ან გენიალური ჩარლი ჩაპლინის მუნჯი ფილმებისა, რომლებიც ადამიანური ჟესტების ნამდვილ არსენალს წარმოადგენენ.

ყოველგვარი ჟესტი არსებობს დედამიწაზე. ჟესტები შეურაცხმყოფელი და უხეში, დახვეწილი და ზრდილობიანი, სირცხვილისა და სასოწარკვეთილების, სიხარულისა და აღფრთოვანებისა. გვხვდება ისეთებიც, რომლებიც უნებურად გვაღელვებენ. მსგავსი ჟესტები ცოტაა, მაგრამ წმინდა, უბრალო, ადამიანური და მშვენიერია. ეს არის „როტ ფრონტი!" — პროლეტარული სალუტის შეკუმშული მუშტი; ეს არის ერთმანეთში მტკიცედ გადაჭდობილი ხელები — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის უკეთიერშობილესი ჟესტი.

ნ. ჯაფარიძე.

გარეკანის პირველ გვერდზე: სპორტის ოსტატი მიხეილ მესხი. ფოტო ო. თურქიასი და ე. ბესოვისა.

მეოთხე გვერდზე: საქ. სსრ სახალხო არტისტი მედეა ჩახავა თავის შვილებთან. ფოტო ო. თურქიასი და ე. ბესოვისა.

რედაქტორი ა. ძიძიგური. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. ხააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალუა, ი. ცაციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 1-52-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. ყდა და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VI-62 წ. გამომც. № 67, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000, შეკვ. № 1107, უე 04547

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. №14.

# დათვი და ციყვი

### იგავი

### კუკური გოგიაშვილი

ბავშვობა ერთად ატარეს
დათვმა და ციყვმა პრანჭიამ.
ყველა ხალისით უცქერდა:
ტურა, მელა და ბაჭია.

ხან ხეზე აიპრებოდნენ,
ხან თავს იქცევდნენ მორევთან.
ტკბილ მეზობლებს და მეგობრებს,
აბა, რა დააშორებდა!

ტყეში გავარდა ამბავი,
შეიქნა ერთი ფათური:
საფუტკრე მეურნეობის
უფროსად დასვეს დათუნი!

და თავის ძირტკბილ ხამსახურს
შეუდგა დათვი დათვურად.
თავს ევლებიან ყველანი,
კარისკაცად ჰყავს ბათურა!

აგერ, ციყვუნაც მოხულა,
სჯობს აქვე ვიდგე ახლოსო,
შესვლა-გასვლის დროს შიგნიდან
იქნება დამინახოსო!

ილანძღებიან მომცდელნი,
რა არ ადგიათ მათ პირზე.
— დღეს ველარავის მიიღებს,
ტრესტში მიდისო თათბირზე!

გამოაცხადა ბათურამ,
შეიქმნა ისევ ქაქანი...
— მოდი, ეზოში დავხვდები,
ტრესტში ხომ წავა მანქანით;

ალბათ მანქანით წამიყვანს, —
ფიქრობს და იცდის ციყვუნა.
(მაგრამ ეს ასე არ ხდება,
შენ რომ გგონია ბრიყვულად!)

აჰა, დათუნაც გამოჩნდა,
ხელში უჭირავს პორტფელი,
გამოწყობილა ციყვიც და
მეგობარს ელის მოთმენით.

— დათოს სალამი! — შეხძახა,
ზედ არ შეხედა დათუნამ.
— ალბათ ვერ მიცნო, — და
ციყვმა
თათები მოუთათუნა.

მაშინ გაბრაზდა დათვი და
ციყვი დგას ჩაფიქრებული.
მისჩერებია შერცხვენილს
მთხოვნელთა დიდი კრებული.

* * *

მწარედ ჩაფიქრდა ციყვუნა,
თვალზე მოედო ნამი:
— „რა დაგვაშორებს ერთმანეთს?“ —
თანამდებობის სკამი!

მორალიც სწორედ ეგ გახლავთ,
სჯობს დავამთავროთ ამით.
თქვენც ხომ არ იცნობთ მსგავს
დათვებს,
აბა, ჩაფიქრდით წამით!

# [illegible]



ცნობილმა კინომსახიობმა ბრიჯიტ ბარდომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს მიატოვოს კინო და მთელი ენერგია თავისი ბიჭუნას აღზრდას მოახმაროს.



ინგლისში შეიმუშავეს ცეცხლგამძლე ქაღალდის დამზადების ტექნოლოგია. ახალი ქაღალდი შეიძლება ელექტროტექნიკურ მრეწველობაშიც გამოიყენონ, როგორც საუკეთესო საიზოლაციო მასალა.



როგორც გაზეთი „აბენდ პოსტი“ იუწყება, დასავლეთ გერმანიამ ევროპის „რეკორდი“ დაამყარა... თვითმკვლელობაში. უკვე რამდენიმე წელია, რაც აქ ყოველწლიურად საშუალოდ 10 ათასი კაცი იკლავს თავს.



საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის ცნობით, გასულ წელს ატლანტიის ოკეანეზე თვითმფრინავით გადაიფრინა 2 მილიონზე მეტმა კაცმა.



შეფილდის (ინგლისი) უნივერსიტეტში დაამზადეს ე. წ. მანქანა-მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია კერძო გაკვეთილები ჩაატაროს ბერძნული ენის, მათემატიკისა და სხვა საგნების შესასწავლად.

## ომების ფასი

შვეიცარიელი მეცნიერების დიდმა ჯგუფმა ელექტრული მანქანების საშუალებით გამოიანგარიშა, რომ ჩვენს ერამდე 3200 წლიდან მოყოლებული, თითქმის 5200 წლის განმავლობაში, დედამიწის მოსახლეობა მხოლოდ 292 წელიწადს ცხოვრობდა აბსოლუტურ მშვიდობიანობაში, დანარჩენი დრო კი მოანდომა 14.513 ომს. ამ ომებში დაიღუპა 3 მილიარდ 640 მილიონამდე კაცი. შეიარაღების ხარჯები და ომებით მიყენებული საერთო ზარალის ღირებულება აღემატება 2.150 ტრილიონ შვეიცარიულ ფრანკს.

ამ თანხით შეიძლება აგებულ იქნას დედამიწის გარშემო ეკვატორზე ოქროს გზა, რომლის სიგანე 161 კილომეტრი იქნება, სისქე კი — 10 მეტრი.

## ჟურნალ „დროშის“ № 5-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. გრიმი; 2. ბაბილონი; 3. მარათ; 4. პირატი; 5. იდიომი; 6. კვესი; 7 აზარფეშა; 10. ბანაკი; 12. ბხილაი; 17 ეტლი; 19. მილიცია; 20. დიორამა; 21. ტაქსი; 22. რეისი; 23. ტაქტი; 24. აზიზი; 26. ლურჯი; 27. არშია; 32. ანძა; 34. სიმონა; 35. ნეგატივი; 38. ზურმუხტი; 39. ნობათი; 42. სტატია; 43. ლაფეტი; 45. იმედი; 46. შხამი; 48. არმია

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 4. პორტი; 8. საგანი, 9. დევიზი; 11. რომბი. 13. ბარიკადა; 14. ოისტრახი; 15. ხანოი; 16. ნიგერია; 18. რეალი; 21. ტირიფი; 23. ტოლჩა; 25 იტალია; 28. აქტი; 29. ფიფქი; 30. კიური; 31. რაში; 33. ისინდი; 36. იანკი; 37. მაზინა; 40. ამაგი; 41. ისრაელი; 44. არაბი; 47. ანატომია; 49. ფეხბურთი; 50. ტარლე; 51 ხვედრი; 52. ტომატი; 53. ალიზი.

რომ მზის სხივი დედამიწამდე დაახლოებით 8 წუთში აღწევს, პლანეტა პლუტონამდე მისვლას კი ხუთნახევარი საათი უნდება.

რომ ატლანტის ოკეანეში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 86 ათასზე მეტი ვეშაპი დაიჭირეს.

რომ კუ ერთ-ერთი ყველაზე ძველი ცხოველია; მისი არსებობის ისტორია 200 მილიონ წელს აღემატება.

რომ მსოფლიოში ყოველწლიურად 30 მილიონ ტონამდე თევზს იჭერენ.

რომ დიდი სამგზავრო თვითმფრინავის ასაგებად საჭიროა 1.250.000 კაცსაათი, 100 ათასი ნახაზი და 95 ათასი სხვადასხვა დეტალი.

## იცი თუ არა?

რომ არსებობენ ე. წ. მესაფლავე ხოჭოები. ისინი როგორც კი მკვდარ ფრინველს, მწერს ან სხვა პატარა ცხოველს ნახავენ, კოლექტიურად თხრიან ორმოს და გვამს მარხავენ.

რომ მთელი მსოფლიოს საავტომობილო ქარხნები ყოველწლიურად 22 მილიონ კილოგრამ მატყლს ხარჯავენ.

რომ პოლიეთილენის თხელი აფსკით დაფარული პამიდორის ან მარწყვის ბუჩქი ორჯერ უფრო მეტ მოსავალს იძლევა.

რომ ფრინველთა შორის სისწრაფის რეკორდი ეკუთვნის ნამგალას, რომელიც საათში 110 კილომეტრს გადის. შორეული ფრენის „რეკორდსმენად“ ითვლება ჩიტი მეჭვავია. მას შეუძლია ძირდაუშვებლად 3.200 კილომეტრი გადაიფრინოს.

რომ არსებობს ცეზიუმის საათი, რომელშიც ქანქარის მაგივრობას ცეზიუმის ატომთა რხევა ეწევა. ასეთ საათს შეუძლია ზუსტად იმუშაოს სამასი წელი.

## ყარაგანდიდან მოვიდა წერილი

ეს ბარათი მზიური ყაზახეთის ქალაქ ყარაგანდიდან მივიღეთ. მერვე კლასის მოსწავლეები ლიუდმილა ლიტვიშკოვა და ემა კრომი გვთხოვენ, ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს გავაცნოთ მათი წერილის შინაარსი.

სიამოვნებით ვასრულებთ ჩვენი უმცროსი მეგობრების თხოვნას.

„ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით გვინდა მეგობრობა დავამყაროთ საქართველოს მოსწავლეებთან. — გვწერენ ლიუდმილა და ემა, — ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს ვთხოვთ თავიანთ შვილებსა და ახლობელ პიონერებს გააცნონ ჩვენი სურვილი და დახმარება გაგვიწიონ მათთან მიმოწერის დამყარებაში.

ჩვენ გვწამს, რომ ეს მეგობრობა მტკიცე და სასარგებლო იქნება.

ველით წერილებს საქართველოდან“.

ჩვენი მისამართია:

ყაზახეთის სსრ
ქ. ყარაგანდა 12
ბაისეიტოვის ქ. № 4, ოთახი 2.
ემა კრომს

ყაზახეთის სსრ
ქ. ყარაგანდა 12
ტორპედოს ქ. № 7, ოთახი 1.
ლიუდმილა ლიტვიშკოვას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა